საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ზაურ გუმაშვილი, შალვა ჭკადუა

პანკისის ხეობა - ფაქტები, მოვლენები, ანალიზი

თბილისი

2020

რედაქტორი: პროფ. გონელი არახამია

რეცენზენტები: პროფ. თენგიზ სიმაშვილი
პროფ. ალექსანდრე მოსიაშვილი

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით

ნაშრომი მომზადდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ კავკასიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში

ISBN 978-9941-8-2371-8

მოკლე გეოგრაფიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა

„პანკისის ხეობა შიგნით კახეთში, ჩრდილო მხარეს, მაღალსა და ტყიანს მთებსა შუაა მოთავსებული. იქ სადაც მდინარე ალაზანი კავკასიონის ვიწრო და ფრიალო ღრეკლდეებს გამოსცილდება და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ცოტად თუ ბევრად დაიმშვიდებს მჩქეფარე, აქაფებულ დინებას, ხეობა ვიწრო, თოფის ზუმბივით სწორი, უაღმართ-დაღმართოდ გრძელდება.

კახეთში ჩამოსული მდინარე ალაზანი აღმოსავლეთისაკენ დაალმაცერდება და ქმნის ხეობას. ამ ხეობას პანკისი ჰქვია“, - წერდა ქისტების ერთ-ერთი პირველი მემატიანე მათე ალბუთაშვილი წიგნში „პანკისის ხეობა“. მისი აზრით ხეობის სახელი „პანკისი“ წარმოსდგება სიტყვიდან „პანტისი“ - ადგილი, პანტის ხევი, ან კიდევ პანტიანი. პანკისში დღემდე არის ტყეში შემონახული სხვადასხვა სახის ხილ-კენკრა და მათ შორის პანტა, თუმცა დღეს-დღეობით შემცირებული სახით. ასე, რომ სავარაუდოდ სწორია მ. ალბუთაშვილი პანკისის თაობაზე მსჯელობისას.

ახმეტიდან წამოსული სოფ. მატანს როცა გასცდები შენს თვალწინ გადაიშლება ქედებს შუა მოქცეული ხეობა, სიგრძეზე გაშლილი დაახლოებით 20კმ-ის სიგრძისა, სიგანე დასაწყისში 1 კილომეტრსაც აღწევს. სიღრმეში კი 400-500 მეტრისაა. ხეობის თავში თავისებურ ეგზოტიკურ სილამაზეს ქმნის კავკასიონის ქედი და ამ ქედის თვალწარმტაცი მწვერვალი სპეროზა, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს პანკისის ხეობას. უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ვრცელი და დეტალური გეოგრაფიული

აღწერა - ანალიზი მოგვცა მათე ალბუთაშვილმა, რომელშიც ძნელია რაიმე კორექტივი შეიტანო.

1960-იან წლებში არქეოლოგების მიერ ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1969 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები, რომლებმაც საინტერესო მასალებს მიაკვლია პანკისის ხეობაში. კერძოდ, სოფ. ომალოს მიდამოებში აღმოჩენილია სხვადასხვა დროის, განსაკუთრებით უძველესი პერიოდის მასალები: თიხის ქოთნის ნაწილები, ადამიანის თავის ქალის შემადგენელი ნაწილები. უფრო დაბლა მდ. ალაზნის დინებაზე ნანახია სამარხები, რომელთა მშენებლობისათვის გამოყენებულია ქვის ფილები. არქეოლოგთა განმარტებით ეს სამარხები ეკუთვნის ძვ.წ. აღ-ის I საუკუნეს, რაც ამ ხეობაში უძველეს პერიოდში მაღალი კულტურისა და ცხოვრების დონის არსებობაზე მეტყველებს. [3:9] სოფ. ბირკიანის მიდამოებში აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკული ჭურჭლის ნიმუშები და ფეოდალური ხანის ქოთნის ნამტვრევები, ხოლო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, გორის დამრეც კალთაზე, ლაზარეს ახოსთან, მრავალრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები და ბრინჯაოს სხვადასხვაგვარი იარაღის ნიმუშები, რომლებიც უძველესი პერიოდის ბრინჯაოს ხანისთვის იყო დამახასიათებელი. [3:10] სოფ. ჯოყოლოს დასავლეთის მხარეს მდებარე ჭობიოს ხევის ბოლოში ადგილობრივმა მცხოვრებმა ვ. ცხადაძემ მიაკვლია ბრინჯაოს ხანჯალს და თიხის ქოთნებს. ჯოყოლოსა და სოფ. დედისფერულს შორის არსებულ ტერიტორიაზე, რომელსაც ბალთაგორს ეძახიან (გარეული ბლების დიდი რაოდენობით არსებობის გამო) აღმოჩენილია ნასახლარი და სხვადასხვა დროს ნაგები საკულტო თუ თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობები. აქვე აღმოჩენილია ყურძნის საწური

საწნახელი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ადგილზე დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა შავი ყურძნის სხვადასხვა სახეობა, რომელიც მე-20 საუკუნის დასასრულამდე იყო შემორჩენილი და ამ მიდამოებში ყურძნის საწური საწნახელის არსებობა ყურძნის დამუშავების მაღალი კულტურის არსებობაზე მიგვითითებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ბალთაგორის დამრეც კალთაზე წვიმის წყლის მიერ ფერდობის ჩამორეცხვის შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა ზომის ქვევრები და ადამიანთა სამარხები. სოფ. დედისფერულში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღმოაჩინეს ქვის ფილებით ნაშენები სამარხი, რომელშიც ნაპოვნია ოქროს სამაჯური. გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკული ნივთების ნატეხები იქნა ნანახი ქვემო ხალაწნის გორაზე, სალოცავის მახლობლად. ქვემო და შუა ხალაწნის მიდამოებში კი მიაკვლიეს ფერადი მოხატული კერამიკის ნამტვრევებს. 1950 წელს ზემო ხალაწანში მიწის დამუშავებისას ადგილობრივმა მაცხოვრებელმა აღმოაჩინა სამარხი, რომელშიც ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანჯალი ორნამენტიანი ტარით. აქვე, სოფლის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის სამარხები. ასეთივე მსგავსი სამარხები, ნასახლარები, ღვინის ქვევრები, კრამიტისა და ქოთნის ნატეხები აღმოჩენილია საკობიანოს, კუწახტის და ბაყილოვანის ტერიტორიაზე. [3:10-13]. აღნიშნული არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ხეობის ისტორიული წარსული, რადგანაც აშკარაა, რომ ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში ეს ადგილი დასახლებული ყოფილა საკმაოდ მაღალ განვითარების დონეზე მყოფი ადამიანებით.

პანკისის ხეობა სათავეში უკიდურესად ვიწროვდება, რის გამოც მათე ალბუთაშვილი მას ხეობის კუდს უწოდებს. ეს „კუდი“ მთავრდება მაღალსა და მრისხანე მთასთან, რომელსაც

სპეროზას უწოდებენ. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 4300 მეტრია. მათე ალბუთაშვილმა პანკისის ხეობის გეოგრაფიული აღწერის იმდენად დაწვრილებითი და დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ ამ საკითხზე საუბარი და ყურადღების გამახვილება ზედმეტი იქნებოდა.

პანკისის ხეობა ზოგადად უხვწყლიანი ხეობაა, სადაც სასმელად საუკეთესო წყლებია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კაკლიანის წყალი, სეიფანტის წყარო, ჭობიოს წყალი, დუმასტურის წყალი და სხვა. მაგრამ ძალზე ნაკლებია სამკურნალო წყლები. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ხადორის სამკურნალო წყალი, რომელსაც სუნი აქვს და ხალხს კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ მიაქვს, თუმცა შესწავლილი არ არის. ჟანგიან წყალს ეძახიან ზუროსგორის მთის წყაროს, რომელიც აგრეთვე სამკურნალოდ გამოიყენება.

არსებობს საინტერესო მონაცემები ხეობაში არსებული ბუნებრივი რესურსების, მადნეულის შესახებ. მათი სახეები საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ მოიპოვება: ვერცხლის, სპილენძის, რკინის, მარგანეცის ნიმუშები. ხორეჯოში ვერცხლი, ნაქერალაში, ტოლოშასა და ბაწარაში - სპილენძი, რკინა და ვერცხლი, რომელთა ნიმუშები ადრევე აღმოუჩენიათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს, რომ 1900 წელს თბილისიდან ჩამოვიდა ვინმე გენერალ-მაიორი ა. კოროლკოვი, ინჟინერი ტოლმაჩოვი და ვასილევსკი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. [3:58] ხეობაში არსებობს ძვირფასი ქვის დიაბაზის საბადო, რომლის დამუშავებისათვის საჯარო ლიცენზია ორ კომპანიაზეა გაცემული, მაგრამ ვინაიდან, ამ საქმის ამუშავებას საკმაოდ დიდი სახსრები სჭირდება, დღემდე მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება და მისი ფართომასშტაბიანი დამუშავება არ

ხერხდება. ცხადია, ამისთვის საჭიროა ხელისუფლების თანადგომა, რომელიც დაბალპროცენტიანი კრედიტის გაცემაში უნდა გამოიხატოს, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა არ მომხდარა ამ ხეობაში, თუმცა ასეთი კრედიტების გაცემის პრაქტიკა საქართველოს სხვა რეგიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს და ახალი საწარმოები იქმნება. დიაბაზის საბადო მდებარეობს მთა ქვაჩადალას მიმდებარე ტერიტორიაზე, გოხიანის ფერდობზე, სადაც საკმაოდ დიდი მარაგებია ამ მოსაპირკეთებელი ქვისა, რომლის ანალოგი მხოლოდ ყაზბეგის რაიონში მოიპოვება. ეს არის მწვანე ფერის მოსაპირკეთებელი ქვა და აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მსგავსი საბადო საერთოდ არ არსებობს.

მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს: „ჩხათანას წყლის სათავეში მიწა ყვითელია, როგორც საღებავი და შიგ წმინდა, ოდნავ შესამჩნევი ქვიშა ურევია, ოდნავ მობრჭყვიალე. თვით მდინარე ალაზანზე გვხვდება ერთგვარი შავი ლიპა ქვა. რომ გატეხო, შიგნიდან გადმოცვივა პურის მარცვალივით გაკუთხული ძლიერ ყვითელი ნაწილები, როგორც მსხვილი, ისე წვრილიც. მათი ამოცვენით ქვაში ადგილები ფორებივით რჩება ...“ [3: 59]

1900 წელს მას თვითონ წაუღია რკინის მთის გასწვრივ, ღორღიანიდან ნიმუში თბილისში ანალიზის ჩასატარებლად, სადაც უთხრეს, რომ გზის არსებობის შემთხვევაში თუ დაამუშავებთ ფუთზე ორი კაპიკი დაგრჩებათო. მაგრამ მ. ალბუთაშვილს არც მისი დასამუშავებელი და არც გზის გასაყვანი სახსრები არ გააჩნდა და ამ საქმისათვის არავის მოუკიდია ხელი.

ზოგადად პანკისის მთიანი მხარე გეოლოგიურ კვლევას საჭიროებს და მხოლოდ ზედაპირულად არის შესწავლილი, როგორც მთლიანობაში ჩვენი ქვეყნის მთელი მთიანეთი.

ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ვაინახებს საკმაოდ განვითარებული რელიგიური სისტემა ჰქონდათ, რომელიც წარმართული სარწმუნოების საკრებულოს, ანუ პანთეონს წარმოადგენდა. მისი ჩამოყალიბება იწყება ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულში. ვაინახების ტერიტორიულ გადაადგილებას თან სდევდა ამ პანთეონის გადაადგილებაც. ამაზე მეტყველებს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებული სალოცავების ნიშები, სვეტები, საკულტო ნაგებობები, ამ ნაგებობათა ნანგრევები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნიმუშები და სხვა.

მეცნიერული კვლევებისა და მოსახლეობის გამოკითხვით მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ვაინახებში დასტურდება მრავალღმერთიანობა. მათგან გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ვოჴჭ-დეელს-დიდი ღმერთი, რომელიც არის მზის ღმერთიც, ცისა და დანარჩენი ღმერთების მამაც. ასეთ ღმერთებს მიეკუთვნება: სელი - ჰექა-ქუხილის ღმერთი, რომელიც ამასთანავე, სინდის-ნამუსისა და პატიოსნების ღმერთად ითვლებოდა, თუშოლი - ნაყოფიერების ღმერთი, გალი-ერდი - პირუტყვის მფარველი, ელთა-გარეული ცხოველების და მონადირის მფარველი; ეშტრ - საიქიოს ღმერთი და მამა დედამიწისა და მთვარის; მოლხი-ერდი - ომის ღმერთი და სხვა. პანთეონის ამ ღმერთებისაგან საზოგადოება ელოდებოდა პირუტყვის გამრავლებას, დიდ მოსავალს, ომის შემთხვევაში გამარჯვებას, სამოთხეში მოხვედრას და ა.შ. [4:6]

თავისი ისტორიული წარსულით, ცხოვრების წესით და ძველი რელიგიური მრწამსით ვაინახები წარმოადგენენ მსოფლიო ხალხთა ერთ-ერთ შემადგენელ კავკასიის ავტოქტონურ

ეთნოსს. ისინი არიან პირდაპირი მემკვიდრეები კობანური არქეოლოგიური კულტურისა ბრინჯაოს პერიოდში. ტერიტორია, სადაც ამჟამად ცხოვრობენ ჩეჩნები და ინგუშები (რომელთაც ქართველები დღესაც ქისტებს უწოდებენ), წარმოადგენდა გარდამავალ ზონას, სადაც არც თუ იშვიათად გვხვდება სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც დამახასიათებელია როგორც მტკვარ-არაქსის, მაიკოპის და კოლხიდის კულტურათათვის. მრავალგვარი საერთო შტრიხები შეინიშება მათ უძველეს კულტებში და რელიგიურ რიტუალებში.

ძირითადი მიზეზი ქისტებში წინაპართა ტრადიციებისა და რწმენის შენარჩუნებისა დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა მათ სოციალურ „ჩაკეტილობაში“. როგორ ყველა მცირე ხალხები, რომელთაც თან სდევდათ თავიანთი ეთნოსის ერთიანობის განცდა. მათ გამოიმუშავეს ძლიერი ინსტიქტი თვითშენახვისა, თავდაცვისა. ეს გრძნობა ეხმარებოდა და ეხმარება დღესაც, რათა შეინარჩუნონ თავიანთი იდენტობა. ქისტები არიან კავკასიის ერთ-ერთი შეკრული ეთნოსის წარმომადგენლები. ასიმილაციის საშიშროებამ ბევრად უფრო მრავალრიცხოვან ხალხებში მიიყვანა ისინი იქამდე, რომ ძალუმად ჩაებღაუჭნენ თემური და გვაროვნული ერთიანობის საზოგადოებრივ ფორმებს, შეინარჩუნეს წინაპართა განვითარებული კულტი და ოჯახური ერთიანობის საკმაოდ მტკიცე ფორმა. ოჯახისა, რომლის ბურჯი და ხელმძღვანელი ყოველთვის მამაკაცი იყო. ქისტები არიან კავკასიაში ერთადერთი ხალხი, რომლებიც თვლიან იოში-ვოში („დები-ძმები“) დიდი პატრიარქალური ოჯახის ყველა წევრს რომლებიც შედგებიან რამდენიმე თეიფისაგან (გვაროვნული გაერთიანება) მათ შორის გათხოვება და ცოლის მოყვანა დაუშვებელია.

თავის მხრივ, ასეთი ცხოვრების წესს ეს ხალხი მიჰყავდა იქამდე, რომ მათ ბოლო პერიოდამდე შეინარჩუნეს ძველი რელიგიური რწმენა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ როგორც ჩრდილო კავკასიაში ვაინახებში (ჩეჩნები-ინგუშები) ასევე, საქართველოში, პანკისის ხეობაში ქისტებმა დღემდე გარკვეული სახით შეინარჩუნეს წარმართული და ქრისტიანული კულტისათვის დამახასიათებელი ძეგლები, რომლებიც თარიღდება შუა საუკუნეებით: თხაბა-ერდი (IX ს.) ალბი-ერდი (IX-XIIს), თარგიმის ეკლესია (XII-XIIIს) და სხვა. თავიანთი საზოგადოებრივი ჩაკეტილობის მეოხებით ვაინახმა მთიელებმა შეძლეს საუკუნეების განმავლობაში შეენახათ და ჩვენამდე მოეტანათ კავკასიაში უძველესი სტრუქტურირებული წარმართული პანთეონი, რომელიც შედგება ასეული ღმერთებისაგან. ასევე, მითები და ლეგენდები უძველესი მოტივებით; რომლებსაც სათავე უდევს გარდამავალ პერიოდში ბრინჯაოსა და რკინის საუკუნეებს შორის.

ქისტებმა მაღალი დონით შემოინახეს უაღრესად დიდი პატივისცემა ქალისადმი, განსაკუთრებით დედისადმი. ასეთი დამოკიდებულება სათავეს იღებს მათი ისტორიის მატრილოკალური პერიოდიდან. დედის მხრიდან ნათესავები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შვილების ცხოვრებაში. არც ერთი განსაკუთრებული მოვლენა მათ ცხოვრებაში არ წყდებოდა დედის ნათესავების მონაწილეობის გარეშე. ასეთ ნათესავთა შორის განსხვავებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნეენა ვოშს (დედის ძმას). გოგოს გათხოვებისას თუ რძლის მოყვანის დროს აუცილებელი იყო დედის ძმის თანხმობა. აკვანს პირველი შვილიშვილისთვის უკვეთავდა და მიართმევდა ბებია დედის მხრიდან (ნეენ ნაანა - დედის დედა). იშვიათი მამაკაცი მისცემდა თავის თავს უფლებას

სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა ან ეწყენინებინა ქალისთვის. თუ კი ასეთი რამ მოხდებოდა ქალის საგვარეულოს მამაკაცები ამის გამო პასუხს სთხოვდნენ. დედისძმის - ნეენ ვოშ-ს განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დის შვილს შეეძლო დედისძმის სისხლის აღება და სხვას არავის სხვა გვარიდან. ისინი იმყოფებოდნენ აგრეთვე, ღმერთების პანთეონის ყურადღებისა და დაცვის ქვეშ. დედაღმერთი- თუშოლი, დედა ღმერთი ხელსაქმისა სელა - სატი, ჰექა-ქუხილის ღმერთი - სელი, მოსავლის ღმერთი - მატ-სელი, ბავშვის გაჩენის ღმერთი - სუსან დეელა, ქალთა გულის მპყრობელი ღმერთი - აგოი და სხვა.

თავიანთი ისტორიული განვითარების განმავლობაში ქისტებს შეხება მოუხდათ სამ რელიგიასთან. მათ პირველსაწყის რელიგიას წარმოადგენდა მრავალღმერთიანობა, პოლითეიზმი. შემდგომში ბიზანტია V-VIII საუკუნეებში და საქართველო VIII-XVIII საუკუნეებში შეეცადნენ აქ ქრისტიანობა შეეტანათ. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ფაქტორების გამო, ამ რელიგიამ ვერ გაიდგა ფესვები ქისტ-წარმართებს შორის, ვერ გახდა მათი იდეოლოგია. ამ საზოგადოებამ მხოლოდ ზოგიერთი ქრისტიანული ატრიბუტი მიიღო: ჯვრისადმი პატივისცემა, ქრისტიანული ეკლესიისადმი პატივისცემა, სანთლის დანთება და სხვა. XVIII ს-ში ერთის მხრივ ყაბარდოელების მხრიდან იწყება ვაინახებში ხანაფიტური ისლამის შემოტანა, ამ პერიოდისათვის ჩეჩნებში უკვე ფესვგადგმული იყო შაფიიტური ისლამი (ბარში) საიდანაც ინგუშეთშიც გავრცელდა.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემებმა - არქეოლოგიაში, ისტორიაში, მითოლოგიაში, უძველეს რელიგიურ სარწმუნოებებში განაპირობეს პარალელების გავლება და საერთო შტრიხების გამოვლენა უძველეს გაუჩინარებულ

ხალხებთან: ხანტებთან, ხურიტებთან, ხეთებთან, ურარტუელებთან, ფრიგიელებთან და უძველეს სემიტებთან. ყველაფერს ამას მივყავართ იმ აზრამდე, რომ კავკასია, ანატოლია და მესოპოტამია განიცდიდნენ ზეწოლას და გავლენას ინტელექტუალური აქტიურობის გავლენას უძლიერესი კულტურული კერისაგან. ეს კერა სავარაუდოდ მდებარეობდა ხურიტების უფრო ხშირი დასახლების რეგიონში, შუმერების, აქადებისა და ასირიულ-ბაბილონური ცივილიზაციის მემკვიდრეებისა და გამავრცელებელთა სახით.

ვაინახური (ქისტური) მითოლოგია

ეპოსის ვაინახური ვარიანტი წარმოადგენს ნართების ეპოსის ზოგადკავკასიურ ნაწილს. მას გააჩნია უამრავი პარალელები კავკასიის სხვა ხალხების. განსაკუთრებით ადიღეს მითებთან და ლეგენდებთან. ზოგიერთმა ეპიკურმა გმირებმა შეინარჩუნეს ანტიკური შტრიხები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მათში დავინახოთ ნახევრად ღმერთები, რომლებიც იყოფა ერთმანეთთან მოპაექრე ორ ფრატრიად. ერთი მათგანი შედგება მეცხოველე-ნართებისაგან, კალოელი მთიელებისაგან, რომელთაც სათავეში უდგას კალოიკანთი; ე.ი. „კალოის თემის გმირი“, მეორე ფრატრია შედგება მებრძოლი ნართებისაგან - ნართ-ორსტხოელებისაგან, რომელსაც ჰყავს მეთაური სოსქა-სოლსა. ისინი ცხოვრობენ მეკობრეობით. ეს პერსონაჟები წარმოადგენენ ანტიკური ღმერთების პერსონიფიკაციას, რომელთა აღრევა მოხდა ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში მეორეხარისხოვან რანგში, ხოლო შემდეგ კი ნახევრად ღმერთებად ჩამოყალიბდნენ.

მებრძოლი ნარტ-ორსტხოელები გამუდმებით თავს ესხმიან თავიანთ მეზობელ მთიელებს: მიერეკებიან მათ ფარას, ცდილობენ მათი გოგონების გულის მოგებას. ისინი ბრძოლაში ებმებიან ჭექა-ქუხილის ღმერთთან - სელისთან, იმარჯვებენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მიუხედავად ამისა ქისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მათ საბრძოლო შემართებას, ვაჟკაცურ და ქედუხრელ შეუდრეკელობას, რომელიც თვით მათთვის ასეთი მახლობელი თვისებები გახლდათ.

ნართ-კალოელები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ქისტი „ენკიდუ“ კალოი-კანთი, განდეგილი და ასკეტი, მცხოვრები მთებში ადამიანებისაგან შორს თავის ცხვრის ფარასთან ერთად, რომელსაც შეუძლია დიდი ლოდების გადატყორცნა, ერთადერთი რასაც შეუძლია შეაყოვნოს მისი ძლიერება ეს არის ქალი და მასთან სიახლოვე. და მართლაც, ბათაყა შერტაკოს შეგონებით სოსკა-სოლსამ ისარგებლა და მიუგზავნა მას თავისი და. მან შეკრა დაუძლურებული მოწინააღმდეგე და წაიყვანა იგი ბარანტისაკენ. მაგრამ ნართ-კალოის მებრძოლებმა მათ მიუსწრეს და შეძლეს უკუეგდოთ კალოი კანთელები და მათი ცხვრის ფარის ნახევარი უკან დაიბრუნეს. ვინაიდან, მათი ძალები თანაბარი იყო, მათ შეეძლოთ ერთმანეთი დაეზარალებინათ და დიდი ზიანი მიეყენებინათ. ამიტომაც დეელა ღმერთმა მათ შორის გაუშვა ბობოქარი თერგი და დატოვა ისინი სხვადასხვა სანაპიროზე.

ქისტების (ვაინახების) მითოლოგია მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. მასში ვხედავთ უძველესი ეპოქის კვალს, რომელიც მიემართება ასწლეულებისა და თუნდაც ათასწლეულების სიღრმეში. მაგრამ თავისუფლად ცხოვრობს იმ მოტივებთან ერთად, რომლებიც ბევრად უფრო ადრეული ხანისაა. ვაინახებმა (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) ამ პატარა ეთნოსმა,

რომელიც ცხოვრობს ცენტრალურ კავკასიაში და საქართველოში, პანკისის ხეობაში, შეძლეს ისტორიის ქარტეხილებში გამოეტარებინათ და დღემდე მოეტანათ გამოძახილი იმ კონტაქტების შესახებ მშვიდობიანი თუ მეომარი ხალხებისა, გამოძახილი უძველესი ცივილიზაციისა. რამდენიმე მჭიდრო და ხანგრძლივ ურთიერთდამოკიდებულებას ვაინახების წინაპრებზე ინარჩუნებდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ხურიტების სხვადასხვა ტომებთან და ეს ყველაფერი ასახულია მითებში, პანთეონში, ლექსიკაში, ასევე, მორფოლოგიის ცალკეულ ელემენტებში. ამ ფაქტებს ვერ გავშიფრავთ მხოლოდ კომერციული კონტაქტებით ან კიდევ, სამხედრო კომპანიებით, როგორც ამას გვთავაზობენ ზოგიერთი არქეოლოგები და ისტორიკოსები. ისინი გულისხმობენ ხანგრძლივ ან გამუდმებულ ურთიერთობებს. ზოგიერთი შეხედულებით, რომელიც გაკეთდა პანთეონის, მითოლოგიის და ლექსიკის მასალებზე დაყრდნობით, რომელიც დაკავშირებული იყო ქისტების ძველ რწმენებთან, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს უძველესი კულტურები აღმოჩნდნენ რელიგიური კონცეფციების, მითოლოგიის და ენის სუბსტრატები მათი ძველი წინაპრებისა.

ხურიტები, რომელთაც თანამედროვე პერიოდში მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ უძველეს ხალხებად, ახდენდნენ კულტურული და რელიგიურ გავლენას მთლიან ახლო აღმოსავლეთზე, ანატოლიაზე და კავკასიაზე. ამასთანავე, ისინი არა მარტო გასცემდნენ, არამედ სხვებისგანაც ითვისებდნენ და კვლავ ამ შეთვისებულს ავრცელებდნენ. ამით შეიძლება აიხსნას ქისტების მითოლოგიისა და რელიგიური რწმენების სიღრმისეულ სტრუქტურებში სხვადასხვა უძველესი ხალხების ელემენტების არსებობა.

კავკასიის მთიელთა მითები და ლეგენდები, მათ შორის ვაინახებისაც მოიცავს აგრეთვე, შედარებით გვიანდელ მოტივებსაც - სკვითებისა და თურქ-მონღოლურ მოტივებს. სკვით-მომთაბარეთა გადასვლამ ჩეჩნებისა და ინგუშების რეგიონში (დასახლება გალაშკი, მუჟიჩი, მუშიჩი, დუბაი-იურთი) ვერ შეცვალა მთიელთა ცხოვრების წესი და რიგი. სკვითებმა დატოვეს მხოლოდ რამდენიმე ელემენტი, რომელიც გამოიხატა დაკრძალვის ელემენტების შენახვაში, ზოგიერთ ლეგენდარულ სიუჟეტის და მეთოდის შენახვაში, რომელიც რკინის დამუშავებისას გამოყენებულია. ეს მეთოდები ცნობილი იყო კავკასიაში ჩვ.წ. აღ-მდე I ათასწლეულის დასაწყისის პერიოდიდან, მათი სამხრეთელი მეზობლის ურარტუს გავლენით. ვაინახთა მეტყველებაში სკვითებმა ვერ დატოვეს რაიმენაირი კვალი, თუ არ ჩავთვლით სიტყვა „აშკა“ ე.ი. რკინა, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ ვაინახებთან მეზობლად მცხოვრები სკვითური ტომის სიტყვასთან. ისინი აწარმოებდნენ რკინას „აშკენაზ“. მათი მეზობლობა იყო არც თუ ხანგრძლივი. სხვა სკვითური ტომი, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის მონაცემებით ცნობილნი, როგორც რკინის გადამუშავების კარგი მცოდნენი. ისინი მას უწოდებდნენ ‚ბარზელს“.

ქისტური (ვაინახური) მითები შემორჩენილია XIX ს-ის ბოლომდე და XX ს-ის დასაწყისამდე. ეს იყო რწმენა ადამიანებისა იმ განუწყვეტელი კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა მზის სამყაროსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის. მე-19 ს-ის ბოლოს მოსავლის ღმერთის ზარზეიმით აღნიშვნისას ქურუმი ირჩევდა გოგონებს შორის უკეთესს მზის ღმერთის „მალხა აზას“ საცოლეს როლის შესასრულებლად და გზავნიდა მას მთებში, მას აცილებდა საუკეთესო ბიჭი, რომელთან ერთადაც უნდა გაეტარებინა ღამე ტაძარში, რომელიც თხის

ღმერთის სახელობაზე იყო აშენებული და ტამიჟ-ერდა ერქვა. იგი მფარველობდა, აგრეთვე, ცხვრის ფარის და მეცხვარეს. ტაძარში შესვლით ისინი კარგავდნენ კავშირს მზის სამყაროსთან. ტაძარს სამყაროში ისინი დროებით „კვდებოდნენ“, იმისათვის, რომ კონტაქტში შესულიყვნენ ამ კვდომარე და შემდეგ მკვდრეთით აღმდგარ ღმერთების საუფლოსთან. „მკვდრეთით აღმდგარნი“ მზის პირველივე სხივზე, ისინი მთებიდან დაბლა დაეშვებოდნენ მათდამი მომლოდინე ხალხთან მატ-სელის ხატთან, სადაც მათ ელოდებოდათ სხვებთან ერთად ქურუმიც. მალხ-აზა უყვებოდა ქურუმს მის მიერ ნანახი სიზმრის შესახებ, რომელმაც მოიტანა წინასწარმეტყველება მთელი ხალხისთვის, რომელსაც ხსნიდა, განმარტავდა ქურუმი. უძველეს პერიოდში ეს ხალხის რჩეულები ასრულებდნენ, როგორც ჩანს, მისიას „წმინდა შეუღლებულებისას“, როგორც შუმერებში, რომლებიც განასახიერებდნენ ბუნებაში ორი საწყისის შეკავშირებას.

პანკისში დასახლებულ ქისტებს ჩრდილო-კავკასიიდან ბევრი რამ თან გადმოჰყავთ და ახალ დასახლებაში ახალ ცხოვრებისეულ მომენტებთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა ქისტური პანთეონი, რომელიც თავის სამყაროში აერთიანებდა ძველთან ერთად ახალ მითოლოგიას. ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან და საინტერესო მასალას გვაწვდის მათე ალბუთაშვილი. იგი მიმოიხილავს ქისტი ხალხის წინაპარს და მოჰყავს ასეთი თქმულება: „თვით ქისტი ხალხი პირველად როგორ გავრცელდა კავკასიონის მთებში, ამაზედ არის ერთი საუცხოო მოკლე თქმულება, გავრცელებული ხალხში: „ყოფილა მეკობრეთა ერთი ბელადი თერგალი, რომელიც ძალიან აწუხებდა იქაურ მცხოვრებლებს. შეწუხებულ ხალხს ერთხელ გადაუწყვეტია, როგორმე მოეშორებინა მტერი.

თერგალს სცოდნია ერთი თვით ძილი. ხალხმა მოიხელა თერგალი მძინარი, მოკვლა ვერ გაუბედა, მოსისხლეობის შიშით. მძინარე ჩააწვინეს საკაცეში, წამოიღეს დარუბანდისკენ და იქ, კავკასიონის ერთ შევარდნილ ხეობაში დააწვინეს. თან დაუტოვეს ცოტა საგზალი და თავისი იარაღი. გაანებეს იქ თავი.

თერგალის თავის დროზე გამოეღვიძა, ვერ გაარკვია სად იყო. ჭამა პური, ავიდა მაღლა მთაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგო თავისი ბედისა.

თერგალმა ერთ მოხერხებულ ადგილას დაიდო ბინა, ნადირობითა ცხოვრობდა, ცოლიც მალე გაიჩინა. ეყოლა ორი ვაჟიშვილი.

უფროსი ვაჟიშვილი რომ დაიბადა, მას ხელში ხის პატარა ტოტი მისცა და სახელი ამ ტოტისა უწოდა. ხის ტოტი ქისტურად არის „ღა“, აქედან „ღა-ღა“ - „ღალღა“ - ინგუში.

მეორე ვაჟი რომ დაიბადა, ყველის ნაჭერი ეკავა, მთლად დათვსა ჰგავდა. სახელად ზოგმა ყველის ნაჭერი უწოდა, ზოგმა - დათვის. ქისტურად ყველი არის „ნეხჩ“, აქედან „ნოხჩ“. დათვი ქისტურად „ჩა“, აქედან - „ჩაჩანი“.

ამ ორი ძმისგან წარმოიშვა კავკასიის მთის ხალხი: ჩაჩანი-ნოხჩი, ღალღა-ინგუში.

თერგალი სიბერის დროს თერგის წყალში დაიხრჩო და წყალს სახელი უწოდეს „თერგი“.

გამრავლდა ხალხი, აქეთ-იქით გაიწ-გამოიწია, ზოგი დაბლა, ველად ჩამოვიდა, ზოგან ადგილმა მიიღო ხალხის სახელი, ზოგმა ხალხმა კი ადგილის სახელი“.

ცხადია, ეს გადმონაცემი თქმულებაა და შესაძლებელია მას რეალობასთან არაფერი ჰქონდეს საერთო, რადგან ტერმინ „ღალღას“ და „ჩაჩანის“ ,ან „ნოხჩის“ მსგავსი განმარტება არასერიოზულია. რაც შეეხება თერგალს, პროფ. გ. ჩიქოვანის

აზრით: „თერგალი წარმართულ სალოცავად ჩანს. მისი ფუნქციების დაწვრილებით შესწავლა მომავლის საქმეა. ჯერჯერობით იმას აღვნიშნავთ, რომ მისი სახელი საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს შორეულ წარსულში ფიქსირებულ ონომასტიკასა და ჰიდრონიმებთან“. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველთა ეთნარქის თარგამოსის და მდ. თერგის სახელები. თერგვაულ-თერგაულ-თერგ-თარგამოს. შესაძლებელია ეტიმოლოგიურმა ძიებამ ამ სამი სახელის საერთო ძირითადი მიმდინარეობა დაადასტუროს“. [5:301]

საინტერესოა მ. ალბუთაშვილის მიერ 1910 წელს პანკისის ხეობაში ჩაწერილი ლეგენდა ქრისტეს შესახებ, სადაც აღწერილია ამირანის თქმულებაში მოხსენიებული ტოპონიმი - სპეროზა.

თქმულება ასეთია: „პანკისის ხეობის სათავეში, სადაც მისწყდება საურმე და დაიწყება საცალფეხო გზა, სადაც ორი მდინარე - წიფლოვანის ხევი და მახვალი ერთმანეთს შეაწყდება და გამოსწევს კახეთისაკენ მდინარე ალაზნად წოდებული, სწორედ იმ ადგილას, პირდაპირ აღმართულია ერთი უზარმაზარი, სხლარტი და მაღალი კი არა, უფრო განზე გაწეულ-გაბებღილი, ქანჩახ-ქარაფებიანი მთა, რომელსაც ხალხი სპეროზას ეძახის. მდინარე ალაზნის მარჯვენა მხრით სპეროზას ქვემოდან შესცქერის ერთი მთა, რომლის წვერზე მოსჩანს რაღაც ძველი ნანგრევები და ამ ნანგრევებს ხალხი „სპეროზას წმ. გიორგის“ სახელით იხსენიებს.

აქ სალოცავად დადიან 10 გიორგობისთვის უფრო კახეთიდან, თვით იქ, ადგილობრივ, ასვლა მონადირეს გარდა სხვა კაცთაგან ძნელია, გზა მდინარე ალაზნის მარცხნივ შეუდის და ამავე მხარეს სალოცავს პირდაპირ ტყიანს პატარა გორაზე სასანთლეა გაკეთებული და მლოცავი იქა დგება ღამის სათავედ.

ვიდრე მლოცავი ამ ადგილს მიაღწევს, ერთი კარგა მაღალი და ტყიანი მთა უნდა გადაიაროს. გზა მიდის იმისთანა ფერდობზე, ლილასავით ლურჯ სალ კლდე ტინზე, რომ რაც უნდა შეჩვეული თვალი შეხვდეს, მაინც შეეშინდება. ერთი უცბად რომ ცხენს ან კაცს ფეხი წაუფორთხილდეს, ოცი საჟენის სიმაღლიდან ისე დაეცემა ძირს მდინარე ალაზნის რიყეზე, რომ გზად ვერ მოხვდეს. აი, ამ გზაზე, ამ სალ-კლდე ტინზე ერთ ადგილას ამოჭრილია ვერშოკნახევარი სიგრძე და ვერშოკის სიგანე, რაშიც, მართლა, ჯორის ერთი ფეხი ჩაეტევა.

ამაზე არსებობს ხალხში შემდეგი ლეგენდა: იესო ქრისტე რომ ქვეყნად დაიარებოდა, სხვათა შორის, იმოგზაურა იმ მთებშიც, რომელზეც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი. იქიდან რომ მოდიოდა, ჯორზე იჯდა და ჩონგურს უკრავდა. გზაში აუჩნდა ეშმაკი და ჩამოეკიდა. მაგ დასაკრავის სახელი უნდა მასწავლოო, ქრისტე ყურსაც არ უგდებდა ეშმაკს და ჩონგურის დაკვრას განაგრძობდა. ეშმაკმა რომ თხოვნით ვერაფერი გააწყო, ისევ თავის ხერხს მიმართა: ქრისტეს გზა მოუჭრა, წინ ჩაუსაფრდა და ჯორი დაუფრთხო. ქრისტემ თავის ჯორს შესძახა: „დაიცა წყეულო, ჩონგური არ გამატეხინოო“.

ამნაირად, ეშმაკმა თავის მიზანს მიაღწია და ის ნაფეხურებიც მაშინ დააჩნდა იქ, კლდესა, რომელსაც ხალხი დღეს „ჯორის ნაფეხურს“ ეძახის.

მართლაც, ხალხი რაღაც სასოებით უყურებს ამ ამოჩვრეტილ კედლებს. საზოგადოდ ეგრე მგზავრი ფეხს არასოდეს არ ადგამს ამ ადგილას, ხოლო სალოცავად მიმავალი კახეთის ხალხი რომ გაივლის, თვითოეული მათგანი აავსებს ამ ამოჭრილს ტინს ღვინით, დაილოცება, დაეწაფება და მოსწრუტავს. მერე ისევ აავსებს ზედ ერთ შოთ პურს დაადევს და ისე წავა“. [1:15]

ამირანის მიჯაჭვის ადგილას - სპეროზას შესახებ ნარკვევში კი ვკითხულობთ: ,,ხალხში დღესაც დარჩენილია თქმულება, მითომ ამ მთებში იყო დაბმული და დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ქუხდეს ხანდახან ალბათ იმავე თქმულების მიზეზით - მთის წინიდან შუბლში ერთი გამოწეული რუივთ სერი ჩამოსდის და ამ სერს ხალხი ამირანის კუჭს ეძახის: [1:16]

ამას გარდა, აშკარა გახდა პანკისის ხეობის ქისტებში ორი რელიგიის, ისლამისა და ქრისტიანობის დაპირისპირება. დუისში ისლამმა იძალა და მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ამ რელიგიის მიმდევარი იყო, თუმცა, ქრისტიანულ დღესასწაულებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ხოლო ჯოყოლოსა და ომალოს მაცხოვრებლები ქრისტიანული სარწმუნეობის მიმდევრები იყვნენ. ამასთანავე, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პანკისში დასახლებისას ჯოყოლოელები ქრისტიანები არ იყვნენ და არც ისლამს აღიარებენ. მათი გაქრისტიანების ამბავს დაწვრილებით გადმოგვცემს მათე ალბუთაშვილი, რომელიც 1863 წელს იანვარში დაიბადა, ხოლო 1866 წელს ჯოყოლოელები ქრისტიანულად მონათლეს. იგი ასე აღწერს ამ პროცესს: ,,რომელიმე მონათლულისათვის რომ გეკითხა დანათვლის ამბავი, გეტყოდა: ,,რა დაგვანათლეს - სტრაჟნიკებით ძალად დაგვაქუჩეს, ჩაგვწერეს დავთარში. მდინარე ალაზანზე დააგუბეს წყალი, მიგვრეკეს, დაგვატიტვლეს კაცი, ქალი, ნიფხვების ამარად, ჩაგვყარეს წყალში, კარგა დაგვწუწეს დასიცხული კამეჩებივით, ამოგვრეკეს თითოობით, შუბლზე რაღაც ზეთი წაგვისვეს და თან გვეუბნებოდნენ: - შენ პეტრე გქვიან, შენ - ივანე, პავლე, მიხა და სხვა. დანათლულები ხართ, წადით ახლა, იარეთ ეკლესიაში,

პირჯვარი დაიწერეთ, მარხვა შეინახეთ, ილოცეთ, როგორც მღვდელმა დაგარიგათ, ეზიარენით და სცხონდებითო“.

სხვა გეტყოდათ: „ხელებზე წყალი დაგვასხეს, დაგვაბანინეს და გვითხრეს - წადით მონათლულები ხართო. ქვას რომ წყალი გადაავლო, ქვა დარჩება, განა აგური გახდებაო“. „ეს მართლაც ასე იყო - აგრძელებს მათე ალბუთაშვილი - არა სტყუოდნენ. მაშინ ტყეში გაქცეული, დამალული ბევრი დარჩა ფორმალურად მოუნათლავი, ხოლო დავთარში ჩაწერილი იყო და მონათლულს ეძახდნენ.

არც ერთმა - დიდმა თუ პატარამ, პირჯვრის წერა, ზიარება რა იყო, არ იცოდა. ეკლესიაში რომ ქუდი შეგეგდო, გამოსატანად იქ არ შევიდოდა, მღვდელს კი ეწერა დავთარში აღნიშვნით: „თქვა აღსარება და ეზიარაო“.

ეს გახლდათ პანკისში ახლად ნაქადაგები სარწმუნოება ქრისტესი ახლად ნათელღებული ქისტების მიმართ“.

პანკისის ხეობაში ამ ორი რელიგიის პაექრობაში იქმნებოდა რელიგიური თქმულებები და ლეგენდები, რომლებშიც ნათლად იკვეთება ამ რელიგიათა პაექრობა. ამ ფაქტის ილუსტრაციისათვის იგივე ავტორის მიერ ჩაწერილ ერთ ლეგენდას მოვიყვანთ: „რჯულის გულისთვის ქისტ კაცს ფიცი ცოდვად, დანაშაულად მიაჩნია - თითონ მახმადმა ეგრე სთქვაო - ამიტომ ამ ლეგენდარულს ეპიზოდებს ფიცით უმტკიცებენ და აჯერებენ მსმენელებს.

ისინი ასე ამბობენ: ქრისტე და მაჰმადი ძმები იყვნენ მხოლოდ მამით, დედით თავთავადნი; ქრისტე აბრაამის ცოლის - სარას - მხრით, ხოლო მაჰმადი აბრაამის ხასის -აგარის - და მისი შვილის იზმაილის მხრით.

ქრისტე იყო ბოლოდან მეორე წინასწარმეტყველი, მან ვერ დასდო წესიერი რჯული და მოკლეს, მაჰმადი იყო

ბოლოდან პირველი და უკანასკნელი წინასწარმეტყველი (ფეიხჳმარ), თავი და ბოლო სამდვილი რჯული და ზეცად ამაღლდა ცოცხალი.

მაჰმადმა უთხრა ღმერთს: მთლად მოვსპოთ ქრისტიანიო! ღმერთმა უპასუხა: ქრისტიანი რომ მოვსპო, ჯოჯოხეთი ცარიელი დარჩება და ეშმაკები აჯანყდებიანო!

მაჰმადიანების სამოხეს შვიდი ბრწყინვალე მზე ანათებს, სამი შუაში და ოთხი კუთხეებში, ქრისტიანებისას - ერთი ბუნდი მთვარე. ქრისტიანებს მიტომ აქვთ სანთელი მოგონილი.

ქრისტიანი რომ ლოცულობს, სულ იმას ამბობს, ცოდვილი ვარო და ჯოჯოხეთი იმიტომ არის საკუთრივ იმათთვის გაჩენილი.

მაჰმადს უთქვამს - რასაც ერთი კარგა აკიდებული ვირი ნახევარი დღის მანძილს გაივლის, იმდენი თუ ქრისტიანის სოფელზე გასავლელი გზა გაქვთ, მარხვას ნუ შეინახავთ, არა უშავს.

ვითომ ქრისტიანებმა არ იციან მარხულობა, რადგანაც ლობიოთი და ზეთით, კარტოფილით ძღებიან.

მაჰმადმა დილით გაიარა ქალაქის ბაზარზე. ხალხი ჩაის სვამს, მშვიდად მუსაიფობს, ზოგი ტკბილი სალმით, პირზე კოცნით ერთმანეთს ემშვიდობება. მაჰმადმა სთქვა - ჩაი ჩემი რჯულის კაცისთვის დამილოცნია, ალალი იქნასო.

სადილობისას გამოიარა და ნახა - ხალხი ჩხუბით, ლანძღვა-გინებით, მუშტით, ჯოხით და ხანჯლებითაც კი ერთმანეთს ეტანებიან, ზოგი თავგატეხილი სისხლში ბანაობს. მაშინ მაჰმადმა სთქვა - ღვინო ჩემი რჯულის კაცისთვის დამიწყევლია - არამი იქნასო.

მაჰმადის დედის სახლის დერეფანზე, უცბად, შემთხვევით, მელოგინე დედაკაცმა გაირბინა - ზოგის თქმით, შვიდი წლის გაუბანელმა.

მაჰმადის დედა წამოხტა მაშინვე, ხელი მოავლო ასტამს, ცოცხს და იმ დედაკაცის ნაფეხურიდამ მიწა აფხიკა, ცოცხით ასტამზე მოაქუჩა და გაიტანა გარეთ ეზოში გადასაყრელად.

ეზოში ხალხმა მიაძახა - არ ქნა, შენი ჭირიმე, მე ნუ დამაყრიო, შეეხვეწა. იქიდამ წაიღო წყალში გადასაყრელად.

წყალმა შემოიძახა გაჯავრებულმა: შენი შვილის გულისთვის მე არ დამაყაროო. იქიდამ გააქცია და კლდეში გადაუძახა. იქა წოლილა ღორი, რომელსაც ზედ დაჰყრია ის მურდალი მიწა. იმის სიმძიმით ეხლა ღორი მუდამ ჭყმუტუნებს და ღრუცუნებს. იმ მიწის სიმურღლით ბალანი წელიდან მთლად გასცივდა და თეთრი ბალანი მოუვიდა. რომ ვიცოდეთო იციან, რომელ გვერდზე დაეყარა ის მურდალი მიწა, მეორე გვერდი გვეჭმებოდა და კიდეც ვჭამდითო“.

ძალზე საყურადღებოა ქისტური ლეგენდა ვაინახების წარმოშობის შესახებ, რომელიც მსგავსია თერგალის შესახებ არსებული ლეგენდისა, მაგრამ ამ ლეგენდას საქართველოსთან ურთიერთობაში მოხდა განვითარება.

ცხოვრობდა კაცი, რომელსაც სახელად თურფალი (ქისტგმირი) ერქვა. გადმოცემის თანახმად იგი არაბეთიდან იყო. ყურეიშიტების (მოციქულ მუჰამედის პირდაპირი შთამომავლები) გვარისა იყო ამაყი და ხალხს ჩაგრავდა. ყურეიშიტების გვარის ხალხმა იგი მძინარე აიყვანეს გემზე, ჩვენს მხარეში ჩამოიყვანეს და აქ დატოვეს. თურფალი თანდათანობით ღრმად შევიდა მთებში და მიაღწია ჩრდილო-კავკასიაში ქისტების ქვეყანას, სადაც იმ პერიოდისათვის არც მხეცი, არც ფრინველი

არავინ ცხოვრობდა ამ ველურ მთებში. აქ იგი დასახლდა გამოქვაბულში, მოაშენა საქონელი, ცხვარი და დაიწყო ცხოვრება. დილით, როცა გარეკავდა საქონელს, გამოქვაბულის შესასვლელს კეტავდა უზარმაზარი ლოდით.

ამ ადგილებში ნადირობისას, სრულიად შემთხვევით ამ გამოქვაბულს მიადგა ქართველი თავადი თავისი ამალით. დაინახეს, რა გამოქვაბული და ვეებერთელა წინაღობა შესასვლელში, - ქართველებმა თქვეს: ,,ჩვენ ვერ შევძლებთ ვებრძოლოთ ადამიანს, რომელსაც ასეთი ლოდების აწევა შეუძლია“ და დაბრუნდნენ სახლში. აქ მათ შეარჩიეს ლამაზი მონა ქალი და გაგზავნეს დევგმირთან. მან მიიღო სტუმარი როგორც წესად იყო და ყოველ ღამე ცხვარს კლავდა მისთვის. ასე გავიდა სამი ღამე და დევგმირმა დაუწყო გამოკითხვა ქალს: ,,მითხარი ვინ ხარ და სადაური?“ ,,მე ბევრი გამიგონია შენს შესახებ, შემიყვარდი და მოვედი შენთან საცხოვრებლად“, უპასუხა ქალმა. ,,მე არ მიყვარხარ და შენთან ცხოვრებაც მიჭირს“ თქვა დევგმირმა და დააბრუნა უკან. მას შემდეგ დამკვიდრებულა ჩვეულებად და ტრადიციად: სამი დღის შემდეგ სტუმარი კარგავს სტუმრის უფლებას.

მაშინ ქართველებმა მიუგზავნეს დევგმირს სხვა ქალიშვილი, არა მონა, მაგრამ არც თავადური წარმოშობისა. დევგმირი მასაც ისევე მოექცა, როგორც პირველს. ბოლოს, ქართველმა თავადმა მასთან გაგზავნა თავისი ასული. თავადის ასული მაშინვე ითავსა დევგმირმა და სამი ღამის გასვლის შემდეგ დაიწყო მასთან ცხოვრება, როგორც ცოლთან. მაშინ ქართველებმა მოილაპარაკეს ქალიშვილთან, რათა მას ქმრისათვის დაელევინებინა საძილე სასმელი. იგი შეკრეს და მთელი თავისი ჯოგით წაიყვანეს საქართველოში. აქ შეიკრიბნენ თავადები სათათბიროდ. ერთნი სთავაზობდნენ დაეხვრიტათ

თოფით, მეორენი - ჩაემწყვდიათ კასრში და ჩაეგდოთ წყალში, მაგრამ ქალიშვილმა მამას შეუთვალა: „ტანით ხარივით ხარ - ჭკუით კი ხბოზე სულელი. მე ორსულად ვარ, კარგია თუ გოგონა დამებადა, მაგრამ თუ ბიჭი დაიბადა, მე მას ვერ გავუმკლავდები. მამის სიკვდილს ის გულთან ახლოს მიიტანს და შურს იძიებს მამის სისხლისათვის“.

მამა და მთელი თავადობა იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ ამ მოსაზრებას, ქალიშვილს გამოუყვეს ქონების ნაწილი, რომელიც წესით ეკუთვნოდა და კვლავ დაასახლეს დევგმირი ცოლთან ერთად ძველ ადგილას. აქ გაუჩინა მას ბიჭი, რომელსაც ხელში ფოთოლი ეჭირა და უწოდეს მას ფოთოლი (ღა-ქისტურად), რომელსაც შემდგომში ღალღა ეწოდა და აქედან უწოდეს ინგუშებს ღალღაი. მეორე ბიჭი დაიბადა ყველით (ნეხჩ) ხელში. უწოდეს მას ნოხჩუო (ე.ი. ჩეჩენი). [6,200-219]

ცხადია, ვაინახების წარმოშობის საკითხის მხოლოდ თქმულებებზე და ლეგენდებზე ან ფოლკლორულ სხვა წყაროებზე დაყრდნობით გადაწყვეტა და დასკვნების გაკეთება მართებული არ იქნებოდა. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: „ჩეჩნები და მათი ყველაზე ახლო მონათესავე ხალხი - ინგუშები კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას მიეკუთვნებიან“ [7,12[

საინტერესოა ვაინახთა ისტორიის და კულტურული მემკვიდრეების ერთ-ერთი დიდი მკვლევარის ა.ხ. ტანკიევის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ მთელი ეს მემკვიდრეობა „სულიერი კოშკებია“. „თუ კი შესაძლებელი იქნებოდა სიტყვის სიტყვასთან, იდეის იდეასთან, ჩვეულების ჩვეულებასთან, ადათის ადათთან, ტრადიციის ტრადიციასთან შეერთება, შეკრება და მათგან სანახავი კოშკების აშენება, ქვეყანა ისევე

იქნებოდა გაკვირვებული, აღფრთოვანებული და მოხიბლული, როგორც გაკვირვებული, აღფრთოვანებული და მოხიბლული ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ქვის კოშკებით“ [8,3]

ამ მკვლევარის აზრს აგრძელებს და ავითარებს მექა ხანგოშვილი, როცა ამბობს, რომ „გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან გარიდებული ვაინახთა წინაპრები გამაგრდნენ მიუვალ მთებში, მთების სწრაფ მდინარეთა ხეობებში, უღრანი ტყეებითა და სალი კლდეებით გარშემორტყმულ ტაფობებში და შექმნეს ორიგინალური მატერიალური და სულიერი კულტურა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში მთიანეთში შემორჩენილ არქიტექტურულ ძეგლებს განცვიფრებაში მოჰყავს მხილველი და ამ გრანდიოზული კოშკების ბინადართა მიერ შექმნილი ლეგენდების, მითებისა და სიმღერების მოსმენით მოხიბლული რჩება.

გადმოვინაცვლოთ კავკასიის სამხრეთ კალთებზე, ვაინახების მოსაზღვრე საქართველოს მთიანეთში და ასევე განცვიფრებული შევყურებთ ყოველ გორაზე, მიუვალ სალ კლდეებზე აღმართული ტაძრებსა და ციხე-სიმაგრეებს და თავისდაუნებურად ერთმანეთს ვადარებთ ამ ორი მოძმე ხალხის არქიტექტურულ ნამუშევრებს და უთუოდ ბევრ საერთოს ვპოულობთ, რაც ბუნებრივი და კანონზომიერია.

... არსებულ ლიტერატურულ წყაროებზე, საარქივო მასალებზე, ფოლკლორულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აშენებდნენ საბრძოლო კოშკებს ვაინახები. კოშკებს აშენებდნენ ქვის ოსტატები, რომლებიც ეკუთვნოდნენ მშენებელ-არქიტექტორთა გამოკვეთილ გვარს. შესაძლოა წარმოადგენდნენ თავისებურ კასტას.

დამკვეთი კოშკის მშენებლობისათვის იხდიდა გარკვეულ საზღაურს და ოსტატების კვებაც მას ეკისრებოდა, აგრეთვე, სამშენებლო მასალით უზრუნველყოფაც. მშენებლობა

ერთ წელიწადში უნდა დასრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რჩებოდა იმ სახით, რა დონეზეც წელიწადი შესრულდებოდა. ფოლკლორი არ ხნის ამ მკაცრი წესის მიზეზს.

საბრძოლო კოშკის მშენებლობის ადგილის შერჩევა ყველაზე საპატიო საქმე იყო (თავდაცვა, ადგილმდებარეობის მეთვალყურეობა, ლანდშაფტთან ჰარმონიულობა და სხვა) მოითხოვდა პროფესიულ გამოცდილებას და ოსტატებიც დიდ სამუშაოს ატარებდნენ საამისოდ: სამი დღის განმავლობაში საბრძოლო კოშკის ბუნებრივ საძირკველზე (კლდიან ქანზე) ყოველ დილით ასხავდნენ რძეს და თუ მეოთხე დღეს რძე შეწოვილი არ იყო ქანში, ადგილი ითვლებოდა საიმედოდ და იწყებდნენ მშენებლობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშენებლო ქვის შერჩევას: ყურადღება ექცეოდა არა მარტო სიმტკიცეს, სიმსუბუქეს, არამედ გარეგნობას, ფერს. ესთეტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასდებოდა ლურჯი ფერის ქვა, რომელიც გარემოს ეხამებოდა და ამავე დროს, მას ენიჭებოდა მითოლოგიური თვისება ბავშვის შობისა. ამ მხრივ საინტერესოა მითი იმის შესახებ, თუ როგორ დაიბადა ვაინახების მითოლოგიური გმირი სოლსა სესქას ძე. „ერთი ქალიშვილი ბროხას წველიდა; იმ ადგილთან ახლოს, იყო ლურჯი ქვა. ერთი ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც უყვარდა ეს ქალიშვილი, დაჯდა ამ ქვაზე და უყურებდა რა მას, აღეგზნო, რის გამოც მასში რაღაც მოხდა და ამისგან ქვაში განვითარდა ჩანასახი სოლსა სესქას ძისა. ამის შესახებ გაიგო წმინდა ქალმა სეთა სიელამ. ასული წავიდა, გატეხა ქვა და გამოიყვანა იქიდან სოლსა სესქას ძე.

ვაინახურ მითოლოგიაში სოლსა სესქას ძე ნართ-ერსთხოელი, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ეროვნული გმირი, როგორც ფიზიკური სიძლიერით, ისე

რაინდული კოდექსით ძალზე ენათესავება ქართულ ხალხურ ამირანს. ორივე გმირის წარმოშობაში ღვთიური ელემენტი არსებობს (ამირანი ქალღმერთი დალისა და მონადირის შვილია, სოლსა სესქას ძეც არაბუნებრივად, ადამიანის ზემდგომი ძალით ჩაისახა და ღმერთის ასულმა გაზარდა), მათი დაბადებაც მსგავსია: ამირანი დედის მუცლიდან ქირურგიული ჩარევით გამოიყვანა მონადირე სულკალმახმა და სოლსა სესქას ძეც სიელთას ქალიშვილმა სეთამ გამოიყვანა ქვიდან, მისი გატეხვით. მათი მოღვაწეობის დასასრულშიც ღვთის ხელი ურევია. ამირანი კავკასიის ქედზე ქრისტე-ღმერთის ბრძანებით მიაჯაჭვეს და მის წინააღმდეგ ამხედრებისათვის სასტიკად იწამება: არწივი გულმკერდს გადაუხსნის ბრჭყალებითა და გულღვიძლს უკორტნის. ასევე, ღმერთ დეელას რჩეული აულის დარბევისათვის დაისაჯა სოლსა სესქას ძეც, რომელმაც პროტესტის ნიშნად გამდნარი სპილენძი დალია და წამებით მოკვდა.

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ იდეურ ნათესავად ქართველ ამირანს უფრო ვაინახთა ფჰარმართი[1] ერგება, რადგან ისიც ამირანივით კავკასიის ქედზე, ბაშლამის[2] წვერზე მიაჯაჭვა ღმერთმა სიელამ, ადამიანებისათვის ცეცხლის გატაცების გამო და ფრინველთა მეფე იდა ფოლადის ნისკარტს ქვაზე ილესავს და ღვიძლს უკორტნის ფჰარმართს მუდამდღე. [9,21]

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში საქართველოდან და საბერძნეთიდან ვაინახებში ვრცელდებოდა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც, როგორც რელიგიური ხასიათის ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, საკმაოდ ნაყოფიერ ადგილს

---

[1]ფჰარმართი - მითოლოგიური გმირი

[2]ბაშლამი - თოვლიანი მწვერვალი

პოულობს ვაინახებში. ქართველი მისიონერები ჩრდილო კავკასიაში თავიანთ მოღვაწეობაში არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ქრისტიანობის ზეპირი ქადაგებით, სახარებისა და სხვა საეკლესიო წიგნების გავრცელებით, რადგან ვაინახებს იმ პერიოდისათვის არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა (სავარაუდოდ, ამ დაბრკოლების დაძლევისათვის ქართველებმა საჭიროდ მიიჩნიეს მეზობელი მონათესავე ხალხში თავიანთი ანბანი გამოეყენებინათ. ასეთი მოსაზრება საკმაოდ აქტუალური ხდება თანამედროვე მეცნიერებაში). არამედ აგებდნენ ეკლესიებს, სალოცავებს, მოთმინებითა და დიდი ძალისხმევით ხდებოდა ქრისტეს მოძღვრებაზე მთიელთა მოქცევა, თუმცა, ამ პროცესს აძნელებდა ის გარემოება, რომ კავკასიის ქედის გავლით სამხრეთიდან გზას იკვლევდა მუსულმანური სარწმუნოება.

ამ პროცესების პარალელურად ხდებოდა ვაინახური საგმირო ეპოსის განვითარება-გაძლიერება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული პირების მოქმედებათა ასახვა ხდება მხატვრულ ფორმაში და მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება ფაქტებისა და მოვლენების რეალობაში წარმოსახვით. ,,იდოლი“ არ ტოვებს ეჭვის ნატამალსაც, რომ მათში ასახული მოქმედი გმირები და მოვლენები რეალურად არსებობდნენ წარსულში. ,,იდოლის“ შემოქმედი მთელ თავის ოსტატობას, ძალას და ენერგიას მიმართავს იქითკენ, რათა მსმენელი დაარწმუნოს, რომ მისი მონათხრობი სინამდვილეს შეეფერება“. [9:31]

ასეთი, ისტორიულ პირთა ცხოვრებასა და გმირობაზე დაფუძნებული ლეგენდების თვალსაჩინო მაგალითია შამილის ერთ-ერთ უძლიერეს ნაიბზე, ბაისუნგურ ბენოელზე არსებული ლეგენდა, რომელიც შემდეგს მოგვითხრობს: ,,როგორღაც,

შამილის დროს ორი საჯარისო შენაერთი შეხვდა ერთმანეთს: მეფის რუსეთისა და შამილის რუსთა რიგებიდან გამოემართა ერთი გაბედული კაზაკი, რომელიც ჩეჩნებში ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მებრძოლი. მან ჩეჩნურად მიმართა მთიელებს, რათა მათ შორის ყველაზე ძლიერი გამოჩენილიყო მასთან საბრძოლველად. ეს ტრადიცია იმ პერიოდისათვის საკმაოდ პოპულარული იყო და ვაჟკაცობის საუკეთესო გამოვლინებად ითვლებოდა. ჩეჩენთა რიგებიდან ეს გამოწვევა მაშინვე ბაისუნგურ ბენოელმა მიიღო (ბენოინ ბაისხარ). იგი იყო ცალთვალა, ცალფეხა და ცალხელა. ცხენზე თოკით დამაგრებული ორივემ ხმალი იშიშვლა და ცხენებით ერთმანეთისაკენ გამოექანენ. მიახლოვებისას ორივემ ერთდროულად მოიქნია ხმალი. კაზაკის ცხენი ადგილზე გაშეშდა და მისი მხედარიც ადგილზევე დარჩა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ბაისუნგური კი უკან დაბრუნდა. შამილმა ნაიბის მკერდზე შენიშნა საკმაოდ დიდი ჭრილობა, საიდანაც სისხლი მოჩქეფდა.

იმამმა წამოიძახა:

-ბაისუნგურ! შენ ყველა გიცნობს, როგორც დაუმარცხებელ და სახელგანთქმულ მებრძოლს. როგორ შეგეძლო სირცხვილი გეჭმია შენთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც, აბა უყურე კაზაკი ცხენზე ზის, შენ კი ასეთი ჭრილობით დაგვიბრუნდი.

-მოიცადე ცოტა ხნით, იმამო, - უპასუხა ბაისუნგურმა - კაზაკის ცხენი ჯერ ადგილიდან არ დაძრულა.

კაზაკთან დაბრუნებული ნაიბი მიუახლოვდა მის ცხენს, რომელიც ადგილიდან დაიძრა და რამდენიმე ნაბიჯით გაეცალა მას. მხედარს თავი მხრებიდან ჩამოუვარდა ...

შესაძლოა დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებლად ან გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ხალხში დღემდე

შემონახული ამბავი „რუსთა რისხვის“ ბაისუნგურის შესახებ, მაგრამ ამ პიროვნების ცხოვრების წესი, მისი წარმოუდგენლად დიდი ავტორიტეტი მოსახლეობაში, მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, რომელიც ნაიარევებით, ჭრილობებითა და სხეულის ნაწილების დაკარგვით იყო აღსავსე, ალბათ ქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ მის ბევრ ქმედებაში ადამიანებს რაღაც ღვთიური, ზებუნებრივი ძალა დაენახათ. ერთი რამ ცხადია, რომ ადამიანებისათვის იგი იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო, ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ამ პიროვნებაში მტერმა ვერ ჩაკლა ბრძოლის ჟინი, რადგანაც მთელი მისი არსება ამ ჟინით იყო აღსავსე. სწორედ ამიტომაცაა, რომ მისი პიროვნებისათვის უცხო იყო შიშის გრძნობა. თავისი ბუნებით მას ვაჟას ლიტერატურულ გმირებს შევადარებდი, თუმცა, როგორც ისტორიული, რეალური პიროვნება, მიმაჩნია, რომ იგი მათზეც მაღლა დგას“. [10:42-44]

საკულტო ძეგლები

როცა პანკისის ხეობის საკულტო ნაგებობებზე ვსაუბრობთ, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ხეობის პერიმეტრზე, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერდობებზე მრავლადაა განფენილი სხვადასხვა დროის საკულტო ნაგებობები. მათ შორის შეიძლება ცალკე გამოვყოთ მდინარე ალაზნის პირას, ჭალაზე, სოფ. დუისის აღმოსავლეთით მდებარე ნიში, რომელსაც ქისტები მაისტალას ეძახდნენ, რადგანაც, როგორც ჩანს, მაისტიდან იყო გადმოტანილი მ. ალბუთაშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდის ამ სალოცავთან დაკავშირებით: „...გადმოცემით ვიცი ამ შენობაში იყო ხისგან

გამოკვეთილი ბავშვის სახე, მთლად ვერცხლში ჩასმული, ხელში ხმლით და ითვლებოდა ომის ღმერთად. ამ ხატს დუისელები ამ ბოლო ხანამდე, წმ. გიორგის სახელობით იცნობდნენ და ლოცულობდნენ იმხანად, ყოველ გიორგობას.

XIX ს-ის ოთხმოციან წლებში მაისტალა დაიკარგა, ზოგი ამბობდა, ისევ პირიქით ქისტებმა მალვით წაიღესო, ზოგი - ვერცხლის გულისთვის მოიპარესო. თვით შენობის შუბლის ქვაზე ჰქონდა შემდეგი წარწერა: „მე პანკისის მოურავმა ... აღვაშენე ნიში ესე ... წმ. ნიზის სახ... ჩემის და ჩემის მეუღლის ... საოხად“.

მატიანე როგორც გადმოგვცემს, კახეთში მოურაობა იყო XV საუკუნეში და ამავე ჭერ-შენობანიც უნდა იყოს ამ საუკუნისა.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ ეს ნიში შეაკეთა იმ აზრით, რომ დუისის ახლად მონათლულ ქისტებს ევლოთ იქ, ელოცნათ და ზიარებულიყვნენ, მაგრამ მდინარე ალაზანმა წაიღო შენობა 1903 წელს და იქ ყოფილიყო სასაფლაოც“. [1:43]

ალაზნის ჭალის გასწვრივ მთელს გაყოლებაზე სხვა მსგავსი სალოცავი არ ყოფილა, რადგანაც მდინარის ადიდება საფრთხეს უქმნიდა შენობა-ნაგებობებს და ამდენად მოსახლეობა ერიდებოდა ასეთ ადგილებში სალოცავების მშენებლობას.

სამაგიეროდ, სოფლის მოპირდაპირედ, აღმოსავლეთის მხარეს გორაზე „მღვიმეში“ როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ, შემორჩენილია სალოცავის ნანგრევები, ხოლო სოფ. კუწახტის ჭალაში, დასავლეთის მხარეს შემორჩენილია პატარა შენობა, რომელსაც კუწახტის ღვთისმშობელს ეძახიან. მასში ათიოდე კაცი თუ დაეტევა. პიტალო ქვით არის ნაშენები. მას

თაღიცა და სახურავიც კი სიპი ქვისა აქვს. ერთი კარი აქვს დასავლეთ მხარეს, ხოლო პატარა სარკმელი აღმოსავლეთით.

სოფ. ყვარელწყლის ქვემოთა მხარეს, როგორც ჩანს საკმაოდ მოზრდილი შენობის ნანგრევებია შემორჩენილი, სადაც ამ სოფლის მოსახლეობა ყოველწლიურად კვირა-ცხოვლობას აღნიშნავენ.

სოფ. კაკლიანის ბოლოში ბალთა გორის ფერდობზე პატარა ეკლესია იყო, რომელსაც ბალთაგორის ღვთისმშობელს უწოდებენ. ეს შენობა კუწახტის ღვთისმშობლის ეკლესიის ანალოგი იყო, რომელიც ნანგრევებად არის გადაქცეული. აქვეა შემორჩენილი ყურძნის საწური საწნახელი, რომელიც მეტყველებს, რომ პანკისში ერთ დროს საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ღვინის დაყენებისა და ყურძნის მოყვანის კულტურა. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილს ბალთაგორს უწოდებენ და არც თუ შემთხვევით. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ამ ადგილის ფერდობებზე საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული გარეული ალუბლის ხეთა ჯიში, რომლებზედაც შავი ფერის, იზაბელის ჯიშის მსგავსი, უკვე გაველურებული ვაზი იყო საკმაოდ მრავლად. სამწუხაროდ დღეს დღეობით არც ბალთა ხეებია და არც ვაზია, რადგან ადამიანის უდიერმა დამოკიდებულებამ ყველაფერი მოსპო.

ბალთაგორის ღვთისმშობლის ეკლესიის უფრო მაღლა, ფერდობზე, შემაღლებულ ადგილას აღმართულია მრგვალი სახის შენობა, რომელიც ქვითაა აშენებული და მრგვალი კოშკის სახე აქვს მიცემული. სამხრეთით, შუა წელზე დატანებული აქვს სარკმელი სავარაუდოდ მას სათვალთვალო კოშკის დანიშნულება ჰქონდა. იქვე მახლობლად, ბალთაგორის ფერდობზე, არქეოლოგებმა ერთ-ერთ სამარხში ოქროს ძვირფასი სამაჯური იპოვეს. სოფ. ზემო ხალაწნის ჩრდილოეთით შემორჩენილია

პატარა ზომის ორი მომცრო საყდარი, რომელსაც ადგილობრივები ,,ღამურას ციხეს“ უწოდებენ. აქვე, ჩრდილო-აღმოსავლეთით აშენებულია ორი კოშკი, რომელთაგან ერთს ,,გვერდმოშლილ ციხეს“ და მეორეს კი ,,ფათალიან ციხეს“ ეძახიან.

ალაზნის სანაპიროს სიახლოვეს, ქვემო ხალაწნის დაბლა, მთების ძირში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნასოფლარი, რომელსაც სამნავიანი ეკლესია ამშვენებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე პანკისის ხეობაში თორღვას ციხე წარმოადგენს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა პანკისის საფეოდალოს პოლიტიკურ ცენტრს. პანკისის ციხე-სიმაგრე ადრე-ფეოდალურ ხანაში არის აგებული. ე.ი. მანამდე სანამ კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გაერთიანება მოხდებოდა. ამ პერიოდისაა კახეთ-ჰერეთის ისტორიული ძეგლები, როგორიცაა: კვეტერა, ნეკრესი, ვეჯინი და სხვა.

დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, ,,პანკისის ციხე-სიმაგრის გეოგრაფიული მდებარეობა ნათლად გვიჩვენებს მისი წარმოქმნის ეკონომიკურ არსს. თუ ერთი მხრივ, იგი გაბატონებულია ხალაწან-პანკისის და მდინარე მააჭარეულის ველზე და, ამდენად, უეჭველია, ამ დაბლობის ინტენსიურ მეურნეობას უწევს ექსპლუატაციას, მეორეს მხრივ, იგი მთისა (თუშეთის) და ბარის (ალაზნის ველი) დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე დგას და, ცხადია, ახორციელებს კონტროლს გზაზეც და ამ გზით დაკავშირებულ მხარეებზეც. კერძოდ, თუშეთის ცხვრის ექსპლოატაცია თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც პანკისის ციხის პატრონის ხელში

უნდა ყოფილიყო“ [11:43] დ. მუსხელიშვილს საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ამ ისტორიული ძეგლის შემადგენლობა, რის გამოც მხოლოდ აღნიშნულით შემოვიფარგლებით.

პანკისის ხეობა დაფარულია სხვადასხვა პერიოდის ფეოდალური ხანის ნასოფლარებით, ეკლესიებით და მონასტრის ტიპის ძეგლებითა და ქვევრებით, საწნახელებითა და მარნებით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სოფ. ბირკიანში დღემდე შემორჩენილი ადრეფეოდალური ხანის ეკლესია ცქვიტაძის ყურეში, რომელშიც ადგილობრივი მოსახლენი თუშებიც და ქისტებიც 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულს ერთად ზეიმობდნენ. აქვე, ამ ეკლესიის მახლობლად აღმართულია საგუშაგო კოშკი.

საინტერესოა, რომ ასეთივე მსგავსი საკულტო ძეგლები გვხვდება პანკისის ხეობის თითქმის ყველა სოფელსა და ნამოსახლარში. მაგალითად სოფ. ჯოყოლოს დასავლეთით სიღრმეში შედის პატარა ხეობა, რომელსაც ჭობიოს ხევს ეძახიან. აქ აღმოჩნდა ქვებით შემოღობილი საწნახელი. იქვე ახლოს კი საკულტო ნაგებობის ნანგრევები და საგუშაგო კოშკი. ამავე ხევის თავში შემორჩენილია დანგრეული ეკლესია.

დ. მუსხელიშვილის აზრით, „ასეთი ციხე-სიმაგრეების წარმოქმნა მოასწავებს იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დასასრულს, რომლის შედეგად მთა და ბარი ერთ ფეოდალურ ერთეულად, ერთ „ქუეყანად“ გაერთიანდა [11:45]

რაც შეეხება თორღვას ციხე-სიმაგრეს, მისი მშენებლობისას უამრავი ფაქტორი იქნა გათვალისწინებული, მაგრამ ამ ფაქტორთაგან უპირველესია მისი მთასთან სიახლოვე, განსაკუთრებით მთათუშეთთან სიახლოვე. აღსანიშნავია, რომ პანკისიდან მთათუშეთისაკენ გამავალი გზა ორჯერ უფრო მოკლეა, დაახლოებით 31-32 კმ-ია, ხოლო აბანოს მხრიდან

მთათუშეთისკენ მიმავალი გზა კი 72 კმ-ია. ამდენად, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ციხე-სიმაგრეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ,,ამრიგად პანკისის საერისთაოს აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი სიახლოვე კავკასიონის მთავარი ქედის მაღალმთიან საძოვრებთან კერძოდ, თუშეთთან [22:156]

ქისტების პანკისის ხეობაში დასახლების პერიოდისათვის საკმაოდ მძლავრად იყო შემორჩენილი წარმართული შეხედულებები და წარმოდგენები, თუმცა, ეს ის პერიოდია, როცა ჩრდილო კავკასიაში სერიოზულ დონეზეა ფესვგადგმული ქრისტიანული სარწმუნოება. ამ საკითხის შემსწავლელი მეცნიერები ს. ბრონევსკი, უ. ლაუდაევი და სხვები მიანიშნებენ, რომ ამ ხალხის მამა-პაპა წარმართები იყვნენ, შემდეგ მიიღეს ქრისტიანობა და ბოლოს კი მუსლიმანობა აღიარეს.

აღსანიშნავია, რომ ჩ. ახრიევი აღნიშნავს: ,,მთებში, სადაც ცხოვრობენ ინგუშები, ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი სალოცავი, რომელთა უმრავლესობა სოფლის სახელწოდებას ატარებდა. ამ წმინდა ადგილს ჩეჩნები იარდას უწოდებდნენ, ხოლო ინგუშები წუუ-ს, (ქისტურად წიუ). და მის პატივსაცემად ერთსა და იმავე დღეს ზეიმობდნენ“. [13-3]

ქისტური ადათობრივი სამართალი

ყველა ეთნიკური საზოგადოება განვითარების რა დონეზეც უნდა იმყოფებოდეს, მეტნაკლები დოზით ცხოვრობს საკუთარი ადათ-წესებით. ეს ადათ-წესები სხვადასხვა ეპოქაში დროის მოთხოვნებს პასუხობს და ასევე განიცდის შესაბამის ცვლილებებსაც.

ქისტებმა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს წინაპართა სამშობლო პირიქითა ქისტეთი, საქართველოში ჩასახლდნენ და გადმოიტანეს ის საზოგადოებრივი მართვის სამართალი, რომლითაც რეგულირდებოდა თემის ცხოვრება ისტორიულ სამშობლოში. თუმცა საქართველოში 200 წლიანი ცხოვრების მანძილზე ქისტური სამართალი განიცდიდა ცვლილებებს. ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით ხდებოდა რეფორმები, საქართველოს სახელმწიფოს კანონებთან და ისლამთან შესაბამისობაში მოჰყავდათ არსებული ადათობრივი კანონები.

ადათებში ცვლილებები შეჰქონდა უხუცესებს, უხუცესთა საჭო ან საინიციატივო ჯგუფები ადგენდნენ ნორმებს, აქტებს და გაჰქონდათ ხეობის საერთო ყრილობაზე და დელეგატთა ხმათა უმრავლესობით ხდებოდა ახალი კანონის დამტკიცება.

1965 წელს შედგა პანკისელი ქისტების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც მოხდა ძირეული ცვლილებები ქისტურ ადათ-წესებში. ამ ყრილობაზე უარყვეს დრომოჭმული, ქისტი საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი წესკანონები და გატარდა პრორუსული რეფორმები.

35 წლის შემდეგ, 1990 წელს, როდესაც პანკისში უმართავი პროცესები დაიწყო, უხუცესთა საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა არსებულ ვითარებასთან შესაფერისი მოქმედ ადათწესებში შესატან ცვლილებათა პროექტი და განსახილველად გაიტანა ქისტი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე. ამ ყრილობაზე მიღებულ იქნა ისეთი კანონები, რომელთა ამოქმედების შემთხვევაში

გამოასწორებდა არსებულ უკონტროლო სიტუაციას. მართლაც, ყრილობაზე არჩეულმა უხუცესთა საბჭომ შეძლო

კრიმინალების პარპაშის აღკვეთა, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა ხელი შეუშალეს მოხალისე რაზმების აქტიურობას და დასაბამი დაუდეს ე.წ. პანკისის კრიზისს.

დღეს კრიმინალური კუთხით პანკისში სიმშვიდეა, შეიძლება ითქვას, რომ პანკისი ყველაზე მშვიდი რეგიონია საქართველოში, მაგრამ მიმდინარეობს შიდა პროცესები, რომლებიც არღვევენ საუკუნეების განმავლობაში ქისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ადათ-წესებს, რაც იწვევს ქისტური ეთნოსის ერთიანობის რღვევას, დაპირისპირებას უფროს თაობასა და ახალგაზრდა თაობას შორის რელიგიისა და ადათების საკითხებში.

ჩვენ, პანკისელი უხუცესები, ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი ადათი საჭიროებს გადახედვას, შესაბამისობაში მოყვანას ისლამის დოგმებთან. მაგალითად, ქალიშვილების მემკვიდრეობა ადათ-წესებში შეზღუდულია. არ შეესაბამება ისლამის მოთხოვნებს. ასევე შეუსაბამოა კაცისა და ქალის სისხლის საფასური და სხვ. ჩვენმა წინაპრებმა ისლამის მიღების შემდეგ ადათ-წესებში შეიტანეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ისლამის მოთხოვნებს, მაგრამ დრო იცვლება და როგორც ყურანი გვაუწყებს „ყოველ დროს თავისი წიგნი აქვს“ და ადათ-წესებსაც თავისი დრო აქვს. ზოგი კარგავს თავის ფუნქციას, ზოგი კი იძენს ახალ თვისებას და ზოგიც ითხოვს ცვლილებას.

დღეს XXI საუკუნეში მთელ მსოფლიოში გლობალური ცვლილებები მიმდინარეობს და ჩვენ ქისტები, ერთი პატარა, მაგრამ ისტორიული ხალხი ვერ და არ დავრჩებით თამაშგარე მდგომარეობაში და ვერც და არც შევერწყმებით ჩვენთვის მიუღებელ ე.წ. ცივილიზაციას და შევინარჩუნებთ, ალაჰის შეწევნით, თვითმყოფადობას. ვითვალისწინებ არსებულ

სიტუაციას და ჩვენს მოსახლეობას შევთავაზებთ ადათ-წესებში შესატან ცვლილებათა პროექტს განსახილველად. ეს პროექტი შეიცავდა არა მარტო რეფორმისტულ ცვლილებებს, არამედ პანკისელ ქისტებში მოქმედ ადათობრივი სამართლის კანონების ერთობლიობას. რა თქმა უნდა, ამ პროექტს არ ჰქონდა პრეტენზია, რომ ის სრულად მოიცავდა ქისტური სამართლის კანონმდებლობას, მაგრამ ვიმედოვნებდით, რომ მისი საერთო განხილვის შემდეგ მივიღებდით სრულყოფილ სამართალს. პროექტი დაურიგდება ყველა ქისტურ სოფელს, გვა- რის (თეიფის) და გვარის განშტოების .....) უფროსებს, ავტორიტეტიან ადამიანებს, რათა დეტალურად განეხილათ ყველა გვარში და თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები გამოეთქვათ ქისტური სამართლის კოდექსის ყველა მუხლზე.

პროექტის განხილვა მიმდინარეობდა მოსახლეობაში ოთხი თვის განმავლობაში. ყველა გვარის უფროსი თავის გვარში განიხილავდა ქისტური სამართლის კოდექსის მუხლებს და თავიანთ შენიშვნებს აფიქსირებდნენ.

ქისტური ადათობრივი სამართლის რეფორმირების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა პანკისის ხეობის ,,უხუცესთა კავშირის" გამგეობამ, რომელშიც შედიან :

1. ,,უხუცესთა კავშირის" თავმჯდომარე- ზელიმხან წუწაშვილი;
2. ,,უხუცესთა კავშირის" გამგეობის თავმჯდომარე - ზაურ გუმაშვილი;
3. თავმჯდომარის მოადგილე ელიზბარ მარგოშვილი;
4. ,,უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი პლატონ გუნაშაშვილი;
5. ,,უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ომარ ფარეულიძე;

6. „უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ბააცეი წინწალაშვილი;

7. „უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ჯარაფ ხანგოშვილი;

8. „უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ხასან ცათიაშვილი;

9. „უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ხასო ხანგოშვილი;

10. „უხუცესთა კავშირის" გამგეობის წევრი ნიკო ფარეულიძე.

კოდექსის ჩამოყალიბებულ ტექსტს რედაქტირება გაუკეთა და დიდი სამუშაო გასწია „უხუცესთა კავშირის" წევრმა ხასო ხანგოშვილმა.

საინიციატივო ჯგუფის წევრები ყველა ქისტურ სოფლებში ხვდებოდნენ მოსახლეობას, გვარების უფროსებისაგან ისმენდნენ შენიშვნებს, დისკუსიის შემდეგ შეჰქონდათ ცვლილებები სამართლის პროექტში.

შემდეგ სამართლის პროექტში შეიტანეს ყველა შემოთავაზებული მნიშვნელოვანი ვარიანტი, შეაჯამეს გაწეული მუშაობა და შესაძლებლად ჩათვალეს მისი გატანა ყრილობაზე.

2017 წ. 13 ოქტომბერს შედგა პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იქნა ყველა სოფლიდან 71 დელეგატი. დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: ქისტური ადათობრივი სამართლის (.....) კოდექსის განხილვა და დამტკიცება.

ცხარე სჯა-ბაასისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა წინამდებარე სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა მიღების დღიდან. 2007 წ. 13 ოქტომბრიდან სავალდებულოა ყველა ქისტისათვის ეს სჯულ-სამართალი. ამ დღიდან ამ

კოდექსით იხელმძღვანელებენ ადათობრივი მოსამართლენი (ხელხოი) ყველა სახის დავის გარჩევის დროს.

ქისტური სამართლის კოდექსი მეხქ ბართ

ოთხთვიანი სახალხო განხილვის შემდეგ დამტკიცებულია პანკისის ქისტი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე 2017 წლის 13 ოქტომბერს და ძალაშია მიღების დღიდან.

აქ წარმოდგენილი დანაშაულის ეკონომიკური შეფასება მოქმედებს სამაგიეროს გადაუხდელობით შერიგების დროს.

I თავი მკვლელობა

1. ადამიანის მკვლელობა მძიმე დანაშაულია. სისხლის საფასური შეფასებულია 60 ძროხად. თუ მკვლელობა ჩადენილია სისასტიკით, მიცვალებულის უპატივცემულობით და სხვა მძიმე შედეგებით, არსებულ სისხლის საფასურს დაემატება 9 ძროხა, ე.ი. ამ შემთხვევაში დამნაშავე იხდის 69 ძროხას. 60 ძროხა იყოფა სამ ნაწილად: 20 ძროხა ფეხზე, 20 ძროხა ფულად და 20 ძროხა სპილენძის სახით.

შენიშვნა:

ა) ძროხის ფულადი ფასი განისაზღვროს საბაზრო ფასის საშუალო მინიმუმით 500 ლარით.

ბ) დღეს მოქმედი წესით სპილენძის 1 (ერთი) ძროხის საფასური 30 ლარია, რაც გამოწვეულია სპილენძის გაუფასურებით. ძველად საყოფაცხოვრებო ნივთები, სამზარეულო ჭურჭელი სპილენძისგან მზადდებოდა და ამიტომ დიდი ფასი ედო. მაგალითად, სპილენძის ქვაბი, რომელშიც ერთი ცხვარი

(ჭედილა) იხარშებოდა, ღირდა ერთი ჭედილა. აქედან გამომდინარე, სისხლის საფასურის სპილენძად შეფასებული მესამედი შეფასდეს 20 ჭედილად.

გ) შეთანხმების შემთხვევაში სისხლის საფასური შეიძლება გადახდილი იქნეს ფულის სახით, რადგან ყველა სახის ვალუტა (ლარი, დოლარი, ევრო) განიცდის ხშირ ვარდნა-გამყარებას, ფულის განმსაზღვრელად მიჩნეული იქნეს ტომარა ფქვილის ფასი. ეს გადაწყვეტილება განაპირობა ფქვილის სასიცოცხლო მნიშვნელობამ ადამიანის ცხოვრებაში.

2. ქალის მკვლელობა კატეგორიულად დაუშვებელია.

მაგრამ ხდება შემთხვევები, როცა ქალის მკვლელობა ხდება სრულიად გაუცნობიერებლად, გაუთვალისწინებლად, შემთხვევით. ასეთ დროს ისლამის კანონით ქალის სისხლი შეფასებულია კაცის სისხლის საფასურის ნახევრად, მაშასადამე, ღირს 30 ძროხა.

შენიშვნა:

ა) ორსული ქალის მკვლელობა უდრის ორი ქალის მკვლელობას და მკვლელს ეკისრება ორი ადამიანის სისხლის საფასური.

ბ) სასურველია, სისხლის საფასური მიიღოს დაზარალებულმა, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახი კარგავს მარჩენალს.

3. დიდი განსხვავება არის განზრახ მკვლელობასა და შემთხვევით მკვლელობას შორის. ცხადია, სისხლის საფასური უცვლელი რჩება, მაგრამ, ჩვენი აზრით ასეთ შემთხვევაში შურისძიების მიზნით დევნა უნდა შეწყდეს და მოლაპარაკება დაიწყოს შერიგების მიზნით.

4. „მეერის“, შურისძიების ობიექტის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი: თუ მკვლელი დაკავებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ და სასჯელს იხდის ციხეში, ის იკავებს „მეერის“ ადგილს და თუ ის ციხეში გარდაიცვლება, მისი შეცვლა უახლესი ნათესავით (ძმა, მამა, ბიძა, ბიძაშვილი). აიკრძალოს, რადგან ცალსახად ძალაში რჩება დღევანდელი წესი შურისძიების ობიექტის შესახებ: შურისძიება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ უშუალოდ მკვლელზე. დაუშვებელია მკვლელის ნათესავებზე (ძმა, მამა, ბიძა, ბიძაშვილი და სხვა) შურისძიება.

შენიშვნა:

ა) თუ მკვლელის დაპატიმრება მოხდა დაზარალებულის საჩივრით ან სასამართლოზე დაზარალებულმა მხარემ მოითხოვა მკვლელის დასჯა და მკვლელი ციხეში გარდაიცვალა, ამ შემთხვევაში წყდება დევნა შურისძიების მიზნით.

ბ) თუ დაზარალებული მხარის საჩივრის გარეშე მოხდა მკვლელის დაპატიმრება და ის ციხეში გარდაიცვალა, მის სიკვდილზე პასუხისმგებელი არ არის დაზარალებული. ამ შემთხვევაშიც იგულისხმება, რომ მკვლელი თავის დანაშაულს შეეწირა, სისხლის ძიება უნდა შეწყდეს, მოხდეს შერიგება, რადგან დღეს მოქმედი კანონით შურისძიება ვრცელდება მხოლოდ მკვლელზე.

გ) მიუხედავად იმისა, რომ „მეერი“ (მკვლელი) დასმულია და ადგილზე იმყოფება, შურისძიება მოხდა „მეერის“ ნათესავზე (ძმა, მამა, ბიძა, ბიძაშვილი და სხვ.), შურისმაძიებელი ჩაითვალოს მკვლელად და სისხლი დაეკისროს.

მაშასადამე, „მეერის“ მოკვლაც, რომელიც იკავებს მკვლელის ადგილს როცა მკვლელი გაქცეულია არ შეიძლება.

დ) „მეერი“ (მკვლელი) უნდა იმყოფებოდეს სოფელში, ხეობაში. უფლება არა აქვს დატოვოს სოფელი ან ხეობა. მის ადგილზე ყოფნას ამოწმებს ამისთვის დანიშნული გარეშე პირი. აუცილებლობის შემთხვევაში, თუ მოსისხლეები ნებას დართავენ, განსაზღვრული დროით ტოვებს ადგილსამყოფელს. თუ მოსისხლეები უხუცესების მოლაპარაკების შედეგად დათანხმდებიან, „მეერს“ შეუძლია მიიღოს ნებართვა, იმუშაოს საკუთარ ეზოში, ამის საფასურია ერთი ხარი. თუ შეთანხმება შედგა, შურისმაძიებლებს არა აქვთ უფლება, ესროლონ ეზოში მყოფ „მეერს“.

ე) მკვლელმა („მეერმა“) თუ უნებართვოდ დატოვა სოფელი და ხეობა, ჩაითვლება გაპარულად. როგორც კი შეიტყობენ, დაზარალებულები მოსთხოვენ დამნაშავის ახლობლებს, რომ დააბრუნონ მკვლელი ადგილზე ან სხვა, მკვლელის მამა, ძმა და ა.შ. უახლესი

ნათესავი დასვან „მეერად“. მკვლელის ნათესავები ვალდებულები არიან, შეასრულონ სამართლიანი მოთხოვნა და ყველა ღონისძიება იხმარონ რათა მკვლელი დააბრუნონ სოფელში. შურისძიება დასაშვებია მხოლოდ მკვლელზე.

5. „ვოშალ“ (საძმო) უნდა შეეხოს მხოლოდ მკვლელის ნათესავებს ძმებს, მამას, მამის ძმებს, მამის ძმისშვილებს, ბიძაშვილების შვილებს ე.ი. ოჯახის უახლოეს ნათესავებს. საძმო, გამოსასყიდი, ცხადია, თეიფის ყველა ოჯახს ეხება, მაგრამ გადასახადის გადახადა უახლოესი ნათესავების ვალდებულება არის.

საძმოს („ვოშალ“) საფასური დამოკიდებულია ნათესაობაზე:

„მეერის“ ახლო ნათესავები (ძმა, მამა, ბიძა) ყველაზე მეტს იხდიან, იწყება ხარიდან და ცხენიდან მთავრდება

ცხვრით. დღეისათვის მოქმედი ადათით, „ვოშალ“ (სამარხი) საფასურია 2 (ორი) ძროხა, 2 (ორი) ცხვარი და 5 (ხუთი) ტომარა ფქვილი. ფულად გადაყვანის დროს მოქმედებს იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასები.

ასევე გარეშე პირებს ნათესავებს, თანასოფლელებს, მეგობრებს და ასე შემდეგ უფლება აქვთ წვლილი შეიტანონ ქველმოქმედების სახით.

6. ხდება ისეც, რომ მკვლელი გაქცევის დროს თავშესაფარს ეძებს და სხვის ოჯახს აფარებს თავს. ასეთ შემთხვევაში იძულებითი მასპინძელი იძულებულია დაიცვას არასასურველი სტუმარი. მდევრებიც ვალდებულები არიან დაიცვან მასპინძლის უფლება და შეწყვიტონ დევნა, თუმცა უფლება აქვთ, მოსთხოვონ, გაიყვანოს თავის ოჯახიდან მათი მტერი.

დაწესდება ვადა თუ მასპინძელი თავს არიდებს მკვლელის ოჯახიდან გაყვანას, განზრახ იფარებს მას და დასტურდება გონივრული ეჭვი, რომ მასპინძელი განზრახ ცდილობს დანაშაულის დაფარვას, მაშინ ეჭვის დადასტურების შემთხვევაში მასპინძელი ვალდებულია დაზარალებულებს გადაუხადონ 10 ძროხის საფასური, რადგან მან ხელი შეუშალა მათ კანონიერი უფლების (შურისძიების) განხორციელებაში, მასპინძელს შეუძლია ზარალი მოსთხოვოს მკვლელს, ეს მისი უფლებაა.

შენიშვნა:

ა) თუ დევნის დროს შურისმაძიებლებმა ოჯახს, რომელმაც შეიფარა მკვლელი, ზარალი მიაყენეს (დალეწეს კარ-ფანჯარა, ცეცხლი წაუკიდეს დამხმარე ნაგებობებს, ძაღლი მოუკლეს და სხვ.) ვალდებულები არიან, ადათის მიხედვით, აუნაზღაურონ მიყენებული ზარალი.

ბ) დედეულებს უფლება აქვთ, თავშესაფარი მისცენ მკვლელ დისწულს და დაზარალებულებს არ შეუძლიათ, აუკრძალონ მათ დისწულისთვის თავშესაფრის მიცემა.

მაგრამ აქაც უნდა განისაზღვროს დრო, რამდენ ხანს შეუძლია დისწულის შეფარება (ორი კვირა, ერთი თვე და ასე შემდეგ).

გ) თუ მასპინძლის ოჯახში მოხდა შურისძიება, დაზარალებულად ითვლება მასპინძელი და შურისმაძიებლები უხდიან 10 ძროხას ფეხზე. ამავე დროს მასპინძელმაც უნდა დაუმტკიცოს ფიცით მოკლულის ნათესავებს თავისი უდანაშაულობა ამ მკვლელობაში.

დაუშვებელია მასპინძლის ოჯახში სტუმრის მოკვლა. ამ შემთხვევაში დაზარალებულად ითვლება მასპინძელი და შურისმაძიებლები მას უხდიან 30 ძროხას.

დ) ჩხუბის დროს თუ მასპინძლის ოჯახში მოხდა მკვლელობა, მასპინძელმა უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. თუ მოწმეები ვერ გამოინახა, 10 კაცის ფიცით ამტკიცებს უდანაშაულობას ან იხდის 10 ძროხის საფასურს.

7. შურისძიების უფლება აქვს თეიფის (გვარის) ყველა წარმომადგენელს, ძმადნაფიცს და დისწულს.

8. ჯგუფური მკვლელობის დროს თუ გამოვლინდება პირი, რომელსაც „ხელები ჭუჭყიანი“ აქვს, ე.ი გამოვლინდა მთავარი მკვლელი, ის აგებს პასუხს. თუ ჯგუფური მკვლელობის მონაწილეები ერთი გვარისანი არიან, მაშინ თავად თეიფის უხუცესები გადაწყვეტენ და შეარჩევენ „მეერს“. თუ ჯგუფური მკვლელობის მონაწილენი სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები არიან, მაშინ ამ გვარების უფროსები შეხვდებიან და გამოავლენენ „მეერს“. თუ აღნიშნულ ორივე

შემთხვევაში ვერ გამოავლინეს „მეერი“, მაშინ დაზარალებულები თავად იკვლევენ დამნაშავეს, დაადგენენ და „მეერად“ დასვამენ.

ამ შემთხვევაში დაუშვებელია პრინციპით _ მოვკლათ დამნაშავეებში საუკეთესო _ შურისძიება უნდა მოხდეს მკვლელზე.

შენიშვნა:

შესაძლებელია, შურისძიების მსხვერპლი გახდეს არა ძირითადი დამნაშავე, მაგრამ ეს საქმეს არ ცვლის, შურისძიება კანონიერად ჩაითვლება, რამეთუ დაზარალებულებმა მკვლელების გვარს და გვარებს მიმართეს, დაესვათ „მეერი“.

9. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მკვლელობაში თვითმკვლელობას. თვითმკვლელობა ქისტებში საძრახის, სამარცხვინო საქმედ ითვლება. გაბატონებულია აზრი, რომ თვითმკვლელობას ჩადის ლაჩარი ადამიანი, რომელსაც არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, გაუმკლავდეს მის წინაშე დამდგარ პრობლემებს. წესით თვითმკვლელი ნაკურთხ მიწაში, სოფლის საერთო სასაფლაოზე არც უნდა დაიმარხოს. თვითმკვლელობას ისლამიც კრძალავს. ყურანი ცალსახად აცხადებს: „თავი არ მოიკლათ“.

10. ხშირია შემთხვევები, როცა მკვლელობა ფარულად ხდება. ჩნდება გონივრული ეჭვი და დაზარალებულები მკვლელობას საჯაროდ აბრალებენ ეჭვმიტანილს, მაგრამ ეჭვმიტანილი არ აღიარებს მკვლელობას. ასეთ ვითარებაში, შურისძიება გამართლებული არ არის, რადგან შესაძლებელია, შურისმაძიებელი თავად გახდეს დევნის ობიექტი, თუ უდანაშაულო კაცი მოკლა, ამიტომ როცა არ არსებობს მოწმეები და არც ხელჩასაჭიდი სამხილი, საქმე მიდის ფიცამდე.

შენიშვნა:

ა) ფიცი არის ქისტურ სამართალში სიმართლის დადგენის მთავარი ფაქტორი. ფიცს ყველა ერიდება, სიმართლეზე დაფიცებაც კი სძულს ქისტს. მაგრამ ისლამი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიცს და მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილმა თავისი სიმართლის დასადგენად დაიფიცოს, თუნდაც დამბრალებელი ამას არ ითხოვდეს. ისლამის მიღების დღიდან ქისტებში დაფიცება ხდება წმინდა ყურანზე.

ბ) სისხლზე დაფიცება ხდება 60 კაცით. პირველი ყურანზე დაიფიცავს მკვლელობაში ეჭვმიტანილი: მე არ მომიკლავს ეს და ეს კაცი. შემდეგ 59 კაცი იფიცავს, რომ ეს სიმართლეა. ამის შემდეგ წყდება დავა.

გ) დაზარალებულის უფლებაა, შეამციროს მოფიცართა რაოდენობა. მაგალითად: დააფიცოს მხოლოდ დამნაშავე და მისი რამდენიმე ახლობელი.

დ) თუ არ შეგროვდა 60 კაცი, ხდება ერთიდაიმავე პირის ორჯერ დაფიცება. ეს გაგრძელდება, სანამ არ შესრულდება 60 მოფიცარი.

დღევანდელი ადათით, შესაძლებელია 2 ქალის ფიცის მიღება ერთი კაცის ფიცის საფასურად, რაც არასამართლიანია. უნდა გათანაბრდეს კაცისა და ქალის ფიცი, ან უარი ვთქვათ საერთოდ ქალის ფიცზე.

შენიშვნა:

15 წლამდე ასაკის ბავშვზე შურისძიება არ ვრცელდება და მაშასადამე, არც ფიცი მოეთხოვება.

11. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მკვლელობის იარაღის კუთვნილებას. თუ თოფის პატრონმა თავისი

იარაღი ათხოვა მკვლელს და იცოდა, რისთვის გამოიყენებდა მის იარაღს, იხდის

10 ძროხას. თუ არ იცოდა, 10 კაცის ფიცით უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

შენიშვნა:

ა) არავითარ შემთხვევაში არ უნდა აართვა იარაღი მოკლულს, თუნდაც ის მკვლელი იყოს, ასეთი დანაშაულისთვის დამნაშავე იხდის 10 ძროხას.

ბ) ცხედრის შეურაცხყოფა (უდიერად დაგდება, ტანსაცმლის გახდა, წელის შეხსნა, იარაღის ართმევა, ცხედრის დამალვა და სხვ.) დაუშვებელია, დამნაშავე იხდის 12 ძროხას.

გ) ჩხუბის დროს დასაშვებია მოწინააღმდეგისთვის იარაღის წართმევა და მისი გამოყენებაც თავდაცვის მიზნით, მაგრამ მისი მისაკუთრება, თავის სახლში შეტანა უკვე დანაშაულია და ფასდება 10 ძროხით.

12. განსაკუთრებულ სასჯელს იმსახურებს სხვის ომში, მაგალითად სირიაში ახალგაზრდების გაგზავნა. ეს სიახლეა, ქისტურ ყოფაცხოვრებაში ახლად გაჩენილი და რაიმე ადათურ ნორმაში არ ჯდება. მიგვაჩნია, რომ აგიტაცია-პროპაგანდით სირიაში ახალგაზრდის გაგზავნის შემდეგ თუ ის იქ დაიღუპა, ეს უდრის მკვლელობას და გამგზავნი უნდა ჩაითვალოს მკვლელად და უნდა ჩაყენდეს „მეერის“ ნორმაში და ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როგორც უშუალო მკვლელი.

13. თუ კაცმა ამხანაგად წაიყვანა მეორე სიცოცხლისათვის საშიშ საქმეზე, არ აუხსნა ვითარების სერიოზულობა, მოსალოდნელი ხიფათი, ეს კაცი დაიღუპა, პასუხისმგებლობა ეკისრება წამყვანს და სისხლიც მას უნდა მოეთხოვოს.

ასეთ შემთხვევაში შურისძიების მიზნით დევნა არ ხდება და დაზარალებულს უხდიან 30 ძროხას.

შენიშვნა:

ა) მაგრამ თუ საქმეში ამხანაგად წაიყვანა, წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში, აუხსნა მოსალოდნელი საფრთხე და მონაგებში წილშიც გაიყვანა, ამ შეთხვევაში მომხდარ მკვლელობაზე თუ უბედურებაზე პასუხს არ აგებს წამყვანი.

ბ) თუ მეგობარი მეგობრობის ხათრით, თავისი ნებით გაჰყვა მეგობარს, საქმის კურსშიც იყო მოსალოდნელ შედეგზე და დაიღუპა, დევნა მიზანშეწონილი არ არის, უნდა მოხდეს შერიგება-მორიგება.

14. სისხლის პატიების პროცესი არ უნდა დამთავრდეს უხუცესების, ხეობის ყველა სოფლის მაცხოვრებელთა თხოვნის დაზარალებულების მიერ დაკმაყოფილების შემდეგაც. აუცილებელია მოსისხლეთა შერიგება, დაზარალებულების მიერ დამნაშავეთა პურმარილის მიღება მათ ოჯახში. აქვე უნდა მოხდეს გუშინდელი მტრების დანათესავება, მათი დაძმობილება, ძმადგაფიცვა, რათა მტრობა სამუდამოდ აღმოიფხვრას.

შენიშვნა:

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მკვლელი და მკვლელის ახლო ნათესავები სრულად თავისუფლდებიან ჩადენილი დანაშაულისგან. ისინი მორიდებულად უნდა იყვნენ, კამათში და მით უმეტეს ჩხუბში არ უნდა ჩაერივნენ მოკლულის ახლობლებთან, უნდა გაიზიარონ მათი ჭირ-ვარამი. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოექცნენ მოკლულის ოჯახს და მათ ნათესავებს, როგორც შეეფერება ღირსეულ ვაჟკაცს, უეზდ ყუანახს.

15. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია კაცის ღირსების შელახვის მიზნით შარვლის ჩახდა. ასეთი ქმედება იმდენად შერაცხმყოფელია კაცისთვის, რომ სამაგიეროს გადახდა ხდება იმავე ქმედებით ან მოკვლით. სამგიეროს გადაუხდელობით შერიგება უნდა დაწესდეს და კაცისთვის შარვლის ჩახდა უნდა შეფასდეს 30 ძროხით. ამ მუხლის შეტანა ქისტურ სამართალში აუცილებელია, რადგან ამ სახით კაცის ღირსების შელახვას უმთავრესად მკვლელობა მოჰყვება ხოლმე.

შენიშვნა:

თუ შარვლის ჩახდაში მონაწილეობს რამდენიმე კაცი ერთის წინააღმდეგ, ასეთი ქმედება არ უტოლდება იმ პროცესს, როცა ერთი მეორეს შარვალს ჩახდის იარაღის გამოყენებით და სხვა ვაჟკაცისთვის შეუფერებელი მეთოდებით. ამ შემთხვევაში საფასურს დაადგენენ ადათობრივი მოსამართლენი.

II თავი. დაჭრა მსუბუქი და მძიმე შედეგებით

იმისათვის, რომ დადგინდეს ჭრილობის სიმძიმე და საფასური, ადამიანის ტანი დაყოფილია სამ ნაწილად:

ა) თავის ზედა ნაწილი, ქისტური სამართლით „ქუდით დაფარული თავი“; ე.ი. თავის ზედა მხარე, სადაც მოთავსებულია თავის ტვინი;

ბ) ადამიანის სახე, ყურები და კისერი;

გ) ტანი კისრიდან წელამდე, გულმკერდი და მუცელი, და ხელები;

დ) ტანის ნაწილი დაწყებული წელიდან ფეხის ტერფებამდე. ამ ოთხი ნაწილის გათვალისწინებით არის განსაზღვრული ადამიანის სხეულზე მიყენებული ჭრილობების საფასური.

ქისტებში ქალისთვის ჭრილობის მიყენება, სხეულის განზრახ დაზიანება დიდ სირცხვილად ითვლება და მძიმე დანაშაულის კატეგორიაში ჯდება. ქალისთვის ტანსაცმლის შემოხევა, ნაწნავების დაჭრა, თავსაბურის მოგლეჯაც კი ერთი ძროხიდან ხუთ (5) ძროხამდე ფასდება.

ჩხუბში, შეტაკების დროს შესაძლებელია ქალიც მოხვდეს მოშუღრებს შორის გაშველების მიზნით და მიიღოს სხეულზე ჭრილობა, ამ შემთხვევაში ქალის ჭრილობა ისევე ფასდება როგორც კაცისა.

1. თვალის დაბრმავება და ამოგდება 30 ძროხა;

შენიშვნა:

თვალის ნაწილობრივ დაზიანება მხედველობის ნაწილობრივ დაკარგვით შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენი პროცენტით მოხდა მხედველობის დაკარგვა _ 50% _ 15 ძროხა, 25% _ 8 ძროხა და ა. შ.

მკლავის ან ფეხის მოჭრა 30 ძროხა;

შენიშვნა:

ა) თუ ჭრილობა მხარშია მიყენებული და გამოიწვია მკლავის მთლიანი დამბლა, ღირს 30 ძროხა, მაგრამ თუ ამ ჭრილობამ გამოიწვია ნაწილობრივი დამბლა. ქისტური სამართლის ტერმინით, „ხელი არ გახმა“, მაგრამ არ შეუძლია რაიმეს ხელში დაჭერა და გამოყენება, ღირს 25 ძროხა.

ბ) თუ მიყენებული ჭრილობის შედეგად მოხდა ფეხის მთლიანი დადამბლავება, ღირს 30 ძროხა, მაგრამ თუ მიყენებულმა ჭრილობამ გამოიწვია მუხლის ქვემოთ ფეხის დამბლა, დაზარალებულს უხდიან 25 ძროხას, ხოლო თუ მოხდა მხოლოდ ფეხის ტერფისა და თითების დამბლა, ღირს 20 ძროხა.

3. ხელის მტევნის მოჭრა _ 15 ძროხა;

4. ფეხის ტერფის მოჭრა _ 10 ძროხა;

შენიშვნა:

ა) იდაყვის სახსარში მიყენებულმა ჭრილობამ თუ გამოიწვია ხელის მტევნის დამბლა („გახმა ხელი"), ღირს 15 ძროხა.

ბ) იგივე სახის ჭრილობა ფეხის კოჭის სახსარში, რომელმაც გამოიწვია ტერფის და თითების დამბლა, შეფასებული იქნეს 15 ძროხად.

5. ხელის თითების მოჭრა;

ა) ცერი _ 5 ძროხა;

ბ) საჩვენებელი _ 4 ძროხა;

გ) შუა თითი _ 3 ძროხა;

დ) არათითი _ 2 ძროხა;

ე) ნეკა _ 1 ძროხა.

6. ფეხის თითების მოჭრა:

ა) ცერი _ 4 ძროხა;

ბ) საჩვენებელი _ 3 ძროხა;

გ) შუათითი _ 2 ძროხა;

დ) დანარჩენი _ თითო ძროხა;

შენიშვნა:

ა) ხელზე ან ფეხზე მიყენებულმა ჭრილობებმა თუ გამოიწვია ხელის და ფეხის თითების დამბლა _ 15 ძროხა.

ბ) მოჭრილი თითების რაოდენობის შესაბამისად გამოითვლება 2,3 და 4 თითის ერთდროულად მოჭრა.

7. ხანჯლით ჩხვლეტა _ 10 ძროხა;

8. დანით ჩხვლეტა _ 10 ძროხა;

შენიშვნა: ხანჯლით ან დანით ჩხვლეტის დროს ცივი იარაღი შესულია გულმკერდისა და მუცლის არეში, შეფასებულია 12 ძროხად. მაგრამ თუ ამგვარმა ჩხვლეტამ დააზიანა სიცოცხლისათვის საშიში ორგანოები, მაგალითად: ფილტვი, ღვიძლი, ელენთა, კუჭი, ნაწლავები და სხვ. საფასური ორმაგდება 20 დან 24 ძროხამდე.

9. ყურის მოჭრა 20 _ ძროხა.

შენიშვნა:

ა) ყურის მოჭრა მოხდა განზრახ, ადამიანის ღირსების შესალახად, იზრდება 25 და 30 ძროხამდე.

ბ) თუ დარტყმის შედეგად გასკდა ყურის აპკი და გამოიწვია ცალი ყურის დაყრუება 8 ძროხა.

10. ცხვირის მოჭრა _ 20 ძროხა;

შენიშვნა: თუ ცხვირის მოჭრა განხორციელდა გამიზნულად ადამიანის ღირსების შესალახად, საფასური იზრდება 25-დან 30 ძროხამდე.

11. კისერში ან ყელში მიყენებულმა ჭრილობამ გამოიწვია ხმის ჩახლეჩა ან ხმის დაკარგვა, შეფასდება შესაბამისად _ ხმის ჩახლეჩა 10 ძროხა, ხოლო ხმის დაკარგვა _ 20 ძროხა.

12. თავის ქალის გატეხვა _ 7 ძროხა.

შენიშვნა:

ა) თავის ტყავის გაჭრა, როცა ქალამდე არ არის ჭრილობა დასული, საკლავის დაკვლა და დაზარალებულის და მისი შინაურების დაპატიჟებით მთავრდება დავა;

ბ) თუ თავის ტყავი გაჭრილია და თავის ქალაზე აღინიშნება ნაკაწრი, ე.ი. საჭიროებს გაფხეკას, 7 ძროხით შეფასდება და შერიგებაც საკლავის დაკვლით და დაზარალებულების მიპატიჟებით მოხდება;

გ) თუ თავის ქალა ისეა გატეხილი, რომ ჩანს თავის ტვინის აპკი, მაგრამ დაზიანებული არ არის ტვინი, ჭრილობა შეფასდება 10 ძროხით და ერთი ხარით, საკლავით მიპატიჟებაც თან ერთვის.

დ) თუ თავში მიყენებული ჭრილობით ტვინი დაზიანდა, საჭიროებს სკალპელით ჩარევას, ქისტურად „გაამის" გამოყენებას, საქმე რთულდება: თუ დაზიანდა ტვინის უჯრედები, რამაც გამოიწვია მეტყველების მოშლა, სხეულის ნაწილების დამბლა და სხვა გამოუსწორებელი დასახიჩრებები, მაშინ შეფასება მოხდება ზემოთ აღნიშნული მუხლების (ხელის მოჭრა, თვალის დაბრმავება, ფეხის მოჭრა და სხვ.) შესაბამისად. თავში მიყენებული მძიმე ჭრილობა პრობლემურია, თუ დაზარალებულს დროის გასვლის შემდეგაც დაეწყო თავის ტკივილები, უნდა აცნობონ დამნაშავეებს, თუ ამ ტკივილებს მიიჩნევენ მიზეზად ჩხუბის დროს თავში მიყენებულ ჭრილობას, ასეთ შემთხვევაში ადათობრივი მოსამართლენი (ხელხოი) ადგენენ ვადას, რომლის განმავლობაშიც დაზარალებულს მკურნალობას უწევენ დამნაშავეები.

ე) დღეს სირთულეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა არის თავის ტკივილის მიზეზი. ამის დასადგენად მოიწვევენ

ექსპერტიზას და საკითხიც გადაწყვეტილია, ოღონდ ექსპერტიზის ხარჯებს იღებს დამნაშავე. მაგრამ თუ არ დამტკიცდა, რომ თავის ტკივილი არის გამოწვეული თავში ჩარტყმის შედეგად, დაზარალე- ბული თავად იხდის ხარჯს.

ვ) საერთოდ თუ დაჭრილის მკურნალობის ხარჯს სახელმწიფო იღებს, დამნაშავე თავისუფლდება, მაგრამ სხვა ხარჯს (თავზე დგომა, წამლები) იხდის.

13. სახეზე მიყენებული ჭრილობა, რომელიც ღრმაა და ნაიარევს ტოვებს 10-დან 15 ძროხამდე ღირს.

შენიშვნა:

თუ ჭრილობა მიყენებულია განზრახ სახეში ადამიანის ღირსების შესალახად, მაგალითად, შეურაცხყოფის სამაგიეროდ ღირს 20 ძროხა.

14. სხეულის კიდურების (ხელების, ფეხების) და სხვა ნაწილების (მხარის, ბეჭის, ყვრიმალის, ნეკნების და სხვ.) მოტეხილობები შეფასებულია 10 ძროხად.

შენიშვნა:

ა) იარაღის ტარით ან სხვა ბლაგვი საგნის დარტყმით წინა ერთი კბილის მოტეხა ღირს _ 1 ძროხა, ორის _ 2 ძროხა, სამის _ 3 ძროხა, ოთხის _ 4 ძროხა. გვერდითი ერთი კბილის მოტეხა _ 1 ცხვარი, ორისა _ 2 ცხვარი, სამისა _ 3 ცხვარი, და ა.შ.

ბ) ძველად არ ხდებოდა მოტეხილი ან მომძვრალი კბილის მაგივრად ახლების ჩასმა. დღეს ეს შესაძლებელია და მიგვაჩნია, რომ დამნაშავემ კბილების საფასური უნდა გადაუხადოს დაზარალებულს და სახლში მიპატიჟებით დასრულდეს დავა.

15. მჭრელი იარაღის დარტყმა _ 5 ძროხა;

16. თოფით ან ხმლით დაჭრა _ 10 ძროხა;

შენიშვნა:

თოფით ან ხმლით დაჭრა 10 ძროხად შეფასებულია იმ შემთხვევაში თუ ტყვია ან ხმლის წვერი არ არის გასული გულმკერდისა და მუცლის ღრუში.

17. ერთიდან ოთხ ჭრილობამდე _ 5 ძროხა. ოთხზე მეტი ჭრილობის დროს თითოეულზე ემატება ერთი ძროხა;

18. ისეთი დარტყმა (თავის არეში), რომელმაც გამოიწვია სულიერი ავადმყოფობა _ 30 ძროხა;

19. ისეთ ადგილას მიყენებული ჭრილობა, რაც მამაკაცს სქესობრივი ურთიერთობის დამყარებასა და სქესობრივი განაყოფიერების უნარს დაუკარგავს, დამჭრელს ეკისრება 30 ძროხის გადახდა.

20. ჩხუბში მუშტით ან რაიმე საგნით ცემა, რომლის დროსაც დაზარალებულს აღენიშნება სისხლჩაქცევები, სისხლდენა, ცხვირის გახეთქვა, სახის დაზიანება და სხვ., დაზარალებულთან ოჯახში მიდიან დამნაშავეები საკლავით და პურმარილით და შერიგება ხდება ან იხდის 5 ძროხის საფასურს.

21. მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი, გონებასუსტი და შეურაცხადი პირი ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებს, როგორც ჯანმრთელი ადამიანი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პასუხი მოეთხოვება მშობლებს, ძმებს, ბიძებს და ბიძაშვილებს.

22. ქისტი ქალი მამაკაცს შუღლს არ დაუწყებს, შეპასუხებაც სირცხვილად ითვლება, მაგრამ შეიძლება არაორდინალურ სიტუაციაში მიაყენოს ქალმა მამაკაცს სხეულის მძიმე დაზიანება ან მოკლას კიდეც. ქალიც ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებელია, როგორც მამაკაცი. ისლამიც იძლევა ამის უფლებას: „კაცი კაცის წილ, ქალი ქალის წილ“. მაგრამ ქისტური ადათით, ქალის დანაშაულზე პასუხს აგებს

პატრონი (ქალის მამა, ძმა, ბიძა, ბიძაშვილი), თუ გათხოვილია _ ქმარი და ვაჟიშვილები.

შენიშვნა:

ა) ძაღლის, პირუტყვის (ხარი, მოზვერი, ცხენი) მიერ მიყენებულ ჭრილობაზე ან სხვა სახის სხეულის დაზიანებაზე ან კიდევ მატერიალურ ზარალზე ასევე პასუხს აგებს პატრონი.

ბ) პირუტყვის პატრონი პასუხს აგებს მისი პირუტყვის მიერ მიყენებულ ზარალზე, თუ მისი ხარი, მოზვერი, კამეჩი ან ცხენი და სხვა ბუნებით აგრესიულია და თავს ესხმის ადამიანებს. ასეთი პირუტყვი, როგორც ძაღლი, სახლში უნდა ყავდეს დაბმული. მის კარ-მიდამოში მიყენებულ ზიანზე ის არ არის პასუხისმგებელი.

გ) ძაღლმა თუ პატრონის ეზოში დაგლიჯა ადამიანი, პატრონი პასუხს არ აგებს.

23. განზრახ ან შემთხვევით თუ მოხდა ადამიანის სხეულის ისეთი მძიმე სახის დაზიანება, რომ დაზარალებულმა დაკარგა შრომის უნარი ან სულაც სამუდამოდ მიეჯაჭვა საწოლს, დამნაშავემ უნდა გაიღოს დაზარალებულის მოვლა-პატრონობის ხარჯები ავადმყოფობის სიმძიმის კატეგორიის მიხედვით ავადმყოფის სიცოცხლის მანძილზე.

III თავი. ქურდობა და ძარცვა

ქურდობის აღკვეთის მიზნით ქისტურ სამართალში სხვადასხვა სახის და ხასიათის კანონი მოქმედებს:

1. საქონლის ქურდობა:

ა) ქურდი შეიპარა სხვის გომურში და მოიპარა ძროხა. ქურდობის დამტკიცების შემთხვევაში ქურდი პატრონს უბრუნებს 3 ძროხას.

ბ) ქურდმა ძროხა მოიპარა მინდვრიდან, იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ძროხა. ამ შემთხვევაში ქურდი პატრონს უხდის 2 ძროხას.

გ) ქურდმა ძროხა მოიპარა მინდვრიდან, მაგრამ არ იცოდა ვისი კუთვნილება იყო. ამ შემთხვევაში ქურდი პატრონს უხდის 1 ძროხას და საკლავით და პურმარილით ურიგდება დაზარალებულს.

2. სახლის გაქურდვა: თუ ქურდმა სახლიდან მოიპარა ფული, ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთები, ყველაფერი სამმაგად უბრუნდება პატრონს.

შენიშვნა:

წინა მუხლში აღნიშნული კანონი ვრცელდება ისეთ სახლზე, სადაც ოჯახის წევრები ცხოვრობენ და ქურდობის პერიოდში სახლში იყვნენ. სხვა შემთხვევაში ძარცვასთან გვაქვს საქმე.

3. სოფლის ნახირის, ან რომელიმე უბნის ნახირიდან საქონლის მოპარვაზე, დაკარგვაზე, ნადირის მიერ დაგლეჯაზე, გადაჩეხვაზე და სხვ. პასუხისმგებელია მენახირე, რომელსაც საძოვარზე გაჰყავს საქონელი. ის დანაკარგს უნაზღაურებს დაზარალებულს.

შენიშვნა: ა) ცხადია, არსებობს ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც მწყემსი ვერ შეძლებდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ასეთ შემთხვევაში მან ფიცით უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

ბ) გადამწყვეტია ის პირობები რომელთაც ადგენს სოფელი ან უბანი ნახირის შედგენის დროს. გვიან ნახირში გამწესებული პირუტყვის პატრონმა პირუტყვის მოვლის რიგი წინასწარ უნდა მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მენახირე პასუხს არ აგებს.

4. ზაფხულობით მთაში საქონელი მიჰყავთ მცირე ფერმერებს, მოსახლეობისგან ქირაობენ მეწველ ძროხებს სეზონზე და ყველის განსაზღვრულ რაოდენობას უხდიან ძროხების პატრონებს. თუ მთაში ძროხა დაგლიჯა ნადირმა ან გადაიჩეხა და სხვა მიზეზით დაიღუპა საქონელი და დადგინდა, რომ მწყემსის უყურადღებობით მოხდა, დამქირავებელმა უნდა ზღოს ზარალი.

5. თუ ქურდს სახლში შეუსწრო პატრონმა ან გზაში დაეწია და კონფლიქტის დროს ქურდი დაჭრა, დაასახიჩრა ანდა სულაც მოკლა, პასუხი არ მოეთხოვება.

შენიშვნა:

თუ ქურდი აღმოაჩინა სახელმწიფოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, დაიჭირეს და პატიმრობა მიუსაჯეს, ანდა სულაც ციხეში გარდაიცვალა, დაზარალებული პასუხს არ აგებს.

6. დაზარალებულს რომელიც გაქურდეს, უფლება აქვს ჩხრეკა ჩაატაროს ნებისმიერი მოსახლის სახლში. დაუშვებელია წინააღმდეგობა ჩხრეკაზე, რაც მიანიშნებს, რომ ან თავად არის ქურდი, ან მფარველობს ქურდებს.

შენიშვნა:

თუ ქურდი ამტკიცებს, რომ ნაქურდალი მისი საკუთარი ნივთებია და მზად არის დაიფიცოს, ფიცზე უპირატესობა ენიჭება დაზარალებულს, რომელიც ასევე ადასტურებს, რომ

ნივთები მისია. ამ შემთხვევაში მოფიცართა რაოდენობა დგინდება ნაქურდალის ღირებულების გათვალისწინებით.

7. ქურდმა გაყიდა ნაქურდალი (ძროხა, ხარი ცხენი, ცხვარი და სხვ. ნივთები), პატრონი მიაგნებს თავის საკუთრებას და ქურდად აცხადებს მყიდველს. მყიდველი ვალდებულია დაასახელოს გამყიდველი, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად გამოდის ქურდის როლში.

შენიშვნა:

ა) ხდება ისეც, რომ ნაქურდალ მოზარდ პირუტყვს (ხბო, კვიცი, ციკანი, ბატკანი) წლის და წლების შემდეგ პატრონი მიაგნებს და ამოიცნობს. ამ შემთხვევაში პატრონმა ფიცით უნდა დაიბრუნოს საკუთრება, თუ სადავო გახდა.

ბ) თუ ღამე გზააბნეული პირუტყვი შეიფარა კაცმა და მეორე-მესამე დღეს პატრონი არ გამოჩნდა, ინფორმაცია უნდა გაავრცელოს ახლომახლო სოფლებში ნაპოვნი პირუტყვის შესახებ და ამავე დროს უნდა აცნობოს ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს.

თუ პატრონი გამოჩნდა რამდენიმე ხნის შემდეგ, უფლება აქვს მოსთხოვოს პირუტყვის შენახვის ხარჯი.

გ) თუ ერთი წლის განმავლობაში არ გამოჩნდა პატრონი, პირუტყვის შემნახველი ავტომატურად ხდება პირუტყვის მესაკუთრე, მაგრამ პატრონის გამოჩენის შემდეგ ვალდებულია დაუბრუნოს წინა პატრონს მისი კუთვნილება. ცხადია, შენახვის ხარჯებს იხდის პირველი პატრონი.

ძარცვა _ სხვისი მოძრავი თუ უძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მისაკუთრების მიზნით.

8. ქურდობის მძიმე სახეობა არის ძარცვა. ძარცვა არის შეიარაღებული თავდასხმა, ძალადობა ადამიანზე, ადამიანის

ღირსების შელახვით სხვისი საკუთრების მითვისება, რაც 10-დან 18 ძროხამდე არის შეფასებული.

სახლის გაქურდვისგან სახლის გაძარცვა განსხვავდება იმითაც, რომ ძარცვა ხდება სახლის პატრონის სახლში არყოფნის დროს. ამ შემთხვევაში ნაძარცვი მთლიანად უბრუნდება პატრონს, ხოლო სახლის გატეხვისთვის იხდის 10 ძროხას. ან ჯარიმის ნაცვლად მძარცველი საკლავით და პურმარილით მიდის დაზარალებულის ოჯახში და ხდება შერიგება.

შენიშვნა:

ა) თუ სახლის ძარცვა ხდება იარაღის გამოყენებით, მძარცველი სახლის პატრონს უხდის ნაძარცვს, სახლის გატეხვის 10 ძროხას და პლიუს იარაღის გამოყენებით ჯარიმა 8 ძროხას, სულ 18 ძროხას.

გ) თუ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა საკუთარ ცხვრის ფარაზე, საქონლის ჯოგზე, ცხენების რემაზე და სხვა. თავდამსხმელები გატაცებულს უბრუნებენ პატრონს და დამატებით იხდიან 10 ძროხას.

დ) თუ თავდასხმისას მძარცველებმა გამოიყენეს იარაღი და პატრონს, ან მის მწყემსს იარაღი დაუმიზნეს, ჰაერში თავს ზემოთ ისროლეს, ან წინ ფეხებში, დამატებით იხდიან 10 ძროხას.

ე) თუ მძარცველები შეურაცყოფას მიაყენებენ პატრონს, ღირსებას შეულახავენ, გაკოჭავენ, მძარცველები იხდიან 12 ძროხას დამატებით.

ვ) თუ მწყემსი საქონელთან ერთად გაიტაცეს, მძიმე შეურაცხყოფად ითვლება და 18 ძროხით ფასდება.

9. სახლისთვის განგებ თოფის სროლა ითვლება კაცის ღირსების შელახვად და ფასდება 10 ძროხით. ან საკლავით და

პურმარილით მივიდეს დაზარალებულის ოჯახში და და მოხდეს შერიგება.

10. კაცისთვის თოფის დამიზნება მისი შეურაცხყოფის მიზნით ფასდება 10 ძროხით.

11. კაცისთვის სილის გაწვნა, ან ხელუკუღმა ხელის სახეში შემორტყმა ითვლება ასევე კაცის ღირსების შელახვად და გატოლებულია ხანჯლის შემოკვრასთან, ასევე კაცის ღირსების შელახვად ითვლება ჩხუბის დროს ხანჯლის სიბრტყით დარტყმა მოწინააღმდეგისთვის და სამაგიეროს გადაუხდელად შერიგებისას ფასდება 10 ძროხად.

12. თუ მევალე ვალს არ იხდის და უარს ამბობს საერთოდ გადახდაზე, ასეთ შემთხვევაში თუ დაზარალებულმა გაიტაცა ან მოიპარა ვალის ღირებულების საქონელი, მას პასუხი არ მოეთხოვება, რადგან მან, მართალია ძალის გამოყენებით, დაიბრუნა თავისი კუთვნილი.

IV თავი. გადაწვა და გაჩეხვა

1. ქისტებისთვის არ არის დამახასიათებელი სულმდაბალი დანაშაული, როგორიცაა სახლის, დამხმარე ნაგებობის, ყანის, თივის და სხვ. გადაწვა და ხეხილისა და ვენახის გაჩეხვა. ამიტომ დამნაშავე ზარალის ანაზღაურების შემდეგ იხდის საჯარიმოს 10 ძროხის საფასურით.

შენიშვნა:

ა) თუ ცეცხლის წაკიდება მოხდა ბოროტი განზრახვის გარეშე, შემთხვევით, მაშინ დამნაშავე დაზარალებულს მხოლოდ ზარალს აუნაზღაურებს.

ბ) თუ ცეცხლი წაეკიდა მეზობლის ეზოში დანთებული ცეცხლის მიზეზით (ქარმა ნაპერწკალი წაიღო), მაშინაც უნდა აუნაზღაუროს ზარალი მეზობელმა.

გ) თუ ხე დარგულია მეზობლის ნაკვეთთან ახლოს, წესისამებრ (2-3 მ. დაშორებით), მაგრამ შემდეგში მშენებლობასთან ან სხვა საპატიო მიზეზით ხელი შეუშალა მეზობელს, უნდა მოხდეს შეთანხმება: ხე მოიჭრება უსასყიდლოდ ან საფასურს გადაუხდის ხის პატრონს. ასეთივე წესით მოხდება მაშინაც, თუ ხე ადრე დარგულია თავისუფალ მიწაზე, შემდეგ ჩასახლდა მოსახლე და მას ხის გამო შეექმნა პრობლემა.

V თავი. ვალი და ვახში

1. ვალი უკლებლივ უბრუნდება გამსესხებელს. თუ უარს ამბობს გადახდაზე, დავა ფიცით გადაწყდება, უპირატესობა ფიცზე დაზარალებულს აქვს.

შენიშვნა:

თუ მევალეს ფული არ აქვს, შეუძლია ვალი გადაიხადოს იმ საშუალებით, რის შესაძლებლობაც გააჩნია (საქონელი, ძვირფასი ნივთები თუ საყოფაცხოვრებო ნივთებით, მიწით და ა. შ.)

2. აიკრძალოს ფულის პროცენტით გაცემა, ვახში აკრძალულია ისლამში, ყურანი ცალსახად კრძალავს სარგებლის აღებას.

შენიშვნა:

ასევე აიკრძალოს ვალად დარჩენილი ცხვრის მონაგები, რაც აბსოლუტურად არ განსხვავდება სარგებლით ფულის

გაცემისგან. როგორც გადაუხდელობის გამო ბანკში ყოველწლიურად ემატება პროცენტები ძირის თანხას, ასევე ცხვარიც მრავლდება ყოველწლიურად და მონაგების მოთხოვნა იგივე პროცენტის მოთხოვნაა.

VI თავი. საქონლის დასახიჩრება და დახოცვა

1. ქისტებისთვის ასევე დამახასიათებელი არ არის პირუტყვის დასახიჩრება, დახოცვა, მოწამლვა და ა.შ. ასეთი დანაშაული, თუ ის მოხდა განზრახ, ითვლება პატრონის ღირსების შელახვად და როგორც ქურდობის დროს, ხდება ზარალის სამმაგი ანაზღაურება.

შენიშვნა:

ა) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ცხენის დასახიჩრება, მაგალითად, კაცს ჰყავს კარგი მორბენალი ცხენი, ხშირად იმარჯვებს დოღებში და სხვა მოშურნე ასახიჩრებს ცხენს. ამ შემთხვევაში დაზარალებულს დამნაშავე უყიდის მსგავს მორბენალ ცხენს და დამატებით ერთ ხარს.

ბ) თუ პირუტყვის დასახიჩრება მოხდა შემთხვევით, ბოროტი განზრახვის გარეშე, მაშინ დაზარალებულს უნაზღაურდება ზარალი.

2. ქისტებში უაღრესად პრობლემურია ძაღლთან დაკავშირებული დანაშაული. ძაღლი უხსოვარ დროიდან ადამიანის მეგობრად ითვლება, ის ეხმარება მას საქონლის, ცხვრის მოვლაში, დარაჯობს სახლს და ა.შ. ძაღლის მოკვლა მძიმე დანაშაულია და ხშირად ამას კაცის მკვლელობა მოჰყოლია. მაგრამ არის ისეთი ინციდენტებიც, როცა ძაღლის

მოკვლა დასაშვებია, მაგალითად, თუ ძაღლმა ეზოს გარეთ, ქუჩაში ან მინდორში დაგლიჯა ბავშვი, თავს ესხმის პირუტყვს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ძაღლის პატრონი წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული, რათა მან ძაღლი დააბას თავის ეზოში. მაგრამ მინდორში, მთაში, თუნდაც ქუჩაში თუ ძაღლი იცავს პატრონის საკუთრებას, მისი დაჭრა, დასახიჩრება და მოკვლა დაუშვებელია.

ძაღლის, ჩვეულებრივ უდანაშაულო ძაღლის მოკვლა მკვლელს 1 (ერთ) ბროხად დაუჯდება, თუ ცხვრის, საქონლის ან სხვა რამის ქურდობის დროს მოჰკლა, 2(ორი) ბროხად ეღირება. თუ შეიარაღებული თავდასხმის დროს ცხვართან ან სხვა საქონელთან ერთად გაიტაცა _ 3 ბროხა.

VII თავი. ბიზნესი და კომერცია

დღეს ცხოვრებაში შემოვიდა ახალი ეკონომიური ურთიერთობები ბიზნესისა და კომერციის სახით. ადათობრივ სამართლის მცოდნეთათვის თითქოს ამ სიახლეში გარკვევა რთულია, მაგრამ ქისტური სამართალი ისეთ მოქნილ კოდექსს შეიცავს, რომ ჭკვიანი ხელხო ყოველთვის გაართმევს თავს, თანაც ქისტი ახალგაზრდები ჩართულნი არიან ბიზნესსა და კომერციაში და მათი რჩევა უდაოდ გამოადგებათ. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ისლამი ვაჭრობას გან- საკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ვაჭრობის პრინციპები მოცემულია თვით წმინდა ყურანში.

1. ბიზნესში და კომერციაში მოტყუება ე.წ. გადაგდება ჩაითვალოს ქურდობად და საქმის გარჩევის დროს გამოყენებული იქნეს ზემოთ აღნიშნული ქურდობასთან დაკავშირებული მუხლები.

შენიშვნა:

სასურველია, ყველა სახის ბიზნესსა და კომერციულ გარიგებაზე დაიდოს ხელშეკრულება პირობების შესახებ მოწმეთა თანდასწრებით. ამას მოითხოვს ისლამიც, ყურანში აიათები ეძღვნება ამ საკითხს. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში სადავო საკითხების გარკვევა ადვილი არის.

2. ყოვლად დაუშვებელია ზომა-წონაში მოტყუება და საქონელზე ისეთი ფასის დაწესება, რაც არ შეესაბამება მის ღირებულებას.

შენიშვნა: დღეს ხეობაში მოქმედ სავაჭრო ობიექტებში ფასებს არაბუნებრივად უმატებენ. ცხადია, საქონლის შემოტანა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ დანამატი რეალური უნდა იყოს. მიაჩნიათ, ვაჭრობა ისლამში მიღებული არისო და თვინებობენ, მაგრამ ყურანი უპირველეს ყოვლისა მოითხოვს პატიოსან ვაჭრობას. დღეისათვის განსაკუთრებული პატიოსნება მოეთხოვება აფთიაქების პატრონებს, რადგან ისლამი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ავადმყოფების მიმართ და წამლის ფასის რეალურ ფასზე მაღლა აწევა დანაშაულია როგორც ადათის, ისე ისლამისა და სახელმწიფო კანონის წინაშე.

VIII თავი. ნარკოტიკები

დღეისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბრძოლა არის გამოცხადებული ნარკობიზნესის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში არის ჩართული ჩვენი ქვეყანაც. ამ საშინელმა სენმა გასული საუკუნის 90-იან წლებიდან ფეხი მოიკიდა ჩვენს ხეობაში და ღვთის შეწევნით დღეისათვის მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, უფრო სამკურნალო ნარკოტიკის შემცველი წამლების მოხმარების სახით.

1. სასტიკად აიკრძალოს ყოველგვარი ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების მიზნით. ნარკოტიკის დამამზადებელი და გამსაღებელი ჩაითვალოს ერის მოღალატედ და მხილებული იქნეს ხალხის მიერ. გამონაკლისის სახით გადაცემული იქნეს სამართალდამცავ ორგანოებს ზომების მისაღებად.

შენიშვნა:

ა) სამართალდამცავ ორგანოებში ნარკოტიკებით მოვაჭრე პირის გადაცემის შემთხვევაში ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოეხსნას პირს თუ პირებს, რომელთაც გამოავლინეს დამნაშავეები.

ბ) ასევე მხილებული იქნას და სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემული იმ აფთიაქების მფლობელები და წამლებით კერძო მოვაჭრეები, სადაც ყიდიან ნარკოტიკების შემცველ წამლებს, რომელთა გაყიდვაც რეცეპტის გარეშე აკრძალულია სახელმწიფოს მიერ.

გ) ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა დასაშვებია პოლიციაში დაბეზღება. საერთოდ ქისტებში დიდ სირცხვილად

ითვლება პოლიციაში ჩივილი. კაცმა თავად უნდა დაიცვას თავისი ღირსება.

დ) მაგრამ თუ დაზარალებული გადის ქისტური სამართლის ჩარჩოდან და მიმართავს სახელმწიფო მართლმსაჯულებას, დააჭერინებს დამნაშავეს და მოითხოვს სახელმწიფო კანონით მის დასჯას და სახელმწიფო სასამართლოს სასჯელს მიუსჯის, ციხიდან გამოსვლის შემდეგ წყდება მისი დევნა ქისტური სამართლის მიხედვით. ე.ი. დაზარალებული უკვე ვერ მოსთხოვს საქმის ქისტური სამართლით განხილვას.

IX თავი. ქორწინება და განქორწინება

1. ოჯახი საზოგადოების ქვაკუთხედია, უმნიშვნელოვანესი უჯრედია ეთნოსის მთლიანობაში და მის სიმტკიცეს განაპირობებს თანხმობით, ქალ-ვაჟის ურთიერთ სიყვარულით შექმნილი ოჯახი. ამიტომ ქორწინება უნდა შედგეს ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების თანხმობით.

შენიშვნა:

ა) ყოვლად დაუშვებელია ახლო ნათესავების (ბიძაშვილების, მამიდაშვილების, დეიდაშვილების, მათი შვილების და სხვ.) დაქორწინება. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი ასეთ ქორწინებას დასაშვებად მიიჩნევს.

ბ) ასევე დაუშვებელია ერთი გვარის (თეიფის) წარმომადგენელთა დაქორწინება, თუნდაც ნათესაური გენები შორეულ წარსულში გადიოდეს. გვარის წევრები ერთმანეთის მიმართ ძმები, დები და და-ძმები არიან (თეიფან-ვეჟარიი-იეჟარიი).

2. იშვიათობას არ წარმოადგენს ე.წ. ქალის გაპარვით გათხოვება. ამჟამად მოქმედი წესით ასეთი ქორწინება ქისტებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ვფიქრობთ, საგანგაშო არც უნდა იყოს, რადგან ქალ-ვაჟის ნებასურვილით ხდება ოჯახის შექმნა. ასეთ შემთხვევაში ქალის ნათესავებიდან ვინმე ქალიშვილს ეკითხება, თავის ნება-სურვილით გათხოვდა თუ არა და დადებითი პასუხის შემდეგ ბედნიერებას უსურვებს და შემდეგ არსებული წესის მიხედვით ხდება შერიგება.

3. ქალის დანიშვნა ხდება ნიშნობის ნივთის ქალიშვილისთვის მიცემით. ასეთი ნიშნობა შეიძლება მოხდეს ჩუმად ქალიშვილის სურვილის მიხედვით. მაგრამ უფრო მისაღებია, თუ ამგვარი დანიშვნის გასაჯაროება მოხდება. გასაჯაროების შემთხვევაში სასურველია, ქალის ოჯახში საქმროს ნათესავების მისვლა საკლავით და პურმარილით და ნიშნობის განმტკიცება.

4. პატარძლის თუ საქმროს ოჯახში შესაძლებელია ქორწილის გადახდა ზარ-ზეიმის გარეშე, ეს დამოკიდებულია მძახლების ნება-სურვილზე. ქორწილის შემთხვევაში სუფრა იშლება პატარძლის ოჯახში, ნეფის მაყრიონი მიდის პატარძლის ოჯახში, პურმარილის შემდეგ პატარძალი მოჰყავთ საქმროს ოჯახში, სადაც ასევე პურმარილია გაშლილი და ზეიმი გრძელდება. მძახლებს შეუძლიათ შეთანხმებით ერთად გადაიხადონ ქორწილი. მომდევნო დღეს საქმროს ოჯახი განსაზღვრავს და ხდება ცოლეურების მოპატიჟება.

მანამდე სიძე ახლო ნათესავების თანხლებით, საკლავითა და პურმარილით მიდის ცოლეურებთან, რასაც ჰქვია სიძის გაშინაურება.

5. ხარჯები:

ა) ნიშნობა ხდება საპატარძლოს ოჯახში. ქალის მთხოვნელები ოჯახს ესტუმრებიან საკლავით (ყოჩი) და პურმარილით. ოქროულობა (ბეჭედი და სხვ. სამკაულები) შეიძლება ნიშნობაზე გადასცენ ან ქორწილის დროს. ნიშნობაზე საქმროს მხრიდან მიდის სულ 15 ადამიანი.

ბ) ქორწილის წინა დღეს საქმროს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს უგზავნის ორ საკლავს (ყოჩებს) და ქორწილის დღეს პურმარილს.

გ) შესარიგი (თოომ) ცოლეურებთან მიაქვთ, მიდის 3-5 კაცი საკლავითა და პურმარილით.

დ) სიძე ცოლეურებში გაშინაურების მიზნით მიდის საკლავითა და პურმარილით. თან ახლავს მხოლოდ 15 კაცი.

6. ურბეთი დღევანდელი არსებული წესით მიზერულია: 200 ლ. ქალწულზე, 100 ლ. ქვრივზე. აუცილებელია ამ თანხის გაზრდა. ეს თანხა დაწესებულია საბჭოთა წყობილების დროს, როცა 1$ ღირდა 70 კაპიკი. ურბეთი უნდა გაიზარდოს 350 ლარამდე: ქალწულზე 350 ლარი, ქვრივზე 250 ლ. აქედან 50 ლარი ღირს ხელის მოკიდება – „ქუგ ლაცარ“.

7. ქალის მომავალი ქმრის ოჯახში წასაყვანად მამის ოჯახიდან გაყვანისას ხდება კარების ჩაკეტვა-ჩარაზვა და გასამრჯელოს მოთხოვნა. ამისათვის დაწესდეს უმაღლესი ფასი 150 ლარი. კატეგორიულად დაუშვებელია ზედმეტის მოთხოვნა.

შენიშვნა:

ა) ხშირად ქალიშვილის მხარე ითხოვს, რომ ურბეთი და შესარიგი (თოომ) ფულადი სახით გადაუხადონ, დღეს მოქმედი წესით რაღაც 520 ლ. შეადგენს, რაც შეუსაბამოა დღეისთვის

არსებულ საბაზრო ფასებთან. თანხა უნდა გაიზარდოს 850 ლარამდე. ურბეთი უნდა იქნას გადახდილი ქორწინების ოფიციალურად, ისლამის რიტუალით გაფორმების დროს (მახ ბარ, მაჰარ)

ბ) უცხო ქვეყნის, სხვა ეროვნების წარმომადგენელმა ქისტ ქალიშვილზე დაქორწინების შემთხვევაში უნდა გადაიხადოს 3000$ _1000$ ურბეთი, 2000$ შესარიგი.

გ) უცხო ქვეყნის, სხვა ეროვნების წარმომადგენლისა და ქისტი ქალიშვილის ქორწინების შემთხვევაში მათ შორის გაფორმდეს საქორწინო ხელშეკრულება, სადაც ნათლად განისაზღვრება ურთიერთდამოკიდებულებები, მათ შორის ქალის მიტოვების შემთხვევაში მამაკაცის მხრიდან ქონებრივი ვალდებულება ქალის წინაშე (ქონება შეიძლება გამოიხატოს უძრავ-მოძრავ ქონებაში ან ფულად თანხაში). კაცის მხრიდან ქალი მიტოვებულად ჩაითვლება, თუ:

დ) უცხოელი მამაკაცი საკუთარი ინიციატივით მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ქალს მიატოვებს.

ე) დასტურდება კაცის მხრიდან ქალის ან ბავშვის მიმართ ძალადობა (ფიზიკური ანდ ფსიქოლოგიური) და ქალი იძულებულია გაშორდეს მას. კაცი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და დააკმაყოფილოს ქალის ქონებრივი უფლებები.

7. კატეგორიულად იკრძალება ქალიშვილის გატაცება ცოლად შერთვის მიზნით. ძალაში რჩება დღეისთვის არსებული ჯარიმები ქალის გატაცებასთან დაკავშირებით:

ა) თუ ქალის გატაცების პროცესში მოუსწრეს ქალიშვილის ახლობლებმა და დაიბრუნეს ქალი, გამტაცებელი იხდის 5 ძროხას.

ბ) თუ გამტაცებელმა ქალიშვილი გაიტაცა, სოფელს გაარიდა, ან ტყეს შეაფარა, მაგრამ ქალის ახლობლებმა მიაგნეს, წაართვეს და დააბრუნეს, გამტაცებელი იხდის 10 ძროხას.

გ) თუ გამტაცებელმა მოახერხა და ქალი გადამალა დღე-ღამის განმავლობაში და მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს შეძლეს ქალის ახლობლებმა მისი დაბრუნება, გამტაცებელი იხდის 15 ძროხას.

დ) სამივე შემთხვევაში გამტაცებელი და მისი თანმხლები პირები ფიცით ადასტურებენ ქალის უმანკოებას.

ე) გამტაცებლის თანმხლები პირები თუ უარს ამბობენ გატაცებაში მონაწილეობაზე, უნდა დაიფიცონ 2 (ორი) მოფიცარით ან თავად გამტაცებელი იფიცება იმდენი მოფიცარით, რამდენი ამხანაგიც ეხმარებოდა გატაცებაში, რომ მარტო მოქმედებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამტაცებლის თანმხლები პირები საკლავითა და პურ-მარილით მიდიან ქალიშვილის მშობლების ოჯახში შესარიგებლად.

ვ) ხშირად ხდება, რომ ქალიშვილს დაშინებით აიძულებენ გამტაცებლები, განაცხადოს თითქოს თავის თანხმობით გაჰყვა გამტაცებელს, ან თავად ქალიშვილი ადასტურებს ნებაყოფლობით გაყოლებაზე, რადგან იცის, რომ სახელი გაუტყდა და ძნელად გათხოვდება, ან კიდევ გამტაცებელმა იძალადა ქალზე და ა.შ. ამიტომ თუ მშობლები ეჭვში არიან, შეუძლიათ ქალის თანხმობის გარეშე მოითხოვონ მისი სახლში დაბრუნება და შემდეგ დაიწყონ მოლაპარაკება გათხოვების თაობაზე. მშობლებისა და ძმების მოთხოვნის შემთხვევაში ქალი უნდა დააბრუნონ მამის ოჯახში.

ამ შემთხვევაში გამტაცებელმა უნდა დაიფიცონ ქალის უმანკოებაზე. ამავე დროს ქალი თავისუფალია არჩევანში, გაჰყვეს გამტაცებელს ან უარი თქვას.

ზ) გატაცების პერიოდში ქალს შეიძლება ახლდეს გამცილებელი მამაკაცი, რომელმაც ვერ შეძლო გატაცების აღკვეთა, რამაც გამოიწვია მისი ღირსების შელახვა. შეურაცხყოფისთვის ქალის გამტაცებელი ვალდებულია ეწვიოს გატაცებულ ქალთან მყოფ მამაკაცს ოჯახში საკლავითა და პურმარილით ბოდიშის მოსახდელად (ყინტიერ ვაქხარ). ამ სახის მონანიება უნდა მოხდეს მაშინაც, თუ ქალს ახლდა ნათესავი (ძმა, და, დედა, ბიძაშვილი და სხვ.)

თ) თუ ქალის გატაცების დროს მოხდა ჩხუბი, დაჭრა, მოტეხილობების და სხვა სახის ჭრილობების მიყენება, ეს დავა უნდა გამოეყოს გატაცების საქმეს და ცალკე უნდა გაირჩეს.

ი) იმ შემთხვევაში, თუ გამტაცებლები უარს ამბობენ თანხის გადახდაზე, ე.ი. არ ემორჩილებიან ქისტურ სამართალს, მაშინ დაზარალებულებს უფლება აქვთ, მიმართონ სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს და დამდგარ შედეგზე პასუხს არ აგებენ. მაგრამ გამტაცებლების თანხის გადახდაზე მზადყოფნის მიუხედავად თუ ქალიშვილის მშობლებმა მაინც მიმართეს პოლიციას, მაშინ მოსალოდნელ შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

8. კატეგორიულად იკრძალება 18 წლამდე ასაკის ქალიშვილის გათხოვება. მიუხედავად ქალისა და მშობლების თანხმობისა. 18 წლამდე ასაკის ქალიშვილის ცოლად შერთვა სახელმწიფო კანონითაც დასჯადია. ამ მუხლის ამოქმედებაზე პასუხისმგებელია სასულიერო ლიდერები.

შენიშვნა:

ტრადიციული ისლამის იმამები უარს ამბობენ ასეთი ქორწინების რელიგიური რიტუალით ლეგიტიმაციაზე („მაჰარ დილ-ლარ“). სასურველია, ამ პროცესში ჩაერთონ ახალი

მიმდინარეობის ლიდერებიც (ემირები). ისლამი არ კრძალავს უწლოვანი ქალიშვილის გათხოვებას, მაგრამ არაბეთში, ცხელ კლიმატურ პირობებში გოგონა ადრე აღწევს მოწიფულობას.

9. განქორწინებას ქისტური საზოგადოება ნეგატიურად უყურებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინიციატივა მოდის ცოლის მხრიდან. ძველად ქალის მიერ ქმრის მიტოვების მცდელობას დიდი პრობლემები მოჰყვებოდა ხოლმე. დღესაც ცოლ-ქმრის ნათესავები ყველანაირად ცდილობენ ოჯახის შენარჩუნებას, მაგრამ თუ არსებობს სერიოზული მიზეზები, მაშინ სჯობია, შეთანხმებით მოხდეს გაყრა.

შენიშვნა:

ა) გაყრის წესი უნდა მოდიოდეს ისლამთან შესაბამისობაში. დღევანდელი წესი, რითიც ქმარი უპირატესობით სარგებლობს, გადახედვას საჭიროებს. ისლამის მიხედვით, გაყრა შეიძლება ქმრის და ცოლის ინიციატივით. თუ გაყრა ხდება ქმრის ინიციატივით, ცოლი მიდის ქმრისა და ქმრის ნათესავების მიერ ბოძებული საჩუქრებით. ხოლო თუ ცოლის ინიციატივით ხდება გაყრა, ის ტოვებს ქმრისა და ქმრის ნათესავების მიერ ნაბოძებ საჩუქრებს.

ასევე თუ ცოლი სერიოზული მიზეზების გარეშე ტოვებს ქმარს, მისი მშობლები ვალდებულნი არიან, გადაუხადონ სიძის ოჯახს დაქორწინების დროს გაწეული ხარჯები.

ბ) ქისტური ადათითაც, ცოლის ინიციატივით გაყრის დროს ცოლი ტოვებს საჩუქრებს(ოქროულობას, ძვირფას ნივთებს და სხვ.)

ისლამშიც „მაჰარ“ (ხარჯი) უბრუნდება ქმარს.

10. ოჯახში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ არასერიოზული მიზეზების გარეშე ქმრის ინიციატივით ცოლთან

გაყრის შემთხვევაში, ქმარი დამატებით უხდის ცოლს კომპენსაციას დღევანდელი მოქმედი წესის მიხედვით (დღე-ღამე= 1ლარი), რაც არ შეესაბამება ქალის შრომა-გარჯას ოჯახში. დღეს ქალი აქტიურად არის ჩართული ბიზნესსა და კომერციაში. თავისი წილი შეაქვს ოჯახის კეთილდღეობაში. საჭიროა, დათხოვილ ქალს მიეცეს წილი მისი მონაწილეობით დაგროვილ ქონებაში სამემკვიდრეოს უფლებით. საფასური დაადგინოს ადათობრივმა სასამართლომ.

11. ვფიქრობთ, ტელეფონით საუბარი ქალ-ვაჟს შორის და ასევე ელექტრონული მიმოწერა (მესიჯები) არ უნდა ჩაითვალოს ქორწინებაზე დადებულ პირობად. ასეთი შეთანხმება, ხშირად ბანალური მიმოწერა, იწვევს გაუგებრობას, პრეტენზიებს ვაჟის მხრიდან, ქალიშვილის დისკრედიტაციას.

შენიშვნა:

ა) მაგრამ დაუშვებელია ქალიშვილის ისეთი საქციელი, როდესაც ვაჟიშვილს ჰპირდება, ან, უბრალოდ აიმედებს ცოლად გაყოლას და შემდეგ, თუ გამოჩნდა უკეთესი საქმრო, მას მიჰყვება. ეს უზნეო საქციელია და დასჯადია.

ბ) ასევე ოფიციალურ გაყრად არ ჩაითვლება ტელეფონით ან მესიჯით ცოლის მიტოვება. ადათით და ისლამით გაყრა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, ოფიციალური წესით, უნდა წარადგინოს გაყრის ინიციატორმა სერიოზული მიზეზები, რომელთა გამოც ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრება მიზანშეწონილი არ არის.

გ) ცოლ- ქმარს შორის უთანხმოების, კამათის, ჩხუბის და სხვ. ემოციური გრძნობას აყოლილ ქმარმა შეიძლება განაცხადოს, რომ ეყრება ცოლს, რომელიც ასევე ემოციებს აყოლილი ბრუნდება მამის სახლში. ისლამი დასაშვებად მიიჩნევს

შერიგებას ასეთი შემთხვევების დროს ორჯერ, მაგრამ თუ მესამედაც მოხდა გაყრა, მაშინ ქმარი ვერ დაიბრუნებს ცოლს, სანამ ის სხვას არ გაჰყვება და ახალი ქმარი არ მიატოვებს.

დ) ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვი (ბავშვები) უნდა დარჩეს დედასთან და ყოფილი ქმარი უნდა მონაწილეობდეს მათ აღზრდაში. მაგრამ თუ გაყრა მოხდა ცოლის უზნეო ყოფა-ქცევის შედეგად, ბავშვი (ბავშვები) დარჩება ქმრის ოჯახში. თუ გაყრილი ცოლი დააპირებს ხელმეორედ გათხოვებას, მაშინ ბავშვი (ბავშვები) უნდა დააბრუნოს მამის ოჯახში.

12. გაუთხოვარი ქალიშვილის ან ქვრივი ქალის შეცდენაზე (თუნდაც ქალის თანხმობით) პასუხისმგებელია კაცი და უნდა შეირთოს შეცდენილი ქალი მისი თანხმობის შემთხვევაში და ეკრძალება ცოლის მიტოვება სერიოზული მიზეზების გარეშე.

13. გაუთხოვარი ქალის გაუპატიურების შემთხვევაში მოძალადე ირთავს ქალს მისი თანხმობის შემთხვევაში, იხდის 20 ძროხას და ეკრძალება ცოლის მიტოვება სერიოზული მიზეზების გარეშე.

14. დანიშნული ქალის გაუპატიურების შემთხვევაში მოძალადე იხდის საქმროს სასარგებლოდ 18 ძროხას. თუ ქალი დანიშნულია შესაბამისი ყველა კანონის დაცვით (ქალის ოჯახში მისვლით დანიშვნა, საჩუქრების, ოქროულობის გადაცემით და სხვ.) მოძალადე იხდის 30 ძროხას. ამ ჯარიმას იხდის მაშინ, როცა სხვის დანიშნულს ცოლად ირთავს.

შენიშვნა: თუ მოძალადე გაიტაცებს სხვის ცოლს და დაისვამს ცოლად, უმძიმეს დანაშაულად ითვლება და

უტოლდება კაცის მკვლელობას და იხდის 60 ძროხას. და ქალის მამას უხდის 12 ძროხას.

15. სხვისი ცოლის გაუპატიურების შემთხვევაში მოძალადე იხდის 30 ძროხას.

შენიშვნა:

ა) დანიშნული გაუპატიურებული ქალის შერთვა-მიტოვება საქმროს უფლებაა.

ბ) გაუპატიურებული ცოლის გაშვება-დატოვება ქმრის უფლებაა.

გ) დანიშნული ქალის ცოლად შერთვის მიზნით გატაცება ან სხვისი ცოლის ასევე ცოლად შერთვის მიზნით გატაცება გაუპატიურების მუხლით ისჯება 18-30 ძროხა.

16. ქალის ნამუსი დაცულია ქისტური ადათით და ისლამითაც. თუ ქალზე გავრცელდა ჭორი, რომელიც ბღალავს ქალის ღირსებას, თუ გამოვლინდა ინფორმატორი, უნდა დაიფიცოს 4 კაცით ქალის სიწმინდეზე. ისლამითაც 4 მოწმეა საჭირო ჭორის დასამტკიცებლად.

17. ცილისწამება, რა სახისაც არ უნდა იყოს და ვისაც უნდა ეხებოდეს, კაცს თუ ქალს, ითვლება ამორალურ საქციელად და დასჯადია. ცილისმწამებელმა ფიცით (მოფიცართა რაოდენობას ადგენს მოსამართლენი) უნდა დაამტკიცოს ან უარყოს მის მიერ გავრცელებული ჭორის ინფორმაცია. ფიცის შემდეგ მოფიცარი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

18. რძალი ქისტურ თემში დიდი პატივისცემით სარგებლობს. მას ეს პატივისცემა დამსახურებული აქვს, რადგან ოჯახის მძიმე ტვირთის ზიდვა მას უწევს. თუ ახალგაზრდა დაქვრივდა, უფლება აქვს გათხოვდეს, ისლამის მიხედვით, ვალდებულიც კი არის. ქისტური ადათით ქვრივი რძალი, თუ

აპირებს გათხოვებას, ქმარეულებისგან თავისუფლდება, ბრუნდება მამის სახლში და თხოვდება. თუ ქმრის ოჯახიდან გათხოვდა, მის ქმარს 20 ძროხა დაეკისრება.

შენიშვნა: ხშირია შემთხვევა, როცა რძალი, ქმრის მიერ მიტოვებული, რჩება ქმრის სახლში და ზრდის ბავშვებს. ამ შემთხვევაშიც არ აქვს უფლება ყოფილი ქმრის ოჯახიდან გათხოვებისა. ის უნდა დაუბრუნდეს მამის ოჯახს და იქიდან უნდა გათხოვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ ქმარს დაეკისრება 10 ძროხის გადახდა.

19. ქალი ქისტური სამართლით დაცულია. თუ ქმარი ძალადობს, ცოლი ჯერ მიმართავს ქმრეულებს, მაგრამ თუ მათ ვერ მოახდინეს რეაგირება, იძულებულია მშობლები, ძმები ჩართოს. გაფრთხილების მიუხედავად, თუ ქმარი განაგრძობს ძალადობას, ქალს აბრუნებენ მამის ოჯახში. დავა გაირჩევა ქისტური სამართლით. ქისტური მენტალიტეტით მანდილოსნისთვის ყოვლად შეუფერებელია ოჯახურ კონფლიქტებში სამართალდამცველების ჩართვა, რაც იწვევს ოჯახის რღვევას, მოქმედებს შვილების აღზრდაზე და ა.შ. თუ ქალი მაინც მიმართავს სამართალდამცველებს, ხდება ქმრის გასამართლება ან შვილების გადაცემა სახელმწიფო ორგანოებისთვის. ასეთ შემთხვევაში ხდება ორი ოჯახის, ორი გვარის სამტროდ გადაკიდება და მომჩივანი ქალიც ავტომატურად იკვეთება საზოგადოებისგან.

შენიშვნა: თუ სამართალდამცველი ორგანოები დამოუკიდებლად დააფიქსირებენ ქალზე ძალადობას და მიიღებენ სათანადო ზომებს, ქალი პასუხს არ აგებს შედეგზე.

X თავი. მემკვიდრეობა

1. ქისტური სამართლით მემკვიდრეობის საკითხი მარტივად არის გადაჭრილი: მთელი მემკვიდრეობა ნაწილდება ვაჟიშვილებს შორის. განაწილება ხდება შემდეგნაირად: მშობლები იღებენ ერთ წილს, რომელიც შემდეგში, მათი გარდაცვალების შემდეგ რჩება უმცროსს ან სხვა რომელიმე ვაჟიშვილს, ვისთანაც მშობლები ცხოვრობენ სიკვდილამდე და რომელიც მარხავს კიდეც.

2. ქალიშვილებს მშობლების ქონებიდან წილი არ აქვთ, მშობლები ვალდებულები არიან მზითევი გაატანონ, შეიძლება ძროხაც აჩუქონ, თავიანთი სურვილით, ვალდებულება ამისა არ აკისრიათ.

მაგრამ ზრუნვა ქალიშვილებზე მშობლებს და მათი გარდაცვალების შემდეგ ძმებს აკისრიათ. თუ ქალიშვილი ბრუნდება ოჯახში, მასზე ზრუნავენ მშობლები, ძმები, ძმისშვილები, ბიძები, ბიძაშვილები და სხვ. თუ მცირეწლოვანი ბავშვები მოჰყვა ქალიშვილს, მათ აღზრდაშიც მონაწილეობენ, თუ ბავშვის მამა უარს იტყვის შვილების მატერიალურ დახმარებაზე.

3. იმ შემთხვევაში, როცა მშობლებს არ ჰყავთ ვაჟიშვილი, გვარის გამგრძელებელი, მემკვიდრედ ხდებიან ოჯახის უფროსის ძმები და ძმისშვილები. ეს მაშინ, როცა ქალიშვილები ვერ, ან არ უვლიან მოხუც მშობლებს და მათზე მზრუნველობას იღებენ ძმები და ძმისშვილები.

მაგრამ თუ ქალიშვილები უვლიან მშობლებს, ზრუნავენ მათზე, მშობლების ქონება მათ რჩებათ, თუმცა უფლება არ აქვთ, სიძე შემოიყვანონ ოჯახში. უმეტესწილად ჰყიდიან სახლ-კარს და ფულს ინაწილებენ ქალიშვილები.

შენიშვნა:

თუ ქალიშვილებმა გადაწყვიტეს მშობლების კარმიდამოს გაყიდვა, პირველ რიგში უნდა შესთავაზონ ბიძებს და ბიძაშვილებს. მათი უარის შემთხვევაში შეუძლიათ გაყიდონ ნებისმიერ მყიდველზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქალიშვილები სამემკვიდრეო უფლებას მოკლებულნი არიან და მიგვაჩნია, რომ საჭიროა დღევანდელობის გათვალისწინებით რეფორმული ცვლილებების შეტანა არსებულ ადათში.

ყურანის მე-4 სურა ეძღვნება ქალებს და განსაზღვრულია ქალების სამემკვიდრეო უფლებები. იქ, მე-8 აიათში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ ვაჟებს წილი უნდა ედვათ თავიან დედამამისა და თავიანთ მახლობელთა დატოვებულ ქონებაში; ქალთაც აგრეთვე წილი უნდა ედვათ მასში, რასაც მათი დედამამები და მახლობლები დატოვებენ. სამკვიდრო დიდ თუ მცირე საღირად იქმნეს, განსაზღვრული წილი ერგოსთ“.

მემკვიდრეობის წილებს განსაზღვრავენ ამ მიზნით შერჩეული კომისიის წევრები. კომისიას ირჩევს მოსამართლეთა (ხელხოი) კორპუსის უფროს წევრებთან შეთანხმებთ. იქვე მე-12 აიათში განსაზღვრული არის ქალიშვილების სამემკვიდრეო წილი მშობლების ქონებაში: „ ღმერთი გამცნებსთ, თქვენ შვილთ შორის ქონების გაყოფის დროსა, ვაჟს მისცეთ წილი ორი ქალისა; ხოლო თუ მარტო ქალები იყვნენ და ორზე მეტიცა, მაშინ ორი მესამედი მიიღონ, რაც კი მამას დარჩეს, ხოლო თუ მარტო ქალი იქმნეს, ნახევარი მიიღოს.“

ასევე მე-14 აიათში ქვრივად დარჩენის შემთხვევაში ცოლი ქონების მეოთხედს იღებს, თუ შვილები არ ჰყავთ, ხოლო თუ შვილებიც დარჩათ, მხოლოდ მერვედი ეკუთვნის.

4. როგორც ყურანი გვაუწყებს, ქალებს ეკუთვნით მშობლებისა და ქმრის ქონებაში წილი და მიგვაჩნია, რომ უნდა გაგრძელდეს ქისტური სამართლის რეფორმების ტრადიცია და ცვლილებები შევიდეს ამ ადათში. ქალიშვილის წილს დაადგენს ამ მიზნით არ- ჩეული კომისია.

5. ქალიშვილს, რომელიც თხოვდება, უნდა ჰქონდეს მომზადებული იმ დონის მზითევი, რომ ახლად შექმნილი ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთებით, ჰყავდეს ძროხაც, თუ ამის საჭიროება არის. ყოველ შემთხვევაში, იმდენი რამ უნდა გაატანოს მშობლებმა, რომ მათი ქონების რაღაც წილი, თუნდაც მეექვსედი მაინც ერგოს.

6. თუ ქალიშვილი გაუთხოვარი დარჩა ოჯახში, უნდა გამოეყოს საკუთრებაში საცხოვრებელი ოთახი, ჰყავდეს ერთი სული ძროხა, ერთი სულისთვის საკმარისი საბოსტნე და დასამუშავებელი მიწის ნაკვეთი.

შენიშვნა:

თუ მშობლებს არ ჰყავთ მემკვიდრე ვაჟიშვილი (ვაჟიშვილები) მშობლების უძრავ-მოძრავი ქონება რჩება ქალიშვილს (ქალიშვილებს), თუ ისინი მოუვლიან მშობლებს. მაგრამ თუ ქალიშვილმა (ქალიშვილებმა) სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ან არ მოუარეს მოხუცებულ მშობლებს, ისინი კარგავენ მემკვიდრის უფლებას. მემკვიდრეებად ხდებიან ნათესავები, რომლებმაც მოუარეს უპატრონო მოხუცებს(სარჩოს არ აკლებდნენ, ავადმყოფებს უვლიდნენ, სიკვდილის შემდეგ დამარხეს და ა.შ.)

7. მიზანშეუწონელია სიძის ცოლეურების ოჯახში დამკვიდრება, ქისტური მენტალიტეტისათვის არ არის დამახასიათებელი. ქალიშვილი მამისეული სახლ-კარის გაყიდვის დროს პირველ რიგში შესთავაზებს გვარში უახლოეს ნათესავებს, მათი უარის შემთხვევაში ჰყიდის ნებისმიერ ქისტზე.

შენიშვნა: დასაშვებია ქალიშვილის ვაჟიშვილის დამკვიდრება დედის მშობლების კარ-მიდამოში, თუ ის აქტიურად მზრუნველობდა ბაბუა-ბებიაზე. ეს გამონაკლისი დაიშვება ქისტებში დედისძმის, დედეულების კულტიდან გამომდინარე.

8. დედის სამკაულები, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები უპრობლემოდ რჩება ქალიშვილს.

9. უშვილო ცოლ-ქმარს შეუძლიათ შვილად აიყვანონ ნებისმიერი ბავშვი, სასურველია ქმრის ახლო ნათესავი, თუ ამაზე შეთანხმება შედგება.

შენიშვნა: შვილად აყვანილი სხვა ეროვნების შვილი უნდა აღიზარდოს ქისტურ ადათ-წესებზე და უპირობოდ უნდა იყოს მუსლიმური აღმსარებლობისა.

10. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ხანდაზმულ უშვილო ქალს შეუძლია აიღოს ქმრის ახლობლებისგან კომპენსაცია და დაბრუნდეს მამის ოჯახში, თუკი ამის სურვილი აქვს. ისე სიცოცხლის ბოლომდე შეუძლია დარჩეს ქმრის ოჯახში ქმარეულების მზრუნველობის ქვეშ და მემკვიდრედ აიყვანოს ქმრის უახლოესი ნათესავი. ხშირია შემთხვევები, როცა ხანდაზმული წყვილები ქორწინდებიან.

თუ ქმარი გარდაიცვალა, ქალს შეუძლია დარჩეს ქმრის ოჯახში და ქმარეულები იზრუნებენ მასზე. თუ დაბრუნდა

მამის ოჯახში, მიეცეს სამარხი: 2 ძროხა, 2 ცხვარი, 4 ტომარა ფქვილი.

11. ყოვლად დაუშვებელია მარტოხელა ქვრივმა ბანკიდან კრედიტი აიღოს, სახლ-კარი გარანტად ჩააყენოს, დაფარვას განგებ თავი აარიდოს და სახლ-კარი ბანკის საკუთრებაში აღმოჩნდეს.

12. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მიწის საკითხი. საბჭოეთის დაშლის შემდეგ მიწა განაწილდა მოსახლეობას შორის და პანკისელ ქისტებს საკარმიდამო ნაკვეთთან ერთად მიზერული ფართობი (0,5 ჰა) შეხვდა და მიწის დეფიციტი შეიქმნა. ხშირია დავა მიწის გაფორმების დროს. ოსებისგან ქისტებმა შეიძინეს სახლ-კარი და მიწის ფართობიც, მაგრამ გაფორმება ვერ შეძლეს, ან უბრალოდ თავის დროზე ყურადღება ვერ მიაქციეს. ასეთივე მდგომარეობა არის საკარმიდამოდ გამოყოფილი ნაკვეთების თაობაზეც, როცა ხშირად ერთიდაიგივე ფართობი ორ მოსახლეზეა განაწილებული.

მიგვაჩნია, რომ, რადგან მთელი მიწის ფონდი სახელმწიფოს საკუთრებაა, დავა გადაწყდეს საქართველოს მიწის კანონის მიხედვით. მაგრამ აქაც არის პრობლემა: ხშირად მოსახლე ახერხებს უკანონოდ, საჯარო მოხელის შეცდომაში შეყვანით, ან სულაც მოსყიდვით, უკანონოდ გაიფორმოს სხვისი კუთვნილი მიწა და კანონით ძალადობს. ასეთ შემთხვევაში საქმე უნდა განიხილოს ადათობრივმა სასამართლომ და მათ გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილონ მოდავეები.

13. თუ ოჯახის უფროსმა ანდერძი დატოვა, მისი უძრავ-მოძრავი ქონება უნდა განაწილდეს ამ ანდერძის მიხედვით. მიცვალე- ბულის ნება-სურვილი წმინდაა და მას პატივი უნდა მიეგოს. ამას მოგვიწოდებს ყურანიც, თანაც გვაფრთხილებს:

„ვინც მოისმინოს მოანდერძის გულის წადილი მისი სიკვდილის ჟამსა და გადაასხვაფეროს, ცოდვა ჩაიდინოს. ღმერთი ხედავს და უყურებს ყველაფერს“.

სურა 2, 177 აიათი.

შენიშვნა: შეიძლება მოანდერძემ თავისი ქონება არასწორად, უსამართლოდ გაანაწილოს გაბრაზებულმა, ემოციებს აყოლილმა, სულაც გონებაარეულმა შეადგინოს ანდერძი. ამ შემთხვევაში ანდერძის აღმსრულებელს უფლება აქვს არსებული კანონმდებლობით გაუნაწილოს მემკვიდრეების გარდაცვლილის ქონება, მე-2 სურის 178-ე აიათი გვაუწყებს:

„ვინც მოანდერძის მიერ შეცდომისა თუ უსამართლობის შიშით გაარიგოს, როგორც შეშვენის მემკვიდრეთა სიმართლესა, არაფერი დააშაოს. ღმერთი სულგრძელ და შემწყნარებელია“.

XI თავი. მიცვალებულის დაკრძალვა

ყველაზე პრობლემური მიცვალებულის გასტუმრებასთან დაკავშირებული რიტუალებია, ეს პრობლემები განსაკუთრებით გაღრმავდა ქისტებში ახალი რელიგიური მიმდინარეობის გაჩენის შემდეგ, რომელსაც ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა მისდევს. სწორედ მიცვალებულთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ გააღრმავა დაპირისპირებულობა ორ ბანაკში, რამაც დაარღვია საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ერთიანობა ქისტურ ეთნოსში.

მრავალჯერ ჩატარდა რეფორმები ამ კუთხით, მაგრამ მოკლე ხანში რომელიმე ამბიციური ოჯახი არღვევდა დადე-

ბულ პირობას (ბართ). დღეისათვის მიცვალებულზე ჩასატარებელ რიტუალებს ტრადიციული ისლამის მიმდევრები ატარებენ წინაპართა მსგავსად, ახალი მიმდინარეობის მიმდევრები არაბული წესით, უფრო სწორად პირველყოფილი ისლამურ-არაბული ტრადიციებით. ვფიქრობთ, ალაჰს უნდა მივანდოთ იმის დადგენა, ვინ მიდის ჭეშმარიტი გზით, რადგან ახალგაზრდები მამებს ადანაშაულებენ, ჭეშმარიტ ისლამს გადაუხვიესო, ხოლო მამები შვილებს გმობენ სარწმუნოებისგან განდგომაში.

1. ჩვენი აზრით, მიცვალებულის სუფრას გაშლის, ვისაც სურს, ვისაც აქვს შესაძლებლობა, ხოლო ვისაც არ უნდა, არც გაშლის, ეს მისი უფლებაა.

2. ასევე არ ღირს დავა, საფლავის სამხრეთით გაიჭრება ნიშა (ლაჰდი) თუ ჩრდილოეთით, ორივე შემთხვევაში მთავარი კეთდება: მიცვალებულის სახე სამხრეთისკენ (ყიბლა) არის მიქცეული, მაგრამ სასურველია, ჭირისუფლის ნება შესრულდეს.

3. ასევე, ვისაც არ უნდა ვედრება ღმერთისადმი, რათა მისი მიცვალებული შეიწყალოს, თავისი ნებაა, ხელებსაც ნუ ასწევს.

4. თუ არ სურთ, ხმამაღალ ზიქრს ნუ შეასრულებენ ცხედრის სასაფლაოსკენ გასვენების დროს.

5. მიცვალებულის ოჯახისათვის დახმარებაც მიუღებელია ახალგაზრდებისათვის, ესეც მათი ნებაა, მათი უფლებაა, გაიღებენ თუ არა მოწყალებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი სახის ქველმოქმედება (საayა) ალაჰის მოსაწონი საქმეა და საჭიროც. ამიტომ ძალაში უნდა დარჩეს ეს ადათი.

6. მესაფლავეებისთვის, არსებული წესით, დაკრძალვის წინა საღამოს სადილისთვის იკვლება ცხვარი და დაკრძალვის

დღეს სასაფლაოზე მიაქვთ მოხარშული ხორცი თავისი წვენით. მესაფლავეებს საუზმესაც მიართმევენ (ყველი, პური, წვენები და სხვ.) ხოლო მიცვალებულის სუფრაზე სხვებთან ერთად სადილობენ.

ამიტომ სადილისთვის დაკლული ცხვირს ხორცი განაწილდება მესაფლავეებზე და გაეგზავნება მათ ოჯახებს. ეს იქნება უკეთესი მიცვალებულის სულისთვის, ჭირის უფლისთვისაც და მიესაფლავეებისთვისაც.

7. ყველაზე მძიმე სამუშაო დაკისრებული აქვთ, უფრო სწორად, ნებაყოფლობით იტვირთეს მათ, რომლებიც მიცვალებულის განბანვის რიტუალს ასრულებენ. ისლამის მოთხოვნაა, განბანვა ჩაატარონ უახლოესმა ნათესავებმა, მაგრამ ეს მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის ადამიანებსღა ძალუძთ. ამიტომ უნდა ანაზღაურდეს ცხედრის განბანვის შრომა.

დუისის მეჩეთში ამაზე იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული რიტუალი შეფასდეს 200 ლარად, სასურველია, ეს ინიციატივა გავრცელდეს ყველა ქისტურ სოფელში.

XII თავი. ადათობრივ მოსამართლეთა (ხელხოი) კორპუსი

1. აუცილებელია დღეისათვის მოქმედი მედიატორული (ორი კაცის) სასამართლოს შენარჩუნება და გადახალისება. ამჟამად ორიოდე ხელხოი აქტიურობს და საქმის გარჩევის დროს პრობლემა იქმნება მათი სიმცირის გამო. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ქის- ტური სამართლის მცოდნენი ცოტანი არიან,

მაგრამ არ არსებობს სიმცირე ჭკვიანი და ავტორიტეტიანი უხუცესებისა.

2. ჩვენი აზრით, თითოეულ სოფელში უნდა აირჩეს მინიმუმ ორი-სამი მოსამართლე, რომლებიც განიხილავენ მათ სოფელში არსებულ დავას. თუ ორი სოფლის მცხოვრებლებს შორის წარმოიშობა დავა, მოდავეები თავიანთი სოფლის მოსამართლეებს მიანდობენ საქმის გარჩევას.

3. თუ სადავო საქმეში ადგილობრივმა მოსამართლეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მაშინ იკრიბება მთელი ხეობის მოსამართლეთა (მეხქ ხელხოი) კორპუსი და ისინი განიხილავენ არსებულ დავას.

4. მოსამართლეების სახელმძღვანელო კოდექსი იქნება წინამდებარე „ქისტური სამართლის კოდექსი“. ცხადია ამ სამართალს ყველაფრის მომცველობის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სახალხო განხილვისა და საბოლოო ვარიანტის ყრილობაზე დამტკიცების შემდეგ ქისტურ ადათ-წესებში ჩახედული ადათობრივი მოსამართლენი მასზე დაყრდნობით გამოიტანენ სამართლიან განაჩენს.

5. ქისტური სამართლის კოდექსის შემდგენელი უხუცესები ვიმედოვნებთ, რომ მოსამართლეთა (ხელხოი) დეფიციტის მოსპობას დიდად შეუწყობს ხელს წინამდებარე სამართლის კოდექსი და რაც მთავარია, დაეხმარება ქისტურ საზოგადოებას ყოფა-ცხოვრებითი პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში. ცხადია, დავათა უმრავლესობას განსაკუთრებულობა ახასიათებს და მათი განხილვა-გადაწყვეტილება დამოკიდებულია ხელხოის სიბრძნესა და პრაქტიკაზე.

6. სასურველია ყველა დავა წარმოშობილი ქისტურ თემში გადაწყდეს აქ წარმოდგენილი ადათობრივი სამართლით, რომელიც პასუხობს ასევე ისლამის პრინციპებს. მაგრამ

არის შემთხვევები, როცა მოდავე მხარე ითხოვს შარიათის სასამართლოს.

ა) დღევანდლამდე შარიათის სასამართლოში განხილული საკითხების უმეტესობა დადებითად არ გადაწყვეტილა, რადგან არსებული მენტალიტეტი, ადათ-წესები ძირეულად განსხვავდება ქისტური ტრადიციებისგან და ზნე-მორალისგან ჩვენ, ქისტები ვცხოვრობთ ქრისტიანულ სახელმწიფოში და არ მიგვაჩნია ისლამური სახელმწიფოების ბერკეტები დანაშაულების აღსაკვეთად. მაგალითად, შარიათის მიხედვით, ქურდ კაცსა და ქალს უნდა მოეკვეთოს ხელები, რაც საქართველოს სახელმწიფოს კანონით მკაცრად ისჯება.

ბ) ამიტომ სასურველი არ არის ქისტურ თემში შარიათის სასამართლო. ქისტური ადათ-წესებიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე, პანკისელ ქისტებში მომხდარი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ქისტური თემის სამართლით და საქართველოს სახელმწიფო კანონების გათვალისწინებით.

გ) ღრმად ვართ დარწმუნებული (ისლამის თეოლოგებიც ეთანხმებიან), რომ ისლამურ თემში მიღებული კანონები (ნიზამები), რომლებიც აწესრიგებენ მუსლიმანთა ცხოვრებას და არ ეწინააღმდეგებიან ისლამს და იძენენ შარიათის ძალას.

საქართველოში ქისტების დასახლება

XVIII ს-ის შუა ხანებისათვის ფაქტიურად პანკისის ხეობა მოსახლეობისაგან დაცლილი იყო, რადგანაც დაღესტნელი ფეოდალების გამუდმებულმა თავდასხმებმა მასიური ხასიათი მიიღო. მოსახლეობის ნაწილი გაწყდა და მტერთან ბრძოლას შეეწირა, ხოლო ნაწილმა კი საცხოვრებლად

სამხრეთისაკენ, ბახტრიონის ქვედა მხრის მიდამოებში დაიდო ბინა, სადაც შედარებით უსაფრთხოდ იგრძნობდნენ თავს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ბარში დაღესტნიდან მომავალი მოთარეშე რაზმები პანკისზე გადიოდნენ და აქედან ესხმოდნენ თავს კახეთისა და ქართლის მოსახლეობას, რადგანაც ეს გზა არის ყველაზე მოკლე და ამასთანავე, საიმედო გზა. იმის გამო, რომ ლეკების უეცარი შემოსევები მასიურ სახეს იღებდა და პანკისის მოსახლეობის ცხოვრება და არსებობა გართულდა, ხეობაში დარჩენილი მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის ხელისუფლებას ზომები მიუღია, რაზედაც მიუთითებს კახეთის მეფის განკარგულება, რომელზედაც დათარიღება არ ჩანს, თუმცა 1730-40-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს სავარაუდოდ. ამ დოკუმენტის თანახმად კახეთის მეფემ თუშეთის მოურავს, ზურაბ ჩოლოყაშვილს უბრძანა, რომ პანკისელები ბახტრიონის მიდამოებში ჩაესახლებინა, სადაც მათ საფრთხის შემთხვევაში ბახტრიონის გარნიზონი დაიცავდა: „ჩვენი ბრძანება არის თუშთ მოურავო ზურაბ, პანკისი ხომ სახასო და შენი საკელოა; ახლა ესენი მოასხი და ბახტრიონის ციხეში მისხი, და ისიც ჩვენი სახასო არის, იქ დააყენე, ბეჯითი შეიქენ დაყენებაზე, კარგად გვემსახურენ იქიდან“ [14. Hd საბუთი N10063]

ერეკლე II-ის მიერ თუშეთის მოურავ დურმნიშხან ჩოლოყაშვილისადმი გაცემული 1781 წლით დათარიღებული განკარგულებით ჩანს, რომ თუშების ცხვრის დასაყენებელი ადგილები ალვანი, პანკისისა და ლოპოტის ხეობები ყოფილა (14. ფონდი Ad. საბუთი N10063]. ამავე პერიოდის ქართველი მეფეების მიერ გაცემული სიგელებიდან ჩანს, რომ ადრიდანვე პანკისის მიწებით სარგებლობდნენ ფშავლები. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ბ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ

,,ფშავლები პანკისის ხეობაში ყოველ წელიწადს ჩამოდიოდნენ შემოდგომაზე და გაზაფხულამდე რჩებოდნენ. გაზაფხულზე კი მთელი თავისი ოჯახითა და საქონლით თავიანთ საცხოვრებელ ადგილს უბრუნდებოდნენ [15.41]. ცხადია ასეთი სეზონური ფშავლების ჩამოსახლება იმიტომ იყო, რომ ზამთრის პირობებში ლეკების კავკასიონზე გადმოსვლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო, რაც ფშავლებს პანკისში დროებით სიმშვიდის საშუალებას აძლევდა.

ხვთისო მამისიმედიშვილის თანახმად, ამ პერიოდისთვის ,,პანკისის ხეობაში ცხოვრების ორათასწლოვანი უწყვეტი ისტორიული ჯაჭვი გაწყდა. პანკისის ხეობამ კახეთის ჩრდილოეთი ნაწილის პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა დაკარგა, ამიტომ პანკისის სამოურავოს გვიან შუა საუკუნეებში თუშეთის სამოურავოს უწოდებდნენ, რადგან პანკისის მოსახლეობისაგან დაიცალა, ამ პერიოდში მთელი ყურადღება გადატანილი იქნა თუშებისაგან ჩრდილოეთის საზღვრის დაცვისა და თუშური მეცხვარეობის განვითარებაზე. სამოურავოში შედიოდა: თუშეთი, პანკისის ხეობა, ახმეტა, მატანი, ბახტრიონი, სტორისა და ლოპოტის ხეობები, ალვნის ველი. თუშებს ამ ადგილებში ცხვრის გადაადგილების ნებართვა მიეცა, რადგან გარეშე მტრების შემოსევების შედეგად XVIII ს-ის მეორე ნახევრისათვის ეს ტერიტორიები მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილი იყო, იგი გამოიყენებოდა თუშეთის ცხვრის საზამთრო საძოვრებად.

მაგრამ ვითარება ასეთნაირად დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც მე-18 ს-ის მეორე ნახევრიდან მატნის, მარილისისა და ახმეტის მფლობელებმა მოსახლეობისაგან დაცლილი პანკისის ხეობის მამულების დაპატრონება დაიწყეს, ხოლო კოდალაშვილებმა და კობიაშვილებმა მეფესთან ჩივილი.

ამ დროიდან იწყება გამუდმებული დავა-კამათი ჩოლოყაშვილებსა და მომჩივანებს შორის, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ამ დავა-კამათის ასახა და შინაარსს გადმოგვცემს და ყველა ეს მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ დაეუფლონ პანკისის ხეობის მიწებს. როგორც ისტორიული მასალებიდან ჩანს სამეფო კარი პანკისელთა საჩივრებს ყურადღების გარეშე არ ტოვებდა, მაგრამ მისი ცდა, რომ სრული გაპარტახებისაგან და გაუდაბურებისაგან გადაერჩინა პანკისის ხეობა, უშედეგო აღმოჩნდა.

უშედეგო აღმოჩნდა იმ ისტორიული პროცესების გამო, რომელიც მე-19 საუკუნეში განსაკუთრებული სიმძაფრით განვითარდა. იმატა ლეკთა თარეშმა. პანკისის ხეობაში აღნიშნული პერიოდისათვის არსებულ დემოგრაფიულ ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ოქმები. ამ ოქმებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში პანკისში არც ერთი სოფელი არ არსებობს. კნორინგი, რომელიც მოსახლეობის აღწერას ხელმძღვანელობდა, მკაცრ დავალებას აძლევდა ამ საქმის მესვეურთ. „უაღრესად ეცადეთ თითოეულ სოფელში მოსახლე კომლთა ანუ ოჯახთა რიცხვი მაინც შეეტყოთ: ცალკე ქართველთა, ცალკე სომეხთა, ცალკე თათართა, ცალკე ოსთა, ცალკე ებრაელთა და სხვა ეროვნებათა. უკეთუ სადმე საგნების ამოცნობაში რაიმე დაბრკოლება შეგხვდებათ, შეგიძლიათ ამისთვის მიმართოთ გარეშე პირთ“ [16:120] ცხადია, ყოველივე ამის მერე თუ კი პანკისში რაიმე სოფელი მაინც თუ არსებობდა მას დავთარში შეიტანდნენ. მართალია ამ პერიოდისათვის პან-

კისში დასახლებას ყველა გაურბოდა, მაგრამ პანკისი თავისი მიწის სავარგულებითა და საძოვრებით მაინც მიმზიდველი იყო მის გარშემო მცხოვრებთათვის. სწორედ ამის გამო მოხდა დაპირისპირება ბახტრიონელებსა და თუშებს შორის, რომელიც საწყის ეტაპზე პანკისის ხეობის მიწას არ ეხებოდა და სავარაუდოდ პანკისიდან ადრე ჩამოსახლებული ქართველების მიერ ბახტრიონის მიწების მითვისებასთან იყო დაკავშირებული. 1805 წლის ივნისში 300 თუში მამაკაცი კავკასიონის მთებიდან ჩამოსულა. ისინი სოფელ ბახტრიონში შეჭრილან. ადგილობრივი მოსახლეობა დაურბევიათ. მათი საცხოვრებელი სახლები დაუნგრევიათ და ამის შემდეგ ისევ თუშეთში გადასულან [17:350]

მათ შორის სადავო საკითხების განხილვა თელავის სამაზრო სასამართლოში 1806 წელს დაწყებულა და ალვანის მინდვრის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელსაც იმჟამად ბახტრიონელები სახნავად იყენებდნენ, ხოლო თუშები ამ ტერიტორიას თავისად თვლიდნენ. როგორც ჩანს ამ მიწასთან დაკავშირებული დავა დიდხანს გაიწელა და მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებშიც გაგრძელდა. შემონახულია დოკუმენტი, რომელიც 1829 წლით თარიღდება. იგი თუშებსა და ბახტრიონელებს შორის ალვნის მიწებთან დაკავშირებით ატეხილ სადავო საკითხებს განიხილავს. მასში კვლავ მითითებულია, რომ ბახტრიონელები წინათ პანკისის ხეობაში მოსახლეობდნენ [15:5-15]

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ჩანდა პანკისიდან ბახტრიონში ჩასახლებული ქართველების უკან დაბრუნებაში ამიტომ თუშებთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, 1834 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორთან ბახტრიონელებს პანკისში დაბრუნების საკითხი განუხილავთ [15:176]

თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ყაჩაღური რაზმები კვლავ დათარეშობდნენ. თუმცა ისტორიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ ამ პერიოდისათვის უკვე დაწყებულია ჩრდილო კავკასიიდან ქისტების ხეობაში დასახლების პროცესი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთთან თუშ-ფშავ-ხევსურეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა პანკისის ხეობაზე გადის. ცხადია, ქართველი მთიელები ძალზე კარგად იცნობდნენ ამ გეოგრაფიულ გარემოს და მის სამეურნეო ცხოვრებისათვის სარგებლიანობას, რის გამოც ისინი გამუდმებით ეძებენ გზებს პანკისის ხეობაზე თავიანთი ეკონომიური გავლენისა და კონტროლის დამყარებისათვის. ალბათ ამითაც იყო განპირობებული მათი აქტიური მონაწილეობა 1659 წლის ბახტრიონის აჯანყებაში არსებული ვითარების გათვალისწინებით კახეთის მეფეებმა უპირატესობა თუშებს მიანიჭეს და ცხვრის გადასარეკად და დასასვენებლად პანკისის ხეობა სამუდამო მფლობელობაში დაუმტკიცეს (14-3 Hd საბუთი N10063 „გ") მაგრამ საკითხი ამით არ დასრულებულა. მე-18 საუკუნის დასასრულისათვის თუშებსა და ფშავლებს შორის დაიწყო დავა პანკისის ხეობის მთიანი საძოვრების - ტბათანის, მიწისხიდის, მასარისა და ქვაჩადლის ხელში ჩასაგდებად. ორივე მხარე ირწმუნებოდა, რომ ეს ადგილები მათ მფლობელობაში არსებობდა და ქართველი მეფეებისაგან ჰქონდათ დამტკიცებული. მოდავეები იმდენად შორს წავიდნენ, რომ საქმემ გიორგი XII-მდე მიაღწია. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, რომ მტერთაგან გაუკაცრიელებული, გაპარტახებული და ეკალ-ბარდნარად ქცეული ხეობა აღადგინოს.

გიორგი XII-ის 1798 წლის 22 დეკემბერს გამოცემული განკარგულებით წოვათის საზოგადოების თუშებს ტბათანაში დასახლებისა და მეურნეობის წარმართვის უფლება მიენიჭა. [17:351-352]. ხოლო 1800 წლის 31 ივნისს ბატონიშვილ ბაგრატს დაავალა, რომ თუშებსა და ფშავლებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები მათი წარმომადგენლების თანდასწრებით განეხილა. აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილმა მეფისაგან დავალება მიიღო, რათა პანკისის ხეობა და ტბათანა აუცილებლად თუშებისთვის გადაეცა, რადგანაც ამ ხეობას თუშებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა [18:162-163]. მაგრამ ეს შეხვედრა და საკითხის გადაწყვეტა ამჯერად არ მოხდა. გიორგი XII გარდაცვალებისა და ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების გამო თუშებსა და ფშავლებს შორის კონფლიქტი მოუგვარებელი დარჩა.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოხერხდა საბოლოოდ 1819 წელს სექტემბრის თვეში, როცა ეს საკითხი მედიატორების სასამართლომ განიხილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით „პანკისი და ტბათანა თავისი საზღვრებით სამუდამო მფლობელობაში გადაეცა თუშებს, ხოლო მიწისხიდი, ქოჩადალა და მასარა-ფშავლებს“ [18:37-38]. საინტერესოა ერთი გარემოება, რომელიც თავისდაუნებურად წარმოიშვება ნებისმიერ ადამიანში ფშავლებსა და თუშებს, ქართველ მთიელებს ამ პერიოდისათვის პანკისის მახლობელ სამეზობლო ტერიტორიებზე მცხოვრებთ პანკისში დასახლება არ სურთ, მაგრამ ოფიციალურად ამ მიწების დასაკუთრებისათვის თავგამოდებით იბრძვიან. ივ. ბუქურაული წერს, რომ „ერთ ღამეს მთიდან ისეთი ნიაღვარი მოვარდა, რომ სახლი კი არა, ქვა აღარ უნარჩუნებია ქვაზე“ (19:44) მოულოდნელმა ნიაღვარმა სოფელი

საგირთა წალეკა და სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა იმსხვერპლა.

შედეგად საგირთელებმა თავი მიანებეს წოვათას. მათ სხვა სოფლებიც შეუერთდნენ - ეთელთელები, წაროელები, ინდურთელები და სხვები. მათ საზამთროდ ბინა ალვანის ველზე დაიდეს, ხოლო საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანა აირჩიეს. მაგრამ არა პანკისის ხეობა, რომელიც სასამართლომ ოფიციალურად დაუმტკიცა.

თუკი ხ. მამისიმედიშვილს დავუჯერებთ, იგი აღნიშნავს, რომ მე-19 ს-ის 20-30-იან წლებში პანკისის ხეობა ფაქტიურად ცარიელი იყო მოსახლეობისაგან. პანკისის ხეობის გარშემო არსებული ტერიტორიები, ჩრდილოეთით მთათუშეთი, აღმოსავლეთით ფიჩხოვანი, არგოხი და მაღრაანი დასახლებული ყოფილა, ხოლო სამხრეთით მდებარე სოფ. მატანში, 67 კომლს უცხოვრია, ბახტრიონში 55-ს, ხოლო ხორბალოში - 3 კომლია, რაც სიმართლისაგან ძალზე შორსაა. (თუმცა ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა). ამასთანავე მისივე გადმოცემით, 1834 წელს სამოქალაქო გუბერნატორთან ბახტრიონელების პანკისში დაბრუნების შესაძლებლობა განუხილავს ,,თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ყაჩაღური რაზმები კვლავ დათარეშობდნენ" - და აგრძელებს: ,,1845 წელს, მაშინ როდესაც პანკისის ხეობა ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო, აზნაური კობიაშვილები თავიანთი კუთვნილი 6 გლეხით ბახტრიონში განაგრძობენ ცხოვრებას [15:201] მათი პანკისში დაბრუნების შემთხვევაში, მცირერიცხოვანი მოსახლეობისათვის სპეციალური დამცავი რაზმის გამოყოფა მოხდებოდა საჭირო, რაც იმ დროისათვის ვერ მოხერხდაო". [20:104-105]

ვფიქრობთ, რომ ასეთი მსჯელობა ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებულია. ვინაიდან, თუ პანკისის გარშემო არსებული ტერიტორიები მოსახლეობით არის დასახლებული, ამასთანავე, ამ მოსახლეობის ინტერესები პანკისის მიმართ (ფშავლების და თუშების) ოფიციალურად დაკმაყოფილებულია, ასევე იხილება საკითხი ბახტრიონელთა პანკისის ხეობაში დაბრუნების შესახებ, მაგრამ ყველა ერიდება აქ დასახლებას, რადგანაც აქ ჩრდილოკავკასიელი რაზმები დათარეშობენ. ძალზე უცნაურად გვეჩვენება, რადგანაც პანკისის ხეობამ კილომეტრზე გადაჭიმული ვიწრო ხეობაა და თუ მის გარშემო ყველგან წესრიგია და ხალხი ცხოვრობს, პანკისში წესრიგის დამყარებას რა დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა? გამოდის რომ დაღესტნელი ლეკები მხოლოდ პანკისში თარეშობდნენ და ამ ხეობაში არავის უშვებდნენ, ხოლო დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე არავის არაფერს უშავებდნენ, ცხადია, ეს ასე არ იყო. ერთი რამ ამ ვითარებიდან გასაგები ხდება, რომ ოფიციალური მონაცემებით პანკისში აღნიშნული პერიოდისათვის მე-19 ს-ის 20-30-იან წლებისათვის არავინ არ ჩანს, თუმცა, რატომღაც აქ დასახლებას ყველა ერიდება. ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია პროფ. ლ. მარგოშვილის მოსაზრება. მისი აზრით პანკისის ხეობაში ქისტები გაცილებით ადრე მოვიდნენ 1848 წელთან შედარებით, თუმცა, მისი ვარაუდით, რადგან ქისტების პირველ დასახლებას ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ლ. მარგოშვილს მიაჩნია, რომ პანკისში ადრე ჩამოსახლებული ქისტები ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობის გამო ვერ მოხვდნენ კამერალური აღწერის ოქმებში [21:47]. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას აგრძელებს და განამტკიცებს მე-19 ს-ის II ნახევრის მოღვაწე, პირველი ქისტი

მეცნიერი და მასწავლებელი მათე ალბუთაშვილი, რომელიც აღნიშნული პერიოდის გაზეთებსა და ჟურნალებში პუბლიკაციებს აქვეყნებდა, იმ დროის მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ურთიერთობები ჰქონდა, რასაც ადასტურებს წერილები, რომლებიც მის სახელზე იგზავნებოდა. იგი დაბადებულია 1863 წელს. მისი დაბადება ნებისმიერ შემთხვევაში ახლოსაა ქისტების საქართველოში დასახლებასთან. მან პირველად მოახდინა პანკისის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა, რომლის ანალოგი მანამდე არ ყოფილა და ეს ნაშრომი უამრავ საკითხზე ჩვენს ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს. საინტერესოა მისი მოსაზრება ჯოყოლას თაობაზე. ,,ერთი სახელიანი, პირიქითელი ქისტი ჯოყოლა მაქვიანი, მუდამ ზაფხულობით, 10-12 თავზეხელაღებული ქისტი ჯეილი ბიჭებით გადმოდიოდა პირაქეთ მთებზე. ის დაეცემოდა თუშების, ფშავლების ცხვარ-ძროხა-ცხენების ჯოგს, მოსხლეტავდა საკმარის ნაწილს, წინ ბიჭებს გაატანდა, თვითონ შორიახლო უკან გაჰყვებოდა. თუ მდევარს ნახავდა, ჩაუჯდებოდა გზაში და რომელსაც სასიკვდილოდ ჰქონდა გადიდებული თავი, არ შეეცდებოდა მის შებრძოლებას.

ჯოყოლა ქართულ კვერიან თოფსა ხმარობდა, მაგრამ ისე სწრაფად რომ წინა ნასროლი თოფის ბოლი მეორისას მოსდევდა.

ამისთანა მუდმივი მტაცებლობით ჯოყოლამ ცხვარ-ძროხის პატრონი ხალხი ერთობ შეაწუხა, თავი მოაბეზრა, ძალით ვერა გააწყო რა ვერც ხალხმა, ვერც მთავრობამ.

მაზრის უფროსმა ლევან ჩოლოყაშვილმა მშვიდობიანის გზით დაიყოლია მთის ბელადი ჯოყოლა.

ლევანმა ქისტი შუაკაცებით - წოვა თუშებით და სხვა, დაიახლოვა ჯოყოლა და ასე უთხრა: ჯოყოლა, რად გინდა ყაჩაღობით და ავკაცობით ცხოვრება და ლუკმა-პურის ჭამა? რასა ზიხარ იმ ჯოჯოხეთში?

გადმოდით, გადმოსახლდით, რამდენიც იყვნეთ, პირა-ქეთ, ამ სამოთხეში, სადაც მოგეწონოთ, იქ დასახლდით. წმინდა პური, სასმელ-საჭმელი ბევრი გექნებათ, სულ ყურძენსა სჭამთ, მეტი რა გინდათ? ჯანი კარგი გაქვთ, ნიჭიერი ხალხი ხართ. რამდენიც გინდათ მამულს მოგცემთ - მთას, ტყეს, სახნავ-სათესს, მოხნავთ, მოთესავთ, გაირჯებით და იცხოვრებთ ტკბილად, არხეინად, თქვენს კარზე მზე-წვიმის მეტი არავინ მოვა - არც ხარჯისათვის, არც ბეგარისათვის და არც სხვა რამისათვის.

ტკბილი და მოქარგული ენით დათათბირებული ჯოყოლა იმავე მოკლე ხანში გადმოსახლდა თითონ და 9-10 კომლი სხვა ქისტი პანკისის ხეობაზე დასახლდა იმ ადგილზე, რომელიც მაშინ თუშებს ეკავათ. სოფელსაც სახელი ბელადისა დაერქო“. [1:217-218]

ოფიციალური მონაცემებით ჯოყოლა პანკისის ხეობაში დასახლებულია 1854 წელს მაისტის ტომიდან გადმოყვანილი 54 კომლთან ერთად, მაგრამ მე-19 ს-ის 20-იან წლებიდან პანკისის თაობაზე არანაირი ცნობები არ არსებობს და პანკისში იმ პერიოდისათვის არსებული ვითარებაც ძალზე ბუნდოვანია. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ თვით ქართველები არანაირ სურვილს არ გამოთქვამენ აქ დასახლებასთან დაკავშირებით. ამდენად, სავარაუდოა, რომ არაოფიციალურად აქ, აღნიშნული პერიოდისათვის ქისტური მცირე დასახლებანი გაჩენილიყო. გასაგებია მოსახლეობის აღწერასთან დაკავში-რებული ვაკუუმი, რადგანაც პანკისში შესვლას და აქ ვითარების

კონტროლზე აყვანას, ან მოსახლეობის კამერალურ აღწერას ყველა ერიდებოდა, ვინაიდან სიტუაცია პანკისში იმ პერიოდისათვის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ამიტომ მ. ალბუთაშვილის მონათხრობი ჯოყოლა დარქიზანაშვილის მიერ 10-12 კაცის პირველად პანკისში ჩასახლება ობიექტურ რეალობად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მით უმეტეს მათე ალბუთაშვილი გარკვევით წერს, რომ სოფ. ჯოყოლო წარმოშობილია 1845-1859 წლებში და თავდაპირველად ამ სოფელში ცხოვრობდა 15-20 კომლი ქისტებისა. პირიქით ქისტეთიდან გადმოსახლებული ემიგრანტი მაჰმადიანები, რომლებიც რუსის მთავრობამ 1866 წელს ძალად დანათლა. [1:26]

მაგრამ საკითხის უფრო სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მსჯელობა ცოტა უფრო ადრეული პერიოდიდან დავიწყოთ. კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეებში ქართლ-კახეთთან ვაინახების ურთიერთობა ბევრად უფრო გააქტიურებულია, ვიდრე აქამდე იყო. თუ ამ დროის მონაცემებს დავეყრდნობით 1754 წელს ნურსალბეგის შემოსევებთან დაკავშირებით თეიმურაზსა და ერეკლეს ჩრდილო კავკასიიდან მოუწვევიათ მთიელები: ,,ამის შემდგომად გარდმოვიდა ჯარები შემწედ, რომელნი დაიბარეს მეფეთა ჩვენთან, ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, კალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ღლიღვის, ნოღისა, ოსისა. ამა ქვეყნების ჯარები თავ-თავისისა უფროსითა კაცითა იყვნეს ... დააყენეს დიდუბეს. დააყენეს მემინდორნი და უბოძეს ულუფა კმასაყოფელად მათდა“ [25:456, 457]. ხოლო გამარჯვების შემდეგ უკან მიმავალ მოძმეებს ,,... უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვერცხლისა იარაღნი და ლარნი ტურფანი ჯარის კაცთა ყოველთა მისცეს თვის-თვისად შესაფერნი ლარნი და იარაღნი და... აღავსეს ესე ჯარები საბოძვრითა და გაისტუმრეს ქვეყანასა

თვისა, მისცეს პირობა მეფეთა ჩვენთან ამ ჯარების უფროსთა კაცთა: „როდესაც ბრძანება თქვენი მოგვივიდეს, ვითა ყმანი ეგესწრაფად შეგეყარნეთო და თქვენსა სამსახურში დავიხოცნოთო“. [25:458]

ამ დოკუმენტებიდან ჩვენთვის თვალსაჩინო ხდება, რომ ქართლ-კახეთის უბედურების ჟამს ვაინახები წარმოადგენდნენ ძალას, რომელიც მუდამ მზად იყო მოყვასის დასახმარებლად. ამასთანავე გასაგებია, რომ გარეშე მტერთაგან შევიწროვებული ქართველი მეფეები ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობდნენ ასეთი მებრძოლი ტომების საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებას.

როგორც ცნობილია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია განუწყვეტელი ომებით ხასიათდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა განსაკუთრებით კახეთში მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რომლებმაც ფართო მასშტაბები მიიღო. ცხადია, ქართველი მეფეები ცდილობდნენ მოსახლეობისაგან დაცარიელებული ადგილების სხვა, ჩამოსახლებული მოსახლეობით შევსებას. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა კახეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა დასახლების პროცესი, მათ შორის ქისტებისაც.

საქართველოს საარქივო მასალებში შემორჩენილია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგად სოფ. ქისტნელში, რომელსაც ამჟამად ხორბალოს ეძახიან, დაფიქსირებულია ქისტების 20 კომლი, მათ უჭირავთ 120 დღიური სახნავი მიწა, ბინადარ ცხოვრებას ეწევიან და აქვთ ქართულ-ბერძნულ-ქრისტიანული რელიგია. [26:1-6] აღნიშნული მასალა დაკავშირებულია 1791 წლის მოსახლეობის აღწერასთან. აქ ერთ მნიშვნელოვან მომენტს უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს არის მოსახლეობის აღწერის მასალები და არა ის, რომ ამ წელს დასახლდნენ

ქისტები ამ მიდამოებში, როგორც ამის მტკიცებას ცდილობენ ზოგიერთი მეცნიერები. როგორც ჩანს, მათი აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლება მოხდა დაახლოებით 30 წლის წინ. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს თაობიდან თაობაზე გადაცემული გადმოცემა ამ ადგილზე ქისტების დასახლების თაობაზე, რომელიც დღემდეა შემონახული.

ქაიხოსრო (ქაას) გუმაშვილი იყო პიროვნება, რომელმაც სოფ. ხორბალოში იცხოვრა და შემდგომ გადმოსახლდა პანკისის ხეობაში. სწორედ მისი საფლავია ჯოყოლოს ცენტრში არსებულ უძველეს სასაფლაოზე, რომლის საფლავის ქვა სრულიად განსხვავებულია სხვა საფლავის ქვებისაგან, რადგანაც გამოკვეთილად მდიდრულია და წარწერასაც გამოკვეთილად ეტყობა, სადაც მითითებულია, რომ იგი 12 ოქტომბერს, 1892 წელს გარდაცვლილა და აი, მან დატოვა ასეთი გადმოცემა ქისტების ხორბალოში დასახლების თაობაზე, რომელიც შემდგომ თაობას დაუტოვა ნიკოლოზ II-ის დროს სოფ. ჯოყოლოს მამასახლისმა - ქაიხოსროს შვილმა, ლაბო გუმაშვილმა, რომელიც გადმოცემის თანახმად იყო კაცი, ვისაც ხეობაში ჭკუას ეკითხებოდნენ, დაჯილდოებული იყო კარგი ორატორული ნიჭით და არსებობს გადმოცემა, რომელიც ჩემთვის (ზ.გ.) უამრავ ადამიანს მოუყოლია, რომ ლაბო გუმაშვილის სიკვდილის შემდეგ პანკისში მამაკაცები ტიროდნენ, რა გვეშველება პატრონის გარეშე დავრჩითო.

გადმოცემის თანახმად, ეს ამბავი დაახლოებით 1760-იან წლების დასაწყისში მომხდარა. ხმა გავარდა კახეთს ლეკები შემოესივნენო. ქუდზე კაცი დაიძახეს და ერეკლეს სიტყვა კახეთის მთელ არეს მოედო. ბახტრიონის მისადგომებთან არალეგალურად მაცხოვრებელმა ქისტებმა გადაწყვიტეს

აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ ბრძოლაში. ბრძოლა გაიმართა სადღაც ნაფარეულის გადაღმა, სადაც მთის ფერდობები კახეთის ველს უერთდება. მოსაღამოვდა და უპირატესობა ვერავინ მოიპოვა. ამ დროს ყველასაგან უჩუმრად ქისტების რაზმი ქედს მიღმა გაუჩინარდა. არავინ იცოდა რა განზრახვა ამოძრავებდათ მთიელებს, მაგრამ სულ მალე ყველაფერი ნათელი გახდა. ქისტებმა ზურგიდან იერიში მიიტანეს მტერზე, ამას დაემატა კახელთა გააქტიურებაც. ლეკები ალყაში მოქცევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, ერთმანეთში აირივნენ და პანიკური გაქცევით უშველა ზოგიერთმა თავს, უმეტესობა კი მოკლული იქნა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გახარებულმა მეფემ ჰკითხა ქისტებს რას ითხოვთ ჩემგან, რაც გინდათ მთხოვეთო. ქისტებმა უთხრეს, რომ მოგვეცით უფლება, რათა ბახტრიონის მახლობლად ჩვენი სოფელი ქისტნელი ჩამოვაყალიბოთ, რაზეც მეფემ თანხმობა განაცხადა. ასე წარმოიშვა ბახტრიონის ციხის გადაღმა სოფ. ქისტნელი (ხორბალო), სადაც ქისტების წინაპართა სასაფლაო დღემდეა შემონახული. ამ პერიოდისათვის აქ ცხოვრობდნენ: გუმაშვილები, ალბუთაშვილები, ალიაშვილები, ჯანიბეგაშვილები, რომლებიც გუმაშვილებს ენათესავებიან. ისინი წარმოშობით ქისტები არიან. აგრეთვე, მარგოშვილები, დააშაშვილები. გადმოცემის თანახმად ქაიხოსროს (ქაას) მამა იყო ჰაას (ჰასანა), ჰასანას მამას, ისევ ქაიხოსრო ერქვა, ქაიხოსროს მამა გუმა იყო, გუმის მამა ჯამიშ, მისი მამა უაჩარგ, უაჩარგის მამა იყო ოოლბუთ.

1791 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალების (სოფ. ქისტნელში (ხორბალოში) ქისტების 20 კომლის

არსებობას) განმტკიცებას წარმოადგენს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს საარქივო მასალებში აღმოჩნდა. დოკუმენტი შედგენილია 1832 წლის იანვარში.



გუმაშვილების გვარის გენეალოგიური სქემა

აღნიშნული დოკუმენტიდან თვალსაჩინო ხდება, რომ ამ დოკუმენტის შედგენამდე დაახლოებით 40 წლის წინ სოფ. ხორბალოში ცხოვრობდნენ ქისტები (22 კომლი და არა 20 ან 19) ლ. მარგოშვილი აღნიშნავს, რომ ,,საბუთი წარმოადგენს მეფის რუსეთის ფინანსთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის ვრცელ მიწერილობას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი. მასში აღნიშნულია, რომ თუშების პრისტავისა და თელავის მაზრის უფროსის მოხსენების თანახმად, თელავის მაზრაში სახაზინო მიწებზე მცხოვრები ქისტები არავითარ

გადასახადს არ იხდიან. ზემოხსენებული პრისტავი და მაზრის უფროსი ითხოვენ ქისტების დაბეგვრას სხვა გლეხთა მსგავსად, სურსათის ამოღებით, ე.ი. ხორბლით.

ექსპედიციამ თელავის მაზრის უფროსს მოსთხოვა შეედგინა სოფ. ხორბალოში მცხოვრები ქისტების სია კამერალური აღწერის ფორმით და აგრეთვე, მოეხსენებინა შემდეგი: რამდენი ხანია ცხოვრობენ ისინი ხორბალოში (?), აქვთ თუ არა საკმარისი მიწა მიწათმოქმედებისათვის და მესაქონლეობისათვის (?), რა საქმიანობას ეწევიან (?), რა სახის რეწვას მისდევენ (?) სახაზინო ექსპედიცია მოითხოვს დაწვრილებით ცნობებს ქისტების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, რათა გაერკვეს, სასოფლო გადასახადის გარდა, შეუძლიათ თუ არა მათ ფულადი გადასახადის დაკისრება კომლზე სამი ვერცხლის მანეთის ოდენობით.

თელავის მაზრის უფროსმა 1831 წლის 23 დეკემბერს ექსპედიციას წარუდგინა თუშეთის პრისტავის მიერ ადგილზე - სოფ. ხორბალოში ქისტებისათვის ჩამორთმეული ჩვენება, რომელიც მოწმობდა, რომ ქისტების კამერალური აღწერა ჩატარდა სახაზინო ექსპედიციის მოხელე, გვარად კერნის მიერ და შეიძლებოდა ამ მასალის გამოთხოვა.

თვით პრისტავის მიერ ადგილზე გაირკვა, რომ სოფ. ხორბალოში ქისტები ცხოვრობდენ უკვე მრავალი წლის განმავლობაში, ჰქონდათ სახნავი მიწა, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით, სხვა სავარგულები მათ არ გააჩნდათ. ისინი, მცირე მასშტაბით მემინდვრეობის გარდა, ეწეოდნენ მესაქონლეობას, ამზადებდნენ ყველს, ერბოს, შალის ქსოვილებს, ამიტომ მათ სიღატაკის გამო ფულით კი არა, სურსათითაც არ შეეძლოთ გადასახადის გადახდა და სხვა მთიელების მსგავსად შეიძლებოდა მათი დაბეგვრა ე.წ. საბალახოთი.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ქისტების 22 კომლს სოფ. ხორბალოში უჭირავს 120 დღიური სახნავი მიწა, ბინადარ ცხოვრებას ეწევიან და ქართულ-ბერძნული ქრისტიანული რწმენა აქვთ.

გუბერნატორი სახაზინო ექსპედიციის გადაწყვეტილების კმაყოფილი აღმოჩნდა და დაეთანხმა მას და თავის მიწერილ წერილში აღნიშნავს 1832 წლის 12 ნოემბერს, რომ „მე მოვითხოვ დადგენილება მოიყვანოთ სისრულეში“.

ამ დოკუმენტით კიდევ ერთხელ მტკიცდება აზრი იმის თაობაზე, რომ ქისტები 1791 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად უკვე კარგა ხანია სახლობენ აღნიშნულ სოფელში და ის გადმოცემა, რომელიც სოფ. ხორბალოში იმ პერიოდისათვის მაცხოვრებელ გუმაშვილებში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოსაა და ისევე, როგორც თიანეთის რაიონში დუშეთის რაიონში, თუშეთში და საქართველოს სხვა მთიან რეგიონში აღნიშნული პერიოდისათვის, ე.ი. მე-18 ს-ის დასაწყისიდან მასიურად ხდება შემოდინება და დასახლება ვაინახური ტომებისა, რომლებიც ჟამთა მსვლელობაში ასიმილაციას განიცდიან ქართველ ერთან.

აქვე აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ, რომელიც ამ საკითხებზე მსჯელობისას წამოტივტივდა. კერძოდ, საკითხი ეხება იმ ფაქტს, რომ 1791 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერით ხორბალოში 20 კომლმა დაფიქსირებული ქისტებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ადრე არიან დასახლებულები ხორბალოში. ჩვენს აზრს, გუმაშვილების გვარში არსებული გადმოცემის თაობაზე, რომლის თანახმად ქისტებმა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობა გამოავლინეს, უფრო განამტკიცებს და მეტ დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტი, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის

განმავლობაში ქისტები ხორბალოში ცხოვრობდნენ ისე, რომ მათ არანაირი გადასახადის გადახდა არ ეკისრებოდათ, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ზემოთ დასახელებული ისტორიული საარქივო დოკუმენტი. ეს გარემოება, ამასთანავე, გვაფიქრებინებს იმას, რომ იმდენად დიდი იყო ხორბალოელი ქისტების დამსახურება ქვეყნის წინაშე, რომ გადასახადის გადახდის საკითხი 1832 წლამდე არ დამდგარა დღის წესრიგში.

სამწუხაროა, რომ ამ საკითხებს, ზოგიერთი ისტორიკოსი სიღრმისეული შესწავლის გარეშე ტენდენციურად უდგება და მცდარ დასკვნებს აკეთებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხ. მამისიმედიშვილის კვლევა „პანკისი - წარსული და თანამედროვეობა“ სადაც კოლოსალური სამუშაო აქვს ავტორს ჩატარებული პანკისის ხეობის წარსულისა და თანამედროვეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლის მიზნით. მის ნაშრომში ვკითხულობთ: „1821 წლის მოსახლეობის აღწერით პანკისის ხეობის მახლობლად, სოფელ ხორბალოში, ქისტების თვრამეტი ოჯახი ცხოვრობდა [27.302]. ზ. გულისაშვილის ცნობა, თითქოს ისინი ერეკლე მეფეს ჩამოესახლებინოს, არ არის სარწმუნო. ზ. გულისაშვილი, როგორც ჩანს, ძირითადად, ხორბალოსა და მის ახლომახლო მოსახლე გაქართველებული ვაინახების შთამომავალთა ზეპირ გადმოცემებს ემყარება. ზეპირსიტყვიერებაში კი ისტორიული ქრონოლოგია დარღვეულია. ესა თუ ის მოვლენა თქმულებებში ხშირად რომელიმე ცნობილი მეფის მმართველობის ხანას მიეწერება ხოლმე. ფოლკლორული ტრადიციის თანახმად, ცალკეული პირები ცდილობენ, თავიანთი გვარის ჩამოსახლების თარიღი უფრო წინ გადასწიონ, ვიდრე ეს რეალურად უნდა ყოფილიყო. 1801-1802 წ.წ. მოსახლეობის აღწერის დოკუმენტების მიხედვით, სოფ. ხორბალოში სულ სამ კომლს უცხოვრია: ერთ სამეფო აზნაურსა და

ორ ნაყიდ საბატონო გლეხს. ამდენად, ასკვნის ხ. მამისიმედიშვილი, ხორბალოში ქისტები 1803 წელზე ადრე ვერ დასახლდებოდნენ". [21:123] ასეთი მსჯელობა და საბოლოო დასკვნის გაკეთება არარეალურია იმ დოკუმენტების ფონზე, რომელიც 1791 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით მკვეთრად და გასაგები ენით არის გადმოცემული, რომ 1791 წლისათვის სოფ. ხორბალოში (ქისტნელში) ქისტების 20 კომლი სახლობდა და სხვა. ამასთანავე, შემდგომ სხვა დოკუმენტში 1832 წელს მითითებულია, რომ სოფ. ხორბალოში იმ დროისათვის ქისტების 22 კომლი ცხოვრობს და ისინი დაახლოებით 40 წლის წინ არიან დასახლებულები. გამოდის, რომ ბ-ნი ხ. მამისიმედიშვილი ამ დოკუმენტებს ან არ იცნობს, ანდა მას არ სურს ამ საბუთების მხედველობაში მიღება. რაც შეეხება 1801-1802 წლების მოსახლეობის აღწერას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აღწერის სრულ მასალებს ჩვენამდე არ მიუღწევია და მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი ჩვენს საარქივო მასალებში. სამაგიეროდ, ქისტების სოფ. ხორბალოში ცხოვრება კარგად ჩანს 1821 წლის და 1832 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში. ბ-ნი ხ. მამისიმედიშვილი სავარაუდოდ აშკარად ტენდენციურია ზ. გულისაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიმართ, რომელიც მეფე ერეკლეს მიერ ქისტების დასახლებას ეხება და ჩვენს მოსაზრებას ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

სოფ. ხორბალოში ქისტების ცხოვრებასთან დაკავშირებით საინტერესოა იენის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ ჰაინრიხ ემილ კოხის ცნობები რომელმაც 1843-44 წლებში იმოგზაურა კახეთში: „ალაზნის ერთ მხარეზე სოფელი ხორბალო მდებარეობდა, სადაც ქისტების (უძველესი კავკასიური ტომის) ოცი ოჯახი ცხოვრობდა. ე.ი. ცხადია, რომ კახეთში

პირველი დასახლება ქისტებისა, არსებული მონაცემებით ხორბალოში ყოფილა და სავარაუდოდ მეფე ერეკლემ ისინი ამ მიდამოებში დაასახლა მე-18 ს-ის 60-იანი წლების დასაწყისისათვის.

მე-19 ს-ის 30-40-იან წლებში პანკისის ხეობაში გაჩნდა ქისტების პირველი დასახლებები, სადაც ხორბალოელთა გარკვეული ნაწილი გადასახლდა, ხოლო ნაწილი კი კახეთის სხვადასხვა სოფლებში დასახლდა და ქართველებში ასიმილაცია განიცადეს. ასეთები არიან დააშაშვილები ახმეტაში, ალბუთაშვილები სხვადასხვა სოფელში, ალიაშვილები და ჯანიბეგაშვილები სოფ. მატანში. მაგრამ საინტერესოა, რამ განაპირობა სოფ. ხორბალოს მოსახლეობის ასეთი დანაწევრება, გაქცევა მოსახლეობისა მაშინ, როდესაც სოფ. ხორბალო მეტად მოსახერხებელ ადგილას მდებარეობს. აქ საკმაოდ ნოყიერი მიწაა დამუშავებისათვის, მესაქონლეობის განვითარებისათვის საკმარისი საძოვრებია. ე.ი. ყველა ბუნებრივი პირობა არსებობს იმისათვის, რომ გლეხმა კაცმა თავისი შრომითა და მონაგარით ნორმალურად იცხოვროს. რატომღაც აქამდე ამ საკითხს არავინ ჩაღრმავებია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხდებოდა ზედაპირული შესწავლა საკითხებისა, რომლებიც, აღნიშნული პერიოდის ცხოვრებას რადიკალურად ცვლიდა.

ამ კითხვისათვის პასუხის გაცემაში კვლავ უდიდეს დახმარებას გვიწევს ზეპირი გადმოცემა, რომელიც ხორბალოდან წამოსულ გუმაშვილებში არის შემორჩენილი და კვლავ, ქაიხოსრო გუმაშვილის ნაამბობს ეყრდნობა.

ეს ამბავი დაახლოებით მე-19 ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში მომხდარა, როდესაც სოფ. ხორბალოში შავი ჭირის მაგვარი გადამდები ავადმყოფობა გაჩენილა და თანდათანობით უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ცხადია იმდროინდელი

მედიცინა უძლური იყო წინ აღდგომოდა ამ ვერაგ დაავადებას, რომელიც სპობდა ადამიანთა სიცოცხლეს. სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაწყდა და დარჩენილი მოსახლეობის არსებობა სათუო გახდა. ამიტომაც დარჩენილებმა, თავიანთი მკვდრების დამარხვის შემდეგ გადაწყვიტეს ვისაც სად წაესვლებოდა, იქით წასულიყო. გუმაშვილების გვარი თითქმის გაწყდა, დარჩა მხოლოდ ორი ქალი, ხასანას ორი მეუღლე, რომელთაგან ერთი დუისელი ბაღაკაშვილების გვარისა იყო. მას მხოლოდ ერთი ვაჟი შემორჩა, რომელსაც ცუნკური ერქვა და დაახლოებით 18-19 წლისა იქნებოდა. ხოლო მეორე ცოლს ორი ვაჟი ჰყავდა ხუტი და ქაას (ქაიხოსრო). მათ საკმაოდ მრავლად ჰყოლიათ ამ პერიოდისათვის ცხვარი მოშენებული და ქალებმა შვილებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს პანკისში საცხოვრებლად გადასვლა. ბაღაკაშვილების ქალი დუისში მისულა, ხოლო მეორე ქმრის ნათესავებში, მოგვარეებში. სოფ. ჯოყოლოში ცისკარიშვილებში, რომელთაც მიწა გამოყვეს და ცხოვრების გაგრძელებისათვის პირობები შეუქმნეს. ასე გაჩნდა პანკისის ხეობაში დუისსა და ჯოყოლოში გუმაშვილების გვარი, რომელიც ამ გადარჩენილი სამი ვაჟისაგან წამოვიდა.

დავუბრუნდეთ პანკისის ხეობაში ქისტების დასახლების საკითხს. იმისათვის, რომ უკეთესად წარმოვიდგინოთ ამ თვალსაზრისით არსებული სიტუაცია, აუცილებლად მიგვაჩნია მხარეთა ინტერესების განსაზღვრა, ნათლად გამოკვეთა. უპირველესად ყურადღება გავამახვილოთ მაისტელი ქისტების ინტერესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მე-18, მე-19 საუკუნეებისათვის და ალბათ, უფრო ადრეულ პერიოდში მთიელთა ცხოვრების პირობები გაუსაძლისი იყო. ამას ემატებოდა რუსეთის შემოტევა კავკასიის დაპყრობისათვის და ამასთან

დაკავშირებული გამუდმებული საომარი ურთიერთობები, რომლებიც კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა აქ არსებულ ვითარებას. ამიტომაც უკვე მე-18 ს-ის დასაწყისიდან აშკარად შეიმჩნევა ვაინახების მასიური მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებული ყაზბეგის რაიონიდან, თუშეთით დამთავრებული. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი მასალა არსებობს ჩვენს საარქივო მასალებში. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით სოლიდური სამუშაო აქვს გაწეული პროფ. ლ. მარგოშვილს, რომელმაც კონკრეტული გვარების შესახებ საინტერესო მასალა მოგვაწოდა, რომელნიც ჟამთასვლის დროს გაქართველდნენ და მათი აღრევა მოხდა საზოგადოებაში.

ქისტების მთაში ცხოვრების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თიანეთის მაზრის სამოქალაქო საქმეების კანცელარიის უფროსი ა. ზისერმანი, რომელიც 1848 წლის ივლისში სოფ. მუცოში იმყოფებოდა. მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს გადმოცემული მისი დაინტერესება და მცდელობა მოხვედრილიყო და საკუთარი თვალით ენახა ქისტი მთიელების ცხოვრება და ცხადია, მას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აინტერესებდა. კერძოდ, ქისტების დამოკიდებულება შამილის ხელისუფლებისადმი, რომელიც ამ პერიოდისათვის საკმაოდ გააქტიურებულია. ა. ზისერმანი მუცოში მცხოვრები ქისტის ლაბუროს (სავარაუდოდ ლამარუოს, რაც ქისტურად მთიელს ნიშნავს) მეშვეობით უკავშირდება მაისტელთა ბელადს ჯოყოლა დარქიზანაშვილს და სთხოვს მიღებას, რომელიც იღებს თანხმობას. არასწორია ზოგიერთი მკვლევარის მცდელობა, რომ წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს, თითქოს თვით ჯოყოლამ თხოვნით მიმართა ა. ზისერმანს სწვეოდა მას. ამის თაობაზე საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის დალხან ხოჟაევი საარქივო მასალებზე

დაყრდნობით [28:132-134]. ამ შეხვედრას ლაბუროსთან ერთად ესწრებოდა მუცოში მცხოვრები ხევსურიც და ვინმე დალა-ქიშვილი. ეს შეხვედრა შედგა 1848 წლის 18 ივლისს.

მაისტის მისადგომებთან სტუმრებს თვით ჯოყოლა შეეგება ორი ამხანაგითურთ და ისინი თბილი შეხვედერისა და ერთმანეთთან გაცნობის შემდეგ გაემართნენ სოფ. ფუოღისაკენ. ა. ზისერმანი გვაძლევს ჯოყოლას პიროვნების ფიზიკური აღნაგობის აღწერას და ყვება, რომ ჯოყოლა იყო დაახლოებით 30 წლის მაღალი მოელვარე თვალებითა და ჟღალი წვერით. მიხვრა-მოხვრაშიც ვაჟკაცობა ეტყობოდა. მისი მოძრაობა ნათლად გვაჩვენებდა თუ რამდენად მოქნილი ტანი ჰქონდა. აღსანიშნავია, ავტორის მიერ დეტალური აღწერა ამ სოფლის ცხოვრებისა, გაუსაძლისი პირობებისა და სიღატაკისა, რომელ-შიც ცხოვრება უხდებოდა მაისტის თემის მაცხოვრებლებს და არა მარტო მათ, რადგანაც ზოგადად მთიელთა ცხოვ-რებისათვის დამახასიათებელი მომენტებია გადმოცემული ამ სურათის დახატვისას. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს მაისტელთა გეოგრაფიული მდებარეობის თაობაზე, სადაც ეს ადგილები ადამიანისთვისაც კი ძნელად მისადგომი იყო, მზე მხოლოდ რამდენიმე საათს გამოანათებდა და მიწის დამუშავების და მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო საძოვრები აქ ნაკლებად არსებობდა. სწორედ ამით იყო განპირობებული ის მთავარი და ძირითადი საქმიანობა მაისტელებისა, რაც მეკობრეობაში გამოიხატებოდა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმ გარემოების თაობაზე, რომ ჯოყოლამ ყველაფერი გააკეთა მთიელთა წესის შესაბამისად, რათა სტუმრებს თავი მაქსიმალურად კარგად ეგრძნოთ, მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა ცხვარი დაკლა, რაც სტუმრისადმი ძალზე მაღალი პატივისცემის გამოხატულებაა

მთიელებში დღესაც. აქ ყოფნისას ა. ზისერმანმა გაარკვია, რომ ქისტები არც მაჰმადიანობას და არც ქრისტიანობას არ მისდევდნენ. ისინი წარმართები იყვნენ. ცხადია, ამიტომაც მათთვის მიუღებელი იყო შამილის ორი კატეგორიული მოთხოვნა, რომლის წინააღმდეგაც მაისტელები თავგამოდებით იბრძოდნენ. ეს იყო შამილის სანაიბოს არსებობისათვის საჭირო გადასახადების გადახდა და შარიათის კანონების მიღება, რომელთა სახელმწიფოს ერთიანობისათვის აუცილებელ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა. პირველ მოთხოვნას მაისტელები ვერ შეასრულებდნენ, რადგანაც საკუთარი თავისა და მოსახლეობის გამოკვების პრობლემის წინაშე იდგნენ. ამდენად, შამილის სახელმწიფოს ისინი ვერაფერს გადაუხდიდნენ. რაც შეეხება სარწმუნოებას, ამ ტომში წარმართული რწმენა მძლავრად იყო ფესვგადგმული და მისი ამოძირკვა ძალზე რთულ საქმეს წარმოადგენდა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ქართველ მეფეებს საქართველოს მთიანეთში რამდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ქრისტიანობის შეტანისათვის. საბოლოოდ წარმართული სალოცავები კოპალა, იახსარი, ლაშარის ჯვარი, ლომისი, ხახმატი, ანატორი და მრავალი სხვა სალოცავი შეერწყა ქრისტიანობას და როდესაც ვსაუბრობთ მაისტელი ქისტების ინტერესებზე პანკისში დასახლებასთან დაკავშირებით, ცხადია, გასაგები ხდება თუ რატომ სურდათ, რა ინტერესი ჰქონდათ რომ პანკისში ან საქართველოს სხვა ადგილებში დასახლებულიყვნენ. ცხოვრების საარსებო პირობების არარსებობა და მომძლავრებული შამილის სახელმწიფოს ზეწოლა აიძულებდა მათ გამოსავალი სხვაგან ეძიათ. ამასთანავე, მოსახლეობა მომრავლდა და მისი გამოკვება მხოლოდ მეკობრეობით შეუძლებელი ხდებოდა.

ა. ზისერმანის მაისტში სტუმრობისას მოხდა მათი ძმადგაფიცვა, რომლის დროსაც, რომელიც თვით ა. ზისერმანმა შესთავაზა ჯოყოლას. ეს გამოწვევა მან სიამოვნებით მიიღო. სტუმარი ყვება, რომ მან ჯოყოლას აჩუქა 3 ვერხლის მონეტა და პისტოლეტი, მან კი საკუთარი ხანჯალი მისახსოვრად.

ავტორის მონათხრობიდან საინტერესოა მისივე თხოვნით გამართული პაექრობა სროლაში, სადაც მთიელებმა სტუმრის პატივისცემის ნიშნად მიზანს არ ან ვერ მოახვედრეს, სამაგიეროდ ერთ-ერთმა ხანში შესულმა ქისტმა დაუძახა 10-ოდე წლის ბიჭუნას, რომელმაც ჩაიმუხლა და მიზანში მოარტყა.

ზისერმანმა მაისტში ყოფნისას მისი სხვა სოფლებიც მოინახულა: ფახილგო, ტუგა.

ჯოყოლა ზისერმანს ესაუბრა საქართველოს თაობაზეც. ამ საუბარში აშკარად და მკაფიოდ გამოიკვეთა მის მიერ კახეთის მხარის ადგილების კარგად ცნობა. იგი აღწერდა პატარა რაზმებით, როგორ გადადიოდა ალაზნის თავსა და სხვა მიდამოებში სათარეშოდ. ცხადია, სავარაუდოდ, როგორც მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს, იგი 10-12 კაცით იწყებს ქისტების დასახლებას პანკისის ხეობაში, მაგრამ ეს ხდება არალეგალურად დაახლოებით მე-19 სკ-ის 30-იან წლების ბოლოსათვის, ხოლო 54 ოჯახის გადმოყვანა ბევრად მოგვიანებით მოხდა.

ჩვენი ამ მოსაზრების განმტკიცებას წარმოადგენს ივ. ბუქურაულის ინფორმაციაც, რომელიც ამბობს, რომ ჯოყოლა იყო „კაცი მამაცი და ლაშქრობის მოყვარე“ [20:32] და აქვე აგრძელებს, რომ ჯოყოლას ხელმძღვანელობით ქისტების შემოსევების შესახებ საუბარს: „ერთხელ დიდი ჯარით გადმოსულიყო ბორბალოს მთაზე ალაზნის თავში და ერთ გორაკზე დამდგარიყო ბაირაღებით. ამის შემდეგ გორაკს

დაერქო ,,ჯოყოლას გორა“. ისე უცბად და მოულოდნელად შემოსევია ჯოყოლა ალაზნის თავს, რომ თუშებს ვერც კი გაეგოთ დროზედ. სანამ აქა იქ მთებიდან თემები შეიკრიბებოდნენ, ჯოყოლას მოექუჩებინა რამდენიმე ათასი ცხვარი და ნაროვანის მთაზე გადაერეკა ჩაჩანს, თუშებს ვერ მოესწროთ. ხელდახელ, ვინც იმჟამად ალაზნის თავში იმყოფებოდნენ, ისინი დაედევნენ, მოუჭრეს გზა, ჩასაფრებულებმა მოჰკლეს რამდენიმე ქისტი, მაგრამ მაინც ცხვრის დაყრევინება ვერ შეძლეს. გადიოდა დრო. ჯოყოლა ხან ერთ ალაგას გამოჩნდებოდა, ხან მეორეში, სწრაფად და მოულოდნელად იტაცებდა ცხვარს“ [20:32]

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოიკვეთა და ჩვენს დასკვნაშიც ჩანს აშკარად გამოიკვეთა მაისტელი ქისტების ინტერესები საქართველოში დასახლებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საინტერესოა თუშების ინტერესები ქისტების პანკისის ხეობაში დასახლებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხასო ხანგოშვილის მოსაზრება რომელიც ამბობს: ,,თითქმის ყველა მკვლევარი (ი. ბუქურაული, ს. ჩხენკელი, მ. მაჩაბელი, მ. ალბუთაშვილი და სხვა) რომელიც კი ეხება ჯოყოლას პანკისში გადმოსახლების საკითხს, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯოყოლას გამუდმებული თარეშები თუშებზე გახდა მიზეზი მისი შემორიგებისა, რასაც ხელი შეუწყო, განხეთქილებამ, რომელიც არსებობდა მაისტის ბელადსა და შამილს შორის.

სავარაუდოა, რომ ჯოყოლა გამოკვეთილად იმიტომ ესხმოდა თავს თუშებს და იტაცებდა მათ საქონელს, რათა ამით ერთხელ კიდევ დაენახვებინა შამილისთვის თავისი დამოუ-

კიდებლობა. როგორც უკვე ითქვა, შამილი მფარველობდა თუშებს, ვალდებულება იკისრა დაეცვა ისინი და ამის საფასურსაც იღებდა“ [29:293-294]

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დ. ხოჟაევის მიერ გადმოცემული მონათხრობი: „მაისტს ძალზე მცირე რაოდენობით ჰქონდა უხვმოსავლიანი მიწა. ჯოყოლამ გადაწყვიტა მოსახლეობის გარკვეული ნაწილით გადასახლებულიყო სხვაგან, ვინაიდან მოსახლეობა გაიზარდა და შიმშილმაც იმატა. ჯერ კიდევ აქამდე ბაცბებმა (თუშებმა) თავისი ხალხი მიუგზავნეს ჯოყოლას კითხვით, რა შემთხვევაში დათანხმდებოდა იგი შეეწყვიტა მათზე თავდასხმები? ჯოყოლამ უპასუხა, რომ ის თავის თავდასხმებზე ხელს აიღებდა იმ შემთხვევაში თუ კი მას საცხოვრებლად გადასცემენ ამბერჩის, ე.ი. ალაზნის თავს. თუშების უხუცესთა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და უარი უთხრა ჯოყოლას ალაზნის თავის გადაცემაზე, რადგან ეს ადგილი მათთვის, - თუშებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. სამაგიეროდ მათ შესთავაზეს ჯოყოლას პანკისის ხეობა და ის ადგილი სადაც დღეს სოფ. ჯოყოლო მდებარეობს“ [28:135] ჯოყოლა კარგად იცნობდა ამ ადგილებს, რადგანაც ამ ადგილებში იგი უამრავჯერ ყოფილა (რისი მტკიცებულებანიც გადმოცემული აქვს მათე ალბუთაშვილს, რომელზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება) და მან თანხმობა განაცხადა პანკისის ხეობაში, დღევანელ ჯოყოლოს ადგილას დასახლებულიყო.

1851 წლის ბოლოს ჯოყოლა რამდენიმე ქისტთან ერთად გამოჩნდა ბორბალოს მთაზე. მათთან იყვნენ ხევსურებიც. აქედან ჯოყოლა ხევსურებს გზავნის თუშეთის მოურავთან ივანე ცისკარიშვილთან მოსალაპარაკებლად. ცისკარიშვილმა მშვიდობა და უსაფრთხოება აღუთქვა.

ჯოყოლა ქისტებით ალაზნის თავში ჩამოსულა, სადაც ივანე ცისკარიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილიყვნენ თუშები. მათ ქისტების ბელადი ღირსეულად მიიღეს, ცხვრები დაკლეს, სუფრა გაშალეს. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ სტუმრებისათვის ესიამოვნებინათ, როგორც ეს მთიელთა ადათ-წესს შეეფერებოდა. ცხადია, ამასთანავე, მათ სურდათ შერიგებულიყვნენ მოუსვენარ ჯოყოლასთან, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებდა მათ. თუშებს არყის გარდა სხვა დასალევიც არ ჰქონიათ ამ სუფრაზე. როცა ი. ცისკარიშვილმა არყით სავსე ვერხლის ფიალა მიაწოდა ჯოყოლამ უარი თქვა და ივანესთან ძმადნაფიცობა მოითხოვა, რასაც ცისკარიშვილიც დათანხმდა და ამიერიდან ისინი, მთიელთა ადათით ძმები იყვნენ. დაძმობილების შემდეგ საქმეზე გადავიდნენ. ჯოყოლამ შეატყობინა, რომ მას რუსეთთან შერიგება და საქართველოში დასახლება უნდოდა. ცხადია ამ შემთხვევაში ჯოყოლას, თუშების და რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი ქართული ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ი. ცისკარიშვილმა ამის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა თიანეთის მაზრის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილი. ჯოყოლა მცირეოდენი ქისტების თანხლებით თიანეთში ჩასულა და აქ შეხვედრია ლ. ჩოლოყაშვილს. მისი ამ მოქმედებიდან საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ გაუსაძლის მდგომარეობას თავი დააღწიოს. შამილის გამუდმებული თარეშები მაისტელთა დამორჩილებისათვის, თვით მაისტში არსებული ცხოვრების უპერსპექტივობა მას უბიძგებდა იქითკენ, რომ უკეთესი გამოსავალი გამოეძებნა და მისი გადაწყვეტილებაც ამით იყო განპირობებული.

რაც შეეხება თუშების ინტერესებს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მე-18 ს-ის დასაწყისიდან უფრო ინტენსიურ

ხასიათს იღებს ლეკთა თარეშები. ისინი თუშეთის გავლით შემოდიან კახეთისაკენ მომავალ ყველაზე მოკლე გზაზე, რომელიც პანკისის ხეობაში შემოდიოდა. როგორც ჩანს თუშები არსებით წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ლეკთა თარეშს, რადგანაც შემოსვლაშიც და შემდეგ უკან დაბრუნების დროსაც. როცა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვითა და სხვა ნადავლით ლეკთა ქვეყანაში მიმავალთ არანაირი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ. ამიტომაც, როცა თუშების ინტერესებზე ვსაუბრობთ, ცხადია, მათთვის უპირველესად მოუხელთებელი ჯოყოლას დაწყნარება და გაჩერება იყო მთავარი, ამასთანავე, მათაც, როგორც ქართული ხელისუფლებას, აინტერესებდათ პანკისზე გამავალი გზის ჩაკეტვა, ლეკთა თარეშის ალაგმვა, რაც იმ შემთხვევაში თუ კი ქისტები პანკისში დასახლდებოდნენ შესრულებადი უნდა ყოფილიყო. პანკისის მოსახლეობაში არსებული გადმოცემის თანახმად შატილიდან და თუშეთიდან მომავალი გზების თავშეყრის ადგილია ხადორი, რომელიც ვახუშტისეულ რუკაზე არ ჩანს, ე.ი. ეს ტოპონიმი მოგვიანებით გაჩნდა. სწორედ ხადორში იდგა მოდარაჯე რაზმი ქისტებისა, რომლებიც ლეკთა შემოსევის შემთხვევაში წინააღმდეგობას გაუწევდნენ. გადმოცემის თანახმად აქ ხის კოშკები იყო აღმართული და ასეთნაირად ხორციელდებოდა მოდარაჯე რაზმის საქმიანობა. თვით ტოპონიმი ხადორი იშიფრება ქისტურ ენაზე, რაც ნიშნავს დარაჯად დგომას ქისტურად (ხა-დარაჯად, დორ-იდგნენ, წარსული დრო. ხადა ხა-და დარაჯად დგომა-ხდება ახლანდელ დროში). ასე რომ ზოგიერთი მკვლევარის მცდელობა სხვანაირი ინტერპრეტაცია მისცეს ამ ტოპონიმს, ქისტური ან ზოგადად ვაინახური ენის უცოდინ-

რობით შეიძლება აიხსნას. არსებობს უამრავი ზეპირი გადმოცემა, რომლებიც პანკისში მოსახლე ქისტებისა და აქ სათარეშოდ შემოსული ლეკების ბრძოლის ეპიზოდებს გადმოგვცემს.

1854 წლის 8 აგვისტოს ჯოყოლა მაისტელების 36 ოჯახით სოფ. მუცოში გადმოვიდა. როგორც ჩანს ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული იყო. აქ მას თვით თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილი დახვდა. სულ მალე უკან დაბრუნებულ ჯოყოლას კიდევ 18 ოჯახი გადმოუყვანია მაისტიდან - სულ 309 სული.

ამ ფაქტმა განსაკუთრებული კმაყოფილება მოჰგვარა ქართული ხელისუფლების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსს ლევან ჩოლოყაშვილს, რომელიც 1856 წლის 13 თებერვალს ხელისუფლებას მიმართავდა, რომ მან შეძლო შემოერიგებინა დაუმორჩილებელი ჯოყოლა დარქიზანაშვილი, რომ ამ საქმეში ძალზე დიდი იყო მისი დამსახურება: „1854 წელს მე შევძელი გადმომებირებინა ქისტების ბელადი ჯოყოლა დარქიზანაშვილი, რომელიც მანამდე მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა ჩემდამი რწმუნებულ ოლქს და უფრო მეტად კი კახეთს; მან გადმოასახლა თავისი თანამომძმე 54 ოჯახი ჩვენს საზღვრებში. 1854 წლის 8 აგვისტოს ის გამოცხადდა ჩემთან სასაზღვრო სოფ. მუცოში 36 ოჯახით, 15 სექტემბერს გადმოიყვანა კიდევ 18 ოჯახი. ქისტების ბელადი ჯოყოლა, რომელმაც წინა ხანებში ამდენი ზიანი მოგვაყენა, შამილის დაახლოვებული პირებისაგან განაწყენებული, შეიქმნა ჩვენი დამცველი და მთელი თავისი შურისძიება და სისასტიკე წარმართა თავისი ყოფილი თანამოაზრეების წინააღმდეგ“. [30:5-6]

როგორც ამ პერიოდის საარქივო მასალების შესწავლისას ირკვევა ქისტების საქართველოში, კერძოდ, პანკისში ჩამოსახლებას გარკვეული გაუგებრობა ახლდა თან. საქმე იმაშია, რომ 1854 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულებით ქისტებს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სახელმწიფო და საეკლესიო მიწებზე დასახლების უფლება ეძლეოდათ, მაგრამ ამ დოკუმენტში მითითებული არ გახლდათ თუ რა ადგილას უნდა განხორციელებულიყო ქისტების დასახლება. ურთულესი ვითარება შეიქმნა, რადგანაც ზამთარი კარზე იყო მომდგარი. გამოსავალი კი არ ჩანდა. ბევრი რამეა - კამათის მერე უკვე გაზაფხულის პირზე 14 თებერვალს თავადი ჩოლოყაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტს ანდრონიკოვს შეშფოთებული წერდა, რომ სახაზინო ექსპედიცია უკვე საქართველოს ტერიტორიაზე ქისტების 6 თვის განმავლობაში ყოფნის მიუხედავად აჭიანურებდა მათთვის მამულების გამოყოფას. თავადის შიში განპირობებული იყო იმითაც, რომ ქისტები ვერ მოასწრებდნენ მიწების გაზაფხულზე დამუშავებას, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფაზე ისინი მხოლოდ პირველი მოსავლის აღებამდე უნდა ყოფილიყვნენ. [19:12]

გასაგებია, რომ ეს ვითარება შეიქმნა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის დაუდევრობით, მაგრამ საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს, ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული პანკისის ხეობაში ჯოყოლას მიერ გადმოყვანილი ქისტების დასახლება, მაშინ როდესაც ეს ხეობა იყო რუსების მიერ კონტროლირებადი ქართული სახელმწიფოს „აქილევსის ქუსლი“, მაშინ როცა წინასწარ იყო შეთანხმებული ჯოყოლასთან მისი ხალხის დასახლების ადგილი და ეს პანკისის ხეობა იყო. აქვე გასათვალისწინებელია

ერთი გარემოებაც, რომელსაც სახელმწიფო ინტერესი ჰქვია. ქართული ხელისუფლება შეთანხმებისამებრ ორგანიზებას უკეთებს 54 ოჯახის გადმოყვანას ჩრდილო კავკასიიდან და თანაც ვალდებულებას იღებს პირველი მოსავლის აღებამდე 309 ადამიანი თვითონ, საკუთარი ხარჯებით გამოკვებოს და მათ ცხოვრებისა და დამკვიდრების შესაძლებლობა შეუქმნას. ისმის კითხვა, რატომ და რისთვის აკეთებს ამას სახელმწიფო? ან კიდევ, ლევან ჩოლოყაშვილის საზეიმო პატაკი ზედმგომი ორგანოებისადმი, რომ მან ამას მიაღწია და დაუმორჩილებელი ჯოყოლა დარქიზანაშვილი გადმოიბირა და მრავალი სხვა. რატომღაც მკვლევარებს ამ საკითხზე მსჯელობა და დასკვნების გაკეთება უჭირთ ან თავს არიდებენ. ცხადია, ქართულ სახელმწოფოს და მის ხელმძღვანელ პირებს (უპირველესად ლ. ჩოლოყაშვილს) გათავისებული და გააზრებული ჰქონდათ თუ რატომ აკეთებდნენ ამას. ასეთი გადაწყვეტილების მიღებით მათ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა მოახერხეს. პირველი ის, რომ მოუხელთებელი და მოუსვენარი ჯ. დარქიზანაშვილი მოათვინიერეს, ხოლო მეორე ის, რომ ეს ძალა გამოიყენეს სწორედ იქ, სადაც იგი ყველაზე მეტად საჭირო იყო, იმ ადგილას რასაც ჩვენ ზემოთ „აქილევსის ქუსლი“ ვუწოდეთ. ეს პანკისის ხეობა იყო, რომელზე გავლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დათარეშობდნენ ლეკთა რაზმები. სწორედ ამ კორიდორის ამოქოლვაში მდგომარეობდა სახელმწიფო ინტერესები. აშკარაა, რომ მაისტელთა ბელადი ჯოყოლა კარგად იცნობდა პანკისის ხეობას, რადგანაც ამ ხეობაში მრავალჯერ ყოფილა. მისი ინიციატივით არალეგალურად დასახლებული ქისტები 10-12 კომლი აქ უკვე ცხოვრობდა, აქვე ცხოვრობდნენ უკვე სოფ. დუისის მკვიდრნიც. ამიტომ იგი აცნობიერებდა იმასაც, რომ კომპაქტურად

დასახლების შემთხვევაში ერთმანეთისადმი მხარდაჭერა. ერთმანეთის გატანა, ლეკთა რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაც ბევრად უფრო გაუადვილდებოდათ და ბოლოს, ერთად დასახლება მათი იდენტობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ამ აზრზე იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილიც, რომელიც მიწათმომწყობ გ. ვიგურის თანხლებით თვითონ ჩავიდა პანკისის ხეობაში და ქისტების 54 ოჯახისათვის გაანაწილა მიწები. [31:20] ამასვე ემატებოდა გენერალ გუბერნატორის მურავიოვის ბრძანება, რომელიც ეხებოდა, როგორც დუისის მცხოვრებთ, ასევე ჯოყოლოს მცხოვრებთაც, ყველა თავისუფლდებოდა ყველანაირი გადასახადისაგან. [19:25] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქისტებს საკვებითა და სხვა აუცილებელი ნივთებით სახელმწიფო ამარაგებდა. ყოველ სრულწლოვანს დაუნიშნეს ჯარისკაცის ულუფა, ხოლო არასრულწლოვანს - მისი ნახევარი. ეს დაწესებული ნორმა, რა თქმა უნდა, არასაკმარისი იყო.

ახლად დასახლებულებისათვის სახნავ-სათესი ფართობების განაწილება აპრილის შუა რიცხვებში მოხდა. დაყამირებული მიწა დამუშავებისათვის ძალზე ძნელი გამოდგა, რის გამოც ქისტებმა მხოლოდ მცირე ფართობის დამუშავება შეძლეს, ხოლო ხორბლის დათესვის პროცესი უკვე დაგვიანებული იყო, რის გამოც მთავრობამ ჩამოსახლებულებს 1 აგვისტომდე გამოუყო სურსათი, ვინაიდან, მათ ასეთი შეთანხმება ჰქონდათ. ამ ყოველივეს დაემატა გვალვიანი ზაფხული და მოუსავლიანი წელი და ახლად ჩამოსახლებული ქისტები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ოლქის ხელმძღვანელი ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართავდა, რომ ქისტებისათვის კიდევ 5 თვით გამოეყოთ სურსათი, მაგრამ ამაოდ. ქისტები იძულებულნი ხდებიან პურის შესაძენად დარჩენილი მსხვილფეხა

პირუტყვი გაეყიდათ. საბოლოოდ, უკიდურესად გაჭირვებულებმა 5 კაციანი დელეგაცია მიავლინეს თბილისში დახმარების სათხოვნელად, ამ ჯგუფში ჯოყოლას მამა დარქიზანიც იყო, მაგრამ კვლავ ცივი უარი მიიღეს. როგორც ჩანს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ გასაკეთებელი გაკეთდა და ქისტები როგორმე თვითონ გაიტანენო თავს.

ჯოყოლა დარქიზანაშვილის შემდგომი ბედი გაურკვეველი ჩანდა რადგანაც გაჩნდა უამრავი ვერსია მისი სიკვდილის თაობაზე. ბუქურაულის ცნობით ჩეჩნეთში დაბრუნებული ჯოყოლა შეიპყრეს და მიჰგვარეს შამილის შვილს ყაზი-მაჰამას, რომლის ბრძანებითაც თავი მოჰკვეთეს, სხვათა აზრით ის შამილის მხარეს იბრძოდა და ომში იქნა მოკლული და მრავალი სხვა ამგვარი ჭორი ერთმანეთში აირია. აქედან ყველაზე რეალურად ჩანს ე. ბორჩაშვილის მოსაზრება, რომელმაც ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა. ამ მოსაზრების თანახმად ჯოყოლა დარქიზანაშვილი თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთგული, კერძოდ საქართველოს ერთგული დარჩა, რადგანაც ჯოყოლა ფშავის უბნის უფროსის ალიხანოვის დავალებით 15 მილიციელის თანხლებით 1855 წლის 14 ივლისს საქართველოს საზღვრის დაცვის მიზნით, შამილის ერთ-ერთი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. შამილის რაზმი ჩეჩნეთში მცხოვრები ქისტებით იყო დაკომპლექტებული, ის ალაზნის თავში თუშებზე თავდასხმასა და მათი ცხვარ-ძროხის გარეკვას აპირებდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ქაჩუს თავზე შეხვდნენ. ჯოყოლას მცირე რაზმი ხუთი საათის განმავლობაში 500 კაციან რაზმს უწევდა წინააღმდეგობას. ამ შეტაკების დროს დაიღუპა მაისტის მამასახლისი და ბელადი, ასევე რაზმის უფროსი ჯოყოლა დარქიზანაშვილი, აგრეთვე, მილიციელები: არდოტელი ხევსური ზვიად ლაგაზიშვილი, მათურელი ბახა

მაჩურიშვილი და მაისტელი ბუგუ ბოძიშვილი. ჯოყოლა დასაფლავებულ იქნა მაისტში. როგორც ჩანს ერთად დაღუპული მმადნაფიცების ჯოყოლასა და ზვიადაურის სახელები უწოდა ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძელის“ მთავარ გმირებს ჯოყოლას და ზვიადაურს. [32] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ჯოყოლა დარქიზანაშვილი დაიბადა 1818 წელს და გარდაიცვალა 1855 წელს. 37 წლის ასაკში, სრულიად ახალგაზრდა სოფ. ჯოყოლოში დასახლებულმა მაისტელებმა მის მიერ დაარსებულ სოფელს ჯოყოლო უწოდეს და ამით სამარადჟამოდ უკვდავყვეს მისი სახელი.

ცხადია, ჯოყოლას უცაბედი სიკვდილი, ხელმძღვანელისა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ამდენი ხალხის ჩამოსახლების ურთულესი მისია, საკმაოდ მძიმე დარტყმა იყო ჯოყოლოელი ქისტებისათვის. ამას ემატებოდა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან ადაპტაციის სირთულეებიც, რაც გამოწვეული იყო გახშირებული ავადმყოფობით. ამას დაემატა კავკასიის მეფისნაცვლის მოთხოვნაც, რომელიც ქისტების ქართულ მილიციაში ჩართვის აუცილებლობას მოითხოვდა. ამას გარდა გაიზარდა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებაც, რომელმაც მიუხედავად მრავალგზის მიმართვისა, თხოვნისა, დელეგაციის გაგზავნისა არანაირი დახმარება არ გაუწია უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ახლადჩამოსახლებულ მაისტელებს. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ჯოყოლოელი ქისტების 54-მა ოჯახმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მათ საჭირო საგზალი მოიმარაგეს და დათქმულ ღამეს გზას გაუდგნენ. მათ გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღეს. სავარაუდოდ მათი მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ შემოდგომის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

ცხადია, ქისტებზე ამ პერიოდისათვის უდიდესი თვალყური იყო დაწესებული და ხელისუფლებას მათი მოძრაობა არ გამოჰპარვია მხედველობიდან.

საარქივო მასალების თანახმად, თავიანთი სამშობლოსაკენ მიმავალ ქისტებს ხელისუფლებამ შეიარაღებული რაზმი დაადევნა. ქვაჩადლის მისადგომებთან დაახლოებით შუადღისას დაეწივნენ, რადგანაც ქალებით, ბავშვებით და ტვირთით მიმავალი ქისტები სწრაფად ვერ ივლიდნენ. შეიარაღებული ხალხის დანახვისთანავე ქისტებს ქალები და ბავშვები მთებისაკენ გაუშვიათ და თვითონ კი მთავრობის გამოგზავნილი შეიარაღებული რაზმისთვის ბრძოლა გაუმართავთ, რომელიც შებინდებამდე გაგრძელებულა. მთავრობის ასეულს ხელმძღვანელობდა კაპიტანი ელიზბარიძე, მასთან იყვნენ მოხალისე თუშებიც. მოლაპარაკების მცდელობამაც ფუჭად ჩაიარა. ამ ბრძოლაში მოკლული იქნა კაპიტანი ელიზბარიძე, დაიჭრა ორი თუში. ბოლოს საქმე, როგორც ჩანს მოლაპარაკებით დასრულდა, რადგანაც პანკისიდან სამშობლოში დასაბრუნებლად მიმავალი ქისტების 54 ოჯახიდან მხოლოდ 34 ოჯახი დაბრუნდა უკან.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა 1858 წელს პანკისში, სოფ. ომალოს ტერიტორიაზე ჩეჩნეთიდან თუშეთში ადრე გადმოსული 49 ოჯახის დასახლება სურდათ [33:301] აღნიშნული პერიოდისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა მასიურად ხდება მთიელთა ბარში დასახლება. ხილდეხაროს საზოგადოებიდან თუშეთში გადმოსული ქისტებიც თუშებთან ერთად ალვანში დამკვიდრებულან. სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მე-19 ს-ის 50-იანი წლებისათვის ქისტების 75 ოჯახი კარგა ხნის წინ გადმოსახლებული ყოფილა მთიანი ჩეჩნეთიდან. კერძოდ, კი ხილდეხაროს თემიდან. ისინი ქრისტიანულ

სარწმუნოებაზე გადასულან და ალვანში თუშებთან ერთად გაუგრძელებიათ ცხოვრება, ხოლო 1859 წელს ალვნიდან ქისტების 37 ოჯახი პანკისის ხეობაში, დღევანდელი ომალოს ტერიტორიაზე დაუსახლებიათ.

რაც შეეხება ქისტების ყველაზე დიდ სოფელს დუისს, აქ სულ სხვა სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა სოფელ დუისის წარმოშობას პანკისის ხეობაში ვარაუდობენ მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან. ესენი არიან: ს. ჩხენკელი, შ. გულისაშვილი, მ. მაჩაბელი, ლ. მარგოშვილი, ხ. ხანგოშვილი. სრულიად საწინააღმდეგო ვერსია წამოსწია წინ ხ. მამისიმედიშვილმა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მოსაზრებები დაფუძნებულია ზეპირ გადმოცემებზე, ხოლო ხ. მამისიმედიშვილი თავის მოსაზრებას ამაგრებს დოკუმენტური მასალით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ,,თიანეთის მაზრის უფროსის თბილისის გუბერნატორისადმი გაგზავნილი პატაკიდან ვგებულობთ, რომ პანკისის ხეობაში 1848 წელს ოლქის ყოფილ უფროსს, თავად ჩოლოყაშვილს მაისტის საზოგადოებიდან გადმოსული ქისტების 32 ოჯახი დაუსახლებია [33:300] ეს საბუთი XIX ს-ის 50-იან წლებში არის შედგენილი, საიდანაც ირკვევა, რომ ქისტები დასახლებულან მდ. ალაზნის პირას, ფშავლების საზამთრო სამეურნეო ბაზებიდან ნახევარი ვერსის მოშორებით".

მ. მაჩაბელის ცნობით ქისტები პანკისის ხეობაში 1845 წელზე ადრე არ დასახლებულან.

ხ. მამისიმედიშვილს მოაქვს კიდევ ერთი საბუთი, რომლითაც თავის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს. ,,თვით დუისელების მიერ 1886 წლის მარტში კავ-

კასიის მხარის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის სახელზე წარდგენილი თხოვნა განცხადებიდანაც ირკვევა, რომ პანკისის ხეობაში მათი ჩამოსახლებიდან 40 წელი იყო გასული. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1845 წლიდან ე.ი. დაღესტანიდან კახეთში ჩვენი დასახლების დროიდან, როდესაც შეიქმნა ჩვენით, ქისტებით დასახლებული სოფ. დუისი, ჩვენი საზოგადოება ყოველთვის მშვიდობიანად და დაუბრკოლებლად სარგებლობდა თიანეთის მაზრის ხალაწნად წოდებული ადგილის ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით...“ განცხადება რუსულ ენაზეა შედგენილი და მას ხელს აწერენ დუისელი ქისტები: დონდი თუნაშვილი, მუსა ქავთარაშვილი და პინჩო ბახაშვილი. მუსა ქავთარაშვილი ინგუშეთის სოფ. ეკაჟიდან იყო გადმოსული პანკისის ხეობაში. დღეს მისი შთამომავლები მრავლად ცხოვრობენ სოფ. დუისში“. ე. გუგუშვილის ცნობითაც, ქისტები პანკისის ხეობაში XIXს-ის 40-იან წლებში დამკვიდრებულან. მაგრამ რატომღაც ყველას მხედველობიდან გამორჩა ქისტების პანკისის ხეობაში დასახლების პერიოდთან ახლოს მყოფი პიროვნება, რომელმაც 30 წლის განმავლობაში იმუშავა ჯოყოლოს სკოლის მასწავლებლად, იყო პირველი ქისტი მეცნიერი, აქვეყნებდა სტატიებს, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან. ეს მათე ალბუთაშვილი იყო. იგი თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ აღწერაში პანკისის ხეობისა გარკვევით ამბობს, რომ „სოფელი დუისი ქისტების დასახლებაა პანკისის ხეობაზე, რომელიც დაარსდა 1840-1858 წლებში“ [1:107] შემდეგ აგრძელებს: „სოფ. დუისში, თავდაპირველად ხუთი საგვარეულოსაგან: დუიშვილების, მარგოშვილების, მაჩალიკაშვილების,

ქავთარაშვილებისა და ბაღაკაშვილების 32 კომლისგან შემდგარი სოფელი ყოფილა“ [1:119]

ცხადია, ყოველივე ზემოანიშნული არის ოფიციალური ვერსია, რომელიც საარქივო მასალებზეა დაყრდნობილი, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებული მინიშნება მე-19 ს-ის დასაწყისში პანკისის ხეობაში არსებული ვითარება, ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს ხეობა სრულიად უკონტროლო ტერიტორიას წარმოადგენდა, სადაც თავისუფლად შემოდიოდნენ როგორც ლეკთა, ისე ქისტების რაზმები გვაძლევს საფუძვლიანი რწმენის გამოთქმის საშუალებას, რომ ამ ხეობაში შესაძლოა უკვე მე-19 ს-ის 30-იანი წლებიდან ეცხოვრათ არალეგალურ ვითარებაში ქისტების წარმომადგენლებს, თუნდაც დუი ციცხაშაშვილს. რაც შეეხება დუის პიროვნებას, ზეპირი გადმოცემების თანახმად იგი უაღრესად გავლენიანი, ჭკვიანი, ქართულად კარგი მოსაუბრე, ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა სხვა შემთხვევაში სოფ. დუისს მის სახელს არავინ შეარქმევდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის შემდეგ შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ პანკისის ხეობაში ქისტების დასახლების პროცესი იწყება მე-19 ს-ის 30-იანი წლებიდან, ხოლო ბახტრიონის მიდამოებში, სოფელ ხორბალოში (ქისტნელი) მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან.

ქისტების ადაპტაცია და ინტეგრაცია ახალ გარემოში

მე-19 ს-ის 30-იანი წლებიდან პანკისში დასახლებული ქისტები ახალ ცხოვრებას იწყებენ. იმ პერიოდისათვის საუკუნენახევრის განმავლობაში გაველურებული ხეობა, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იყო, გაუვალი ტყითა და ჯაგნარ-ეკალ-ბარდით იყო დაფარული. ტყეებს შორის აქა-იქ პატარა მდელოები თუ გამოჩნდებოდა, რომელსაც ახლად დასახლებული ქისტები საქონლის საძოვრებად იყენებდნენ.

ახლად დასახლებული ქისტებისათვის ძალზე ძნელი აღმოჩნდა ახალ გარემოსთან შეგუება, რადგანაც მაისტში ცხოვრებისას ისინი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, პანკისში კი მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედების განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. ცხადია, მიწათმოქმედების განვითარებაში მეზობლად მცხოვრები ქართველების დახმარება მნიშვნელოვანი იყო ქისტებისათვის, რადგანაც ახლად დასახლებულ ქისტებს ხვნა-თესვისათვის საჭირო გუთანი და სხვა დამხმარე საშუალებები არ გააჩნდა. სახნავი მიწაც ნაკლები იყო, რადგანაც მთელი ხეობა შამბითა და ეკალ-ბარდით იყო დაფარული. ამიტომაც საჭირო ხდებოდა მიწის ნაკვეთების გაჯაგვა-გაკაფვა და ყამირი მიწის დამუშავება, რაც სათანადო საშუალებათა არქონის პირობებში კოლოსალური სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა. სულ მალე გაჩნდა ერთიმეორეს მიყოლებით დაუსრულებელი ახოები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სოფ. ჯოყოლოს დასავლეთით მდებარე ჭობიოს პატარა ხეობა, სადაც ერთ მტკაველ თავისუფალ მიწას ვერ ნახავ, პატრონის ახო რომ არ ერქვას, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ ახლად დასახლებულმა ქისტებმა მასიურად მიჰყვეს ხელი ტყისაგან

ტერიტორიების გაკაფვას და ახოების მითვისებას, რასაც დამატებითი გაუგებრობები და პრობლემები მოჰყვა.

საქმე იმაშია, რომ ეს მიწები ერთ დროს ქართველმა აზნაურებმა ოფიციალურად გაიფორმეს, მაგრამ მას არ ამუშავებდნენ, რადგანაც პანკისის ხეობაში შემოსვლა და მიწის დამუშავება უაღრესად სარისკო საქმე გახლდათ. ხოლო, როცა ახლად დასახლებულმა ქისტებმა გაკაფეს ტყეები, გაათავისუფლეს ეს მიწები ეკალ-ბარდისაგან და მიწის დამუშავება დაიწყეს და მოსავლის საკმაოდ სოლიდური რაოდენობაც მიიღეს, რადგანაც ნასვენი მიწა ბარაქიან მოსავალს იძლეოდა, აი, მაშინ კი მოისურვეს თავიანთი მიწის უკან დაბრუნება და მასზე პრეტენზიებიც განაცხადეს. საკითხის უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ერთი საარქივო საბუთის წარმოჩენა. კამერალური აღწერის დავთრების თანახმად გასაგები ხდება, რომ პანკისში დასახლებულ ქისტებს სახელმწიფო გლეხის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული, თუმცა ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის საკითხში ისინი საკმაოდ რთულ ვითარებაში ყოფილან ჩაყენებულები. კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარ მართებლის კანცელარიის ფონდის საქმეებში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტი, რომელზედაც ჩვენ ზემოთაც მივუთითებდით, რომელშიც აღნიშნულია, პანკისის ხეობაში ახალმოშენეთათვის მიწათსარგებლობის საკითხში მიცემულ შეღავათისა და მათი მეურნეობის ხასიათზე, ადგილობრივ მემამულეებთან უთანხმოება და ა.შ. [34]

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მემამულე კობიევს (რომელიც ადრე კობიაშვილად იწერებოდა და რუსების საამებლად გვარი რუსულად მოქარგა) უკანონოდ მიუთვისებია დუისელი ქისტების სარგებლობაში მყოფი

სახნავ-სათესი მიწები და ტყე, რომელიც ხალაწნის მიდამოებში მდებარეობდა. ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ პირებს მუსა ქავთარაშვილს, დონდო თუნაშვილს და პინჩო ბახაშვილს სამართლიანობის აღდგენისათვის რუსულად დაწერილი საჩივრით მიუმართავთ კავკასიის მხარის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლისათვის. ეს განცხადება დაწერილია 1886 წელს, მარტის თვეში. მასში დუისელი გლეხების მიერ აღნიშნულია, რომ პანკისში ჩამოსახლების დღიდან ქისტები ყოველთვის მშვიდობიანად სარგებლობდნენ თიანეთის მაზრის ხალაწნად წოდებული ადგილის ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით. მაგრამ 1885 წლის ნოემბერში აზნაური მიხეილ კობიევი წინ აღდგომია ქისტების საზოგადოების მიერ ამ ტყითა და მიწებით სარგებლობის უფლებას. ქისტები კავკასიის ხელისუფლებას სთხოვდნენ, რომ სანამ მიწების საკითხის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებას გამოიტანდა თიანეთის სამაზრო სასამართლო, ადმინისტრაციულად ჩარეულიყო საქმეში და დროებით დაეცვა ისინი კობიევის მხრიდან შევიწროებისაგან. [35] მაგრამ როგორც აღმოჩნდა პანკისში ახლად დასახლებულ ქისტებს ჰქონდათ სახელმწიფო გლეხების სტატუსი. ამიტომ მათ მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი მიწების დამუშავება შეეძლოთ. რადგანაც ხალაწნის მიწებს პატრონი გამოუჩნდა და ქისტების მიერ ტყეს გაკაფვა-გაწმენდის შემდეგ ამ მიწების დამუშავების შანსი მიეცა, დუისელ ქისტებს უარი ეთქვათ კერძო მფლობელობაში არსებული ხალაწნის მიწებით სარგებლობაზე. სულ მალე საქართველოში 1864 წელს დაიწყეს საგლეხო რეფორმის გატარება. აქაც ეს რეფორმა კვლავ მემამულეთა ინტერესებზე აგებული აღმოჩნდა, რადგანაც პანკისის მიწების უმეტესი

ნაწილი კერძო მფლობელობაში იყო იმ დროიდან მოყოლებული, როცა ეს ხეობა მთელი საუკუნე ნახევრის განმავლობაში უკონტროლო ხეობა იყო. სწორედ მაშინ არავის სურდა პანკისში დასახლება, მაგრამ მიწებს ოფიციალურად ითვისებდნენ, იფორმებდნენ და აი, საგლეხო რეფორმის შემდეგ მათ შესაძლებლობა ეძლევათ ტყისაგან და ეწერისაგან განთავისუფლებული მიწები ან დაემუშავებინათ, ანდა სასურველ ფასებში გაეყიდათ.

1905 წლიდან ქართულ ხელისუფლებას მოსახლეობისათვის ახოების უსასყიდლოდ გაჯაგვის უფლება მიუცია რომელი კანონითაც ახო მიიჩნიეს ამა თუ იმ ოჯახის ხელშეუხებელ საკუთრებად, ხოლო მიწების გადანაწილების დროს მთავარი აქცენტი გაკეთდა ოჯახის ქუდოსანთა რაოდენობაზე, რაც გარკვეულ შვებას აძლევდა მრავალშვილიან ოჯახებს, ვინაიდან აქამდე ოჯახის სულთა რაოდენობის გათვალისწინება არ ხდებოდა. [36:161]

1887 წელს ზ. გულისაშვილი წერდა: „ბოლო დროს ქისტებმაც მოჰკიდეს გუთანს ხელი და რადგან სახნავები არ ჰქონდათ, თუშების მამულებს დაუწყეს სიმინდის თესვა. თუშებმა არ მოიწონეს და ყოველ წელს ერეკებოდნენ, მაგრამ ქისტები არ იშლიდნენ“ [37]

პანკისში სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესს ხელისუფლების მიერ მიწათსარგებლობისათვის დაწესებული თითო კომლზე არსებული გადასახადის არსებობაც აფერხებდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა მესაქონლეობა. განსაკუთრებული გაქანება მიიღო მეცხვარეობამ. გააჩნდა ისეთი ოჯახებიც, რომელთაც რამდენიმე ასეული, ან ათასი ცხვარი ჰყავდათ. ისინი თავიანთ ცხვარს ხეობის მახლობელ მთებში აძოვებდნენ და ამის გამო

გაუთავებელი დავა-კამათი ჰქონდათ თუშებთან, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ეს მთები მათი იყო.

მე-19 ს-ის 80-90-იანი წლებისათვის პანკისის ხეობის ქისტების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი ფიცრული სახლი ჰქონდა. მათ სამეურნეო ცხოვრებას ამ პერიოდისათვის ყაჩაღობისა და მეკობრეობის მოხშირებული შემთხვევები ხელს უშლიდა. პანკისი ხელისუფლების მზრუნველობასა და ყურადღებას მოკლებული იყო. სამაგიეროდ პანკისის ხეობით დაინტერესებული იყვნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ცდილობდნენ პანკისის მოსახლეობაში გაევრცელებინათ წერა-კითხვა, განათლება, იღწვოდნენ ხეობის კულტურული განვითარებისათვის.

1891 წელს ქისტების მრავალგზის თხოვნას ყურადღება მიაქციეს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ რომელიც ამ პერიოდისათვის არსებობდა ქ. თბილისში 1000-ზე მეტი წევრის შემადგენლობით ამ სკოლის გახსნის ინიციატორი იყო არქიმანდრიტი ლეონიდი. სკოლა გაიხსნა სოფ. ჯოყოლოს ცენტრში, რომელიც ხეობის ცენტრიც იყო. სკოლის შენობა პირველად ფიცრული შენობა იყო და თავის დანიშნულებას, ცხადია, ვერ ასრულებდა.

1899 წელს ჯოყოლოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მათე ომანის ძე ალბუთაშვილი. წლების განმავლობაში უამრავი მასწავლებელი მოვიდა და უკან დაბრუნდა თელავიდან, თბილისიდან და სხვა მხარეებიდან, მაგრამ ერთადერთი, რომელიც ბოლომდე თავისი ხალხისა და ხეობის ერთგული დარჩა და ღირსეულად ემსახურა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ეს „ქისტი ჩობანი“ მათე ალბუთაშვილი იყო, რომელიც სწორედ ამ ფსევდონიმით

აქვეყნებდა სტატიებს იმ პერიოდის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1897 წელს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლათა ინსპექტორმა ეპისკოპოსმა კირიონმა იშუამდგომლა ამ „საზოგადოების წინაშე, რომ პანკისში, სოფ. ჯოყოლოში აეშენებინათ ქვიკირის შენობა სკოლისათვის. ამასთანავე ინსპექტორმა მამინეიშვილმა გამოსთხოვა საზოგადოებას სკოლის ასაშენებელი თანხა. ზოგი საკითხის მოგვარებაში ადგილობრივი მოსახლეობაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათე ალბუთაშვილის ღვაწლი, რომელიც ყველა ასეთი წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო. ასე აშენდა სოფ. ჯოყოლოში ხუთოთახიანი ქვითკირის შენობა რომელიც კრამიტით იყო გადახურული. ამ სკოლის მშენებლობისათვის გამოყოფილი იქნა 1400 მანეთი. 1898 წელს ოქტომბერში სკოლა საზეიმოდ გაიხსნა.

მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულება-სკოლა ბევრად ადრე იწყებს ფუნქციონირებას სოფ. ჯოყოლოში. კერძოდ, 1866 წელს სოფ. ჯოყოლოში მაცხოვრებელი მაისტელების გაქრისტიანების მერე, ამ სოფელში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ 1887 წელს დაიწყო ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1888 წელს, ხოლო ძველი ეკლესიის ფიცრულ შენობაში დიაკვან ოქრომჭედლოვის თაოსნობით გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესების შედეგად სოფელმა ჯოყოლომ, რომელიც დუისს მოსახლეობით ჩამორჩებოდა, კულტურითა და განათლებით წინ წაიწია და სულ მოკლე ხანში ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა.

მ. ალბუთაშვილი თავად წერს სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: ,,მე და მასწავლებელ ესტ. ზედგენიძის მიერ შედგენილი შენობის პროექტის მიხედვით აშენება, შეკვეთით თანხის სიმცირის გამო არ მოხერხდა. ამდენად ხელოსნების ცალკ-ცალკე მორიგებით უფრო იაფად გამოვედით. ხუთ ოთახიანი შენობა შუაზე დერეფნით და მთელ სიგრძეზე აივნით შვიდ თვეში დავამთავრეთ და დაჯდა 2000 მანეთი. მეორე წელს გვესტუმრნენ მთა-თუშეთიდან მომდინარე თბილისის გუბერნატორი სვეჩინი და მან შენობა შეაფასა 3000 მანეთად და საჩუქრად მომცა 25 მანეთი. სკოლა აგებული იქნა 1897 წელს“ [1:55]. როგორც ჩანს ინსპექტორი შემდგომშიც მზრუნველობას არ აკლებდა ჯოყოლოს სკოლას, რადგანაც სულ მოკლე ხანში მან სკოლაში დაარსა ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსული და ქართული წიგნი. ამ სკოლაში ასწავლიდნენ ჩამოსული მასწავლებლები: გ. ნათაძე, რ. რამაზაშვილი, ე. რობიტაშვილი, რუსი ალბერტოვი და სხვები.

მთის სკოლების ინსპექტორის მამინაიშვილის დავალებით 1902 წელს 26 მაისს ჯოყოლოს სკოლაში ბავშვების გამოსაცდელად ჩასულა დეკანოზი გ.მ. ხელაშვილი. მ. ალბუთაშვილის თხოვნის გამო ამ დღეს მშობლებმა სამუშაოდ არ გაგზავნეს შვილები მინდორში და ისინი მეორე დღეს სკოლაში შეიკრიბნენ. გაზეთ ,,ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიით ,,ქისტი ჩობანის“ ფსევდონიმის ავტორი გადმოგვცემს, რომ თითქმის ერთი თვის თავგანებებულნი იყვნენ ბავშვები, რადგანაც მაშინ ოქტომბერში იწყებოდა სწავლა და აპრილში მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა გამომცდელებს ყველა კითხვაზე უპასუხეს. [38].

მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორის უდიდეს მზრუნველობაზე

მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1913 წელს სოფ. ყვარელწყალში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადების ინიციატივით აშენდა სკოლის შენობა, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს მშენებლის გვარი და სახელი დღემდე აქვს შემორჩენილი - „იოსებ ქისტიშვილი - 1913 წელი“. ამავე წელს სკოლაში დაარსდა ბიბლიოთეკაც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მნიშვნელოვანი ყურადღება მთელი ქვეყნის მასშტაბით გამახვილდა სწავლაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა პანკისის ხეობაშიც. დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა პედაგოგიური კადრების მომზადების პროცესი. 1922 წელს სოფელ დუისში იხსნება დაწყებითი სკოლა, 1927 წელს სოფ. ბირკიანში, 1928 წელს სოფ. ომალოში, 1933 წელს სოფ. შუა ხალაწანში, 1938 წელს სოფ. ხორაჯოში. 1930-იანი წლების დასაწყისში ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობას უბრუნდება პანკისელი ქისტების ღირსეული შვილი, ამაგდარი პედაგოგი უსუფ მარგოშვილი, რომელიც დუსის სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად ინიშნება და იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას.

1935 წელს დუისის საშუალო სკოლა არასრული საშუალო სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1940-41 სასწავლო წელს კი საშუალო სკოლად. სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ბავშვები საშუალო სკოლის ატესტატის მისაღებად ხეობის ყველა სოფლიდან უკვე დუისში მოემართებოდნენ. ამასთანავე,

დუისის მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა, შემდგომში ამას დაემატა დუისში პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ცენტრად ჩამოყალიბება და დუისმა პანკისის ხეობაში გამოკვეთილი ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უკიდურესად დაძაბული ვითარება იყო ქისტებსა და თუშებს შორის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რამდენადმე განიმუხტა. სამაგიეროდ წარმოიშვა ახალი დაძაბული ვითარება ამჯერად ბოლშევიკების მომხრე პანკისში ჩამოსახლებულ ოსებსა და ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ქისტებს შორის, რომელმაც ეთნიკური დაპირისპირების სახე მიიღო. 1926 წელს სიტუაციის გასარკვევად პანკისში თვით ფილიპე მახარაძე ჩასულა. გადმოცემის თანახმად, მან მომჩივან ოსებს მოუსმინა და სიმშვიდისკენ მოუწოდა. კომისიამ, რომელსაც ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა, შეკრებილებს სთხოვა შეეწყვიტათ მომხდარ უსიამოვნებაზე საუბარი. ფილიპე მახარაძე აქედან თბილისში ჩასულა და თან 15 ქისტი ბავშვი წაუყვანია, რათა ამ ბავშვებს სწავლა-განათლება მიეღოთ მთიელთა საბავშვო სახლში.

ცხადია, ახლად ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები, რომელთა იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმი იყო, სასტიკად შეებრძოლა ქრისტიანულ და სხვა ნებისმიერ იდეოლოგიას და მათე ალბუთაშვილს, რომელიც ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელიც იყო (მასწავლებლობასთან ერთად) იძულებული ხდება პანკისის ხეობა მიეტოვებინა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ რიგი ცვლილებები განახორციელა ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით. კერძოდ, 1924 წელს დღევანდელი ახმეტის რაიონი და მათ შორის პანკისის ხეობაც თიანეთის მაზრისაგან გამოყვეს და თელავის რაიონის შემადგენლობაში შეიყვანეს. ამრიგად წარმოიშვა უმსხვილესი ადმინისტრაციული ერთეული თელავის რაიონის სახით.

გაუქმებული იქნა მამასახლისის ინსტიტუტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა და საკმაოდ ეფექტურად ახორციელებდა ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციას.

პანკისის ხეობის სოფლები გაერთიანდა ორ სასოფლო საბჭოში - დუისისა და ჯოყოლოს სასოფლო საბჭოებში. დუისის საბჭოში შედიოდა სოფლები: დუისი, წინუბანი, ყვარელწყალი, ქორეთი, საკობიანო, დედისფერული, კუწახტა. ხოლო ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში კი: ჯოყოლო, ბირკიანი, ძიბახევი, ომალო დუმასტური, ზემო, შუა და ქვემო ხალაწანი. 1924 წელს დაარსდა სოფელი საკობიანო. მოსახლეობა ძირითადად ხადორიდან, ტოლოშადან, ბაწარადან ჩამოსახლებულა, ვინაიდან ამ ადგილებში ცხოვრება ძალზე ჭირდა.

მამასახლისის ინსტიტუტის გაუქმებას მოჰყვა ახალი ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბება. ადგილებზე მთელი ხელისუფლება სასოფლო საბჭოების ხელში გადავიდა. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ფაქტიურად ერთმმართველი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე. ამას განამტკიცებდა კომუნისტების მიერ წამოყენებული ლოზუნგიც: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ე.ი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის, მას მერე, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შეძლო მოწინააღმდეგე ძალების დამარცხება, პანკისის ხეობაში თავისი გეგმების სისრულეში მოყვანა დაიწყო.

1929 წლიდან მასიურად იწყება სასოფლო-სამეურნეო არტელების ცამოყალიბების პროცესები. როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე პანკისის ხეობაშიც, კოლექტივიზაციის პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო. თელავიდან მოვლინებული და

ადგილობრივი კომუნისტები მოსახლეობაში არტელების მნიშვნელობაზე და მასში გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობენ. მცირე საკარმიდამო ნაკვეთების გარდა ხეობის მიწის სავარგულები არტელებში გააერთიანეს. გლეხებს ჩამოერთვათ თითქმის ყველა საჭირო იარაღი რაც კი გამოიყენებოდა მიწის დამუშავებისათვის: გუთნებიდან დაწყებული სხვა საშუალებები, რომელთაც თავი მოუყარეს კანტორის ეზოში. მოსახლეობას ჩამოერთვა პირუტყვიც.

ამ უაღრესად რთულ პერიოდში პანკისის ხეობაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ელიოზ ლაბოს ძე გუმაშვილი, რომელმაც თვალსაჩინო როლი ითამაშა პანკისის ხეობაში კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში, ხოლო შემდგომ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას პანკისში შექმნილი სირთულეების გადალახვის თვალსაზრისით.

ელიოზ გუმაშვილი დაიბადა 1909 წელს, იმ პერიოდისათვის თიანეთის მაზრის სოფელ ჯოყოლოში. დაწყებითი განათლება ჯოყოლოს სკოლაში მიიღო. შემდგომში ყვებოდა სწავლების იმ მეთოდების თაობაზე, რომლებიც ფიზიკურ დასჯაზე იყო ორიენტირებული.

ჯოყოლოს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თელავში. ცხადია, იმ პერიოდისათვის ურთულესი იყო შვილის სასწავლებლად შორს გაშვება, მაგრამ მამამ - ლაბო გუმაშვილმა ყველაფერი გააკეთა სწავლის მსურველი შვილისთვის განათლების მიღების უზრუნველსაყოფად. 1930 წელს იგი ჩაირიცხა სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს კომუნისტურ უნივერსიტეტში, ზოოვეტერინარიის სპეციალობაზე. 1933-1934 სასწავლო წელს მან ეს უნივერ-

სიტეტი დაამთავრა. ეს იყო ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი გამოშვება, ხოლო ე. გუმაშვილი იყო ფაქტიურად პანკისის ხეობიდან პირველი უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ ე. გუმაშვილი იგზავნება თელავის კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორის თანამდებობაზე (პანკისი იმჟამად უკვე თელავის რაიონში შედის). სულ მალე, უკვე 1935 წელს იგი გამოიძახა თელავის რაიკომის იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა კარანაძემ და გამოუცხადა, რომ დანიშნულია სოფელ დუისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ეს არის მის მიერ ე. გუმაშვილისთვის მიცემული პარტიული დავალება, რადგანაც დუისის სასოფლო საბჭოში მუშაობა ჩავარდნილია, გეგმები სანახევროდაც ვერ სრულდება. გეძლევა დავალება, რათა უმოკლეს ვადაში გამოასწორო შექმნილი მდგომარეობაო. იმ პერიოდისათვის პარტიულ დავალებაზე უარის თქმა გამორიცხული იყო და ე. გუმაშვილიც მშობლიურ პანკისს უბრუნდება. დუისის სასოფლო საბჭოში მას მართლაც მძიმე მდგომარეობა დახვდა. განუკითხაობა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ყოველ ნაბიჯზე შენიშნებოდა, ამიტომაც საჭირო გახდა რადიკალური საკადრო ცვლილებების ჩატარება, რომლებიც კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს შეეხოთ პირველ რიგში. ე. გუმაშვილი ყოველდღიურ რეჟიმში ცხენზე ამხედრებული თვითონ აკონტროლებდა სამუშაოთა მიმდინარეობას, ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში გადადიოდა და მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა სამუშაო პროცესები. ამიტომაც იყო, რომ სულ მოკლე ხანში მოსახლეობაში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. მომთხოვნელობამ და საქმისადმი პრინციპულმა დამოკიდებულებამ თავისი შედეგები გამოიღო. გეგმები გადაჭარბებით შესრულდა მთელ რიგ დარგებში სოფლის მეურნეობაშიც და

მეცხოველეობაშიც, სიმინდის, კვერცხის, ყველის, ერბოს და სხვა პროდუქტების წარმოებაში. უკვე თავისი დანიშვნის წლის თავზე ელიოზ გუმაშვილმა თელავის რაიონის სასოფლო საბჭოების სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა და გარდამავალი წითელი დროშაც სოფელ დუისში ჩამოიტანა. აქედან მოყოლებული ეს დროშა 1945 წლამდე დუისში დარჩა, რადგანაც დუისის სასოფლო საბჭომ ვეებერთელა თელავის რაიონში გამოკვეთილი ლიდერის პოზიციები ხელიდან არ გაუშვა. დღეს, როცა ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ამ საკითხებზე მსჯელობა უჭირს, ცინიკურად უყურებენ კომუნისტური რეჟიმის თაობაზე საუბარს, ამ ადამიანებს შევახსენებდით, რომ ეს პერიოდი მოგვწონს თუ არ მოგვწონს, იგი ჩვენი ქვეყნის ისტორიაა და მას გვერდს ვერ ავუვლით, ან ვერ შევალამაზებთ, რადგანაც ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა ობიექტური რეალობის ასახვა და ამ პროცესების თაობაზე საკუთარი ხედვის, ანალიზის წარმოჩენა. იმ პერიოდში კი ჩვენი ქვეყანაც, სხვებთან ერთად, რომლებიც საბჭოთა კავშირის „დიდ ოჯახში“ იყვნენ გაერთიანებულნი, კომუნისტური ცხოვრებითა და იდეალებით ცხოვრობდა.

ხ. მამისიმედიშვილი აღნიშნავს, რომ „...ელიოზ გუმაშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და კოლექტივიზაციაში. პანკისის ხეობიდან ფაქტიურად პირველი უმაღლესი განათლება მან მიიღო. ელიოზ გუმაშვილმა დაამთავრა სტალინის სახელობის უნივერსიტეტი ზოოვეტერინარიის სპეციალობით და პანკისში დაბრუნდა. მისი მონაწილეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რამდენიმე კოლმეურნეობა, მათ შორის ჯოყოლოს შვერნიკისა და კოსარევის სახელობის კოლმეურნეობები. ... მან თავი გამოიჩინა როგორც

კარგმა მეურნემ და ორგანიზატორმა. თავისი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით ელიოზმა მშვიდობიანად შემოირიგა ის ძალები, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ“ (21:270). და მართლაც, ურთულეს საქმეს წარმოადგენდა იყო იმ მხარეში სახელმწიფოს წარმომადგენელი და ხელისუფალი, სადაც იმჟამინდელი ხელისუფლების სასტიკი მოწინააღმდეგე ძალები აბრაგების სახით მთებში ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილდებოდნენ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული საზრიანობა, გამბედაობა და ამასთანავე, შორსმჭვრეტელობა არის საჭირო, რათა როგორც ერთ მხარეს, ისე მეორე მხარესაც სიტუაციის დაბალანსება და ლავირება შეძლო. და თუ ეს ყოველივე ვერ შეძელი, ვერ მოახერხე, ჩათვალე რომ განწირული ხარ. საბედნიეროდ ელიოზ გუმაშვილმა ამ ყველაფერს თავი კარგად გაართვა. მისი ინიციატივით და შუამდგომლობით ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეთა გარკვეული ნაწილი შემოირიგა. ამ ყოველივეს მოჰყვა ხელისუფლებაშიც და მოსახლეობაშიც მისი ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლება-გაძლიერება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც ჰქონდა გასათვალისწინებელი ელიოზს. მის სასოფლო საბჭოში ცხოვრობდნენ ქართველები (ფშავლები) ოსები და ქისტები. საჭირო იყო ამ სამივე ეთნოსის წარმომადგენლებთან ძალზე მოზომილი და ჭკვიანური მიდგომა, რათა რომელიმე მხარეს არ ეგრძნო მეორისადმი გადაჭარბებული მზრუნველობა და ყურადღება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გუმაშვილს ამ სამივე ეთნოსით დასახლებულ სოფლებში საკმაოდ მტკიცე დასაყრდენი ძალა ჰყავდა. მომთხოვნელობამ, საქმის სიყვარულმა, ყურადღებისა და მზრუნველობის თანაბრად განაწილებამ ამის საფუძველი შექმნა. მას ენდობოდნენ, მისი სჯეროდათ, მის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი ოჯახური

ღონისძიება, ჭირი თუ ლხინი არ მიმდინარეობდა. სწორედ ასეთი გამოკვეთილი ლიდერობის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ იგი 1940 წელს მიწვეული იქნა ქალაქ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო მიღწევების გამოფენაზე.



ელიოზ გუმაშვილი სტუდენტობის პერიოდში. მარჯვნივ

სულ მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. საომარი ურთიერთობების პარალელურად ქვეყანაში ფართო მუშაობა გაიშალა ფრონტის სურსათით უზრუნველსაყოფად. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა დუისის სასოფლო საბჭოს უპირატესობანი სხვებს შორის, რომელიც სურსათის ჩაბარების რაოდენობაში აისახა. კვლავ დღის წესრიგში იდგა გეგმების შესრულების საკითხი, რომელმაც ომის პერიოდში განსაკუთ-

რებით მწვავე ხასიათი შეიძინა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოწინავეს პოზიცია არ დაუთმია დუისის სასოფლო საბჭოს და გარდამავალი წითელი დროშაც, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს ხვდებოდა, კვლავ დუისში რჩებოდა. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ობლიგაციების სისტემა, რომელიც მთელ სახელმწიფოში მოქმედებდა. ელიოზ გუმაშვილმა საკუთარი ობლიგაციის მონაგები თანხა - 150 000 მანეთი ჩარიცხა ომის ფონდში. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურება გახდა იმისა, თუ რამდენად მაღალი იყო ამ პიროვნებაში სახელმწიფო ინტერესების შეგრძნება.

ელიოზ გუმაშვილი მეუღლესთან ერთად

პანკისის ხეობიდან ომში გაწვეულ იქნა 584 კაცი, აქედან სხვადასხვა ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდა 233 მებრძოლი. სამარი მოქმედებების დროს დაიღუპა ან დაიკარგა თითქმის ნახევარი - 254 ადამიანი.

ელიოზ გუმაშვილი მეგობრებთან ერთად (ზის მარცხნივ)

1944 წლის 23 თებერვალს მოხდა ჩეჩენი და ინგუში ხალხის გადასახლება ყაზახეთის ტრამალებში. იმისათვის, რომ საჩვენებელი სამაგალითო დასჯა მოეწყო პატარა ერებისთვის, კომუნისტურმა რეჟიმმა გადაწყვიტა ამ მიზნის განხორციელებისათვის გამოეყენებინა პატარა ერები, მათ შორის ვაინახური მოდგმაც, რომელსაც ღალატის ბრალდება წაუყენეს, მაშინ, როცა ამის დამადასტურებელი არავითარი საფუძველი არ არსებობს, მაშინ როცა ათეულ ათასობით ჩეჩენი და ინგუში

ბრძოლის წინა ხაზზე იბრძოდა და გმირობის მაგალითებს აჩვენებდა მტერს. ცხადია, ამ პერიოდისათვის დაისვა და დღის წესრიგში დადგა საქართველოში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების გადასახლების საკითხიც.

ელიოზ გუმაშვილი თანასოფლელებთან ერთად

უკანასკნელ პერიოდში მრავალი მკვლევარი შეეხო ამ საკითხს, უამრავი სხვადასხვა ვერსია გაჟღერდა, სადაც ყველა ხაზს უსვამს ქართველი ხალხის დამსახურებას ამ საქმეში, თითქოს ქართული ინტელიგენციის მიმართვამ და თხოვნამ განაპირობა ქისტების გადასახლების გარეშე დატოვება. რა თქმა უნდა შესაძლოა და არ არის გამორიცხული, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწენი განიცდიდნენ ქისტების მდგომარეობას და მიმართავდნენ ხელისუფლებას. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომუნისტურ რეჟიმთან, კომუნისტურ იდეალებთან,

სისტემასთან, რომლისთვისაც უპირველესად სოციალიზმისთვის დამახასიათებელი მომენტები იყო უმთავრესი და არად დაგიდევდათ მავანთა და მავანთა თხოვნას, რომლებიც ქისტების შეწყალებას ითხოვდნენ. აქ უპირველესი როლი ითამაშა პანკისის ხეობის მიერ ქვეყანაში გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობამ, ამ თვალსაზრისით გამოკვეთილმა ლიდერობამ. როგორც იტყვიან, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. თუ კი გარდამავალი წითელი დროშის მფლობელს გაასამართლებდნენ და გადაასახლებდნენ ეს იქნებოდა საკუთრივ ქვეყნის პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლა. სწორედ ამ გარემოებით იხელმძღვანელა ქართულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც საკავშირო ხელისუფლებისადმი გაკეთებულ მიმართვაში სხვა არგუმენტებიც მოიშველია კერძოდ ის, რომ მათ ქართული გვარები გააჩნიათ, რომ სწავლა-განათლებას იღებენ ქართულად და სხვა.

ამბობენ, პიროვნებები ქმნიან ისტორიასო, ისინი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტებში. რომ არა ელიოზ გუმაშვილის თავდადებული, მუხლჩაუხრელი ღვაწლი პირველობის მიღწევისათვის თელავის რაიონში, რომ არა გამოკვეთილი ლიდერობა ხეობისა გეგმების შესრულების თვალსაზრისით, რომ არა ქართველი ხალხის თანადგომა მოძმეებისადმი ვინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა ამ მცირერიცხოვანი ხალხის ცხოვრებისა და მომავლის ჩარხი?!..

ამავე მოსაზრებას ავითარებს ხ. მამისიმედიშვილი, რომელიც 2008 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომში „პანკისი, წარსული და თანამედროვეობა“ აღნიშნავს: „ომის პერიოდშიც და წლების განმავლობაშიც, ელიოზ გუმაშვილის ხელმძღვანელობით პანკისის ხეობას გარდამავალი წითელი

დროშა ეკავა. როცა 1944 წელს დაისვა პანკისელი ქისტების შუა აზიაში დეპორტაციის საკითხი, თელავის რაიონის ხელმძღვანელობამ აღძრა შუამდგომლობა ხელისუფლების წინაშე, რომ ქისტები არ გადაესახლებინათ. ისინი ჩაბმულნი იყვნენ სოციალისტური შრომის ფერხულში, ელიოზ გუმაშვილის თავკაცობით გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, ქართულ ენაზე იღებენ განათლებას, ხელისუფლების მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება ქისტებს გადაასახლებდა. ერთი სიტყვით, ელიოზ გუმაშვილს დიდი წვლილი მიუძღოდა პანკისის ხეობის გადარჩენა-განვითარებაში". (21:271)

1945 წელს ელიოზ გუმაშვილი ახალ პარტიულ დავალებას იღებს და ეს პარტიული დავალება ეხება კვლავ მის გადაყვანას შედარებით ჩამორჩენილ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, როგორიცაა სოფ. ჯოყოლო. ელიოზ გუმაშვილს აქაც რადიკალური ზომების გატარება დასჭირდა ვითარების გამოსწორებისათვის, კვლავ დაუღალავი შრომა კომუნისტური მოთხოვნების უცილობლად შესრულებისათვის და კვლავ წლისთავზე დიდი წარმატება, რაც დაკავშირებულია გეგმების წარმატებით შესრულებასთან და სოც. შეჯიბრში ისევ გამარჯვების მოპოვებასთან, გარდამავალმა წითელმა დროშამ სოფ. დუისის სასოფლო საბჭოდან სოფ. ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში გადმოინაცვლა. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელს ამა თუ იმ დაწესებულებაში, სამოქმედო უბანზე. პიროვნება, მისი პიროვნული ხასიათი, პასუხისმგებლობა საკუთარი თავის და ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე, შესაძლებლობები, რომელთაც ცხოვრებაში გამოყენება სჭირ-

დება, ყველაფერი ერთობლიობაში უნდა მოდიოდეს, იმისათვის, რომ ასეთი წარმატებების მიღწევა შეძლო. ასეთად დარჩა ისტორიას და თავის ხალხს, ქვეყანას კაცი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა თავისი ხეობის ცხოვრებაში.

მაგრამ ელიოზ გუმაშვილის ცხოვრება ამით არ შემოფარგლულა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან სულ სხვა ფორმითა და შინაარსით გაიბრწყინა. პანკისში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პიროვნების მოღვაწეობას, მაგრამ მისი საქმიანობა ორმაგად დაფასებულია თუ ღირსეული შთამომავლობა დატოვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ელიოზ გუმაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ძალზე შედეგიანი აღმოჩნდა. მან 8 შვილი გაზარდა და მის მემკვიდრეთაგან 4 შვილი და ერთი შვილიშვილი მეცნიერებათა დოქტორები გახდნენ სხვადასხვა დარგში:

1. სულეიმან გუმაშვილი - ქართული ლიტერატურის დარგში, პირველი ქისტი პოეტი, ღირსების ორდენის კავალერი.

2. ლაბაზ გუმაშვილი - გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, ლომონოსოვის უნივერსიტეტდამთავრებული და აქვე დისერტაცია დაცული, 292 სამეცნიერო შრომისა და 22 მონოგრაფიის ავტორი.

3. სულთან გუმაშვილი - ენათმეცნიერი, არნოლდ ჩიქობავას ბოლო ასპირანტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი დოცენტი.

4. ზაურ გუმაშვილი - ისტორიის დარგში, ღირსების ორდენის კავალერი. 2000-იან წლებში მუშაობდა გუბერნატორის მოადგილედ კახეთის რეგიონში. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პანკისის კრიზისის განმუხტვის საქმეში.

5. მალხაზ გუმაშვილი - ეკონომიკის დარგში. დისერტაცია დაიცვა ქალაქ მოსკოვში.

ეს არის ელიოზ გუმაშვილის მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლის შედეგი უპრეცედენტოა არა მარტო პანკისის ხეობისთვის.

1935 წელს შსს-ს თანამშრომელი იყო სოფელ დუისის მკვიდრი ლაბაზ ფოცის ძე მარგოშვილი, რომელიც ძმად გაეფიცა მილიციის მაღალჩინოსან კვაშალს. ეს უკანასკნელი დაკავებული იყო პანკისის საკითხებით და ლაბაზ მარგოშვილთან ერთად მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ძალების შემორიგების თვალსაზრისით.

1940 წელს ლაბაზ მარგოშვილი ინიშნება დუისის N1 კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. საქმე ძალზე ენერგიულად დაიწყო და რიგი წარმატებებიც მოიპოვა, მაგრამ 1942 წელს იგი დაავადდა ტიფით და გარდაიცვალა.

1945 წლიდან ახმეტის რაიონი გამოეყო თელავის რაიონს და ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა, ხოლო პანკისის ხეობის სოფლები ახმეტის რაიონის შემადგენლობაში შევიდა.

1968 წელს პანკისის ხეობის სხვადასხვა კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ დროიდან მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდა პანკისის ხეობაში, რომელმაც მნიშვნელოვანი მოგება მისცა როგორც სახელმწიფოს, ასევე ხალხს (22:213).

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებისათვის პანკისის ხეობაში ვითარება საგრძნობლად იცვლება პოზიტიური თვალსაზრისით. ცხადია, ეს ცვლილება განპირობებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის დაუღალავი შრომით. ამ შრომის შედეგად

პანკისის ხეობა ჩამოყალიბდა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ. რამდენიმე ეთნოსით დასახლებული ვიწრო ხეობისთვის უცხო გახდა რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებანი, რომლებიც ასეთი რეგიონებისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი. ერთ მეურნეობაში გაერთიანებული ოსები, ქართველები და ქისტები ძალზე მეგობრულ ატმოსფეროში ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ. ეს იყო მართლაც იშვიათი ნიმუში სხვადასხვა ეთნოსით დასახლებული ადამიანების ურთიერთობისა, კეთილმეზობლობისა, მეგობრული დამოკიდებულებისა, მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე. ამ პერიოდისთვის ვერავინ წარმოიდგენდა თუ სამომავლოდ რა პროცესები განვითარდებოდა და როგორ შეიცვლებოდა ვითარება ქვეყანაში და შესაბამისად პანკისის ხეობაშიც.

მდგომარეობა და ვითარების გამოსწორებისათვის გასატარებელი ღონისძიებები

ქართველთა და ვაინახთა (ჩეჩენთა და ინგუშთა) ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გენეტიკურად და კულტურული თვალსაზრისით მონათესავე ეს ხალხები, რომელთაც ბედმა ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება არგუნა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქმნიდნენ და ავითარებდნენ მჭიდრო პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს.

კავკასიური კულტურული მატრიცა კრავდა და ადუღაბებდა ამ ხალხთა შორის ურთიერთობას, რაც, უპირველეს ყოვლისა თანადგომაში, ურთიერთპატივისცემაში, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარებაში პოულობდა გამოხატულებას.

თუმცა მათი ურთიერთობა არც ლოკალური კონფლიქტებისგან ყოფილა დაზღვეული.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ რუსეთის დაქვემდებარებაში ყოფნამ თავისებური მიმართულება მისცა კავკასიელი ხალხების ურთიერთობას. იმპერიალისტური რუსეთის ე.წ. „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, კავკასიელი ხალხების ერთმანეთისადმი დაპირისპირებას გულისხმობდა, გარკვეულ პერიოდში და გარკვეული მასშტაბებით წარმატებით ხორციელდებოდა; თუმცა კავკასიელი ხალხების კულტურული ერთიანობის იდეა ის ამოსავალი იყო, რისი ამოძირკვის ძალაც იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მანიპულაციებს არ შესწევდა. საბჭოთა კავშირში 70-წლიანი არსებობის პრაქტიკამ, ასე ვთქვათ, ერთ ბედ ქვეშ ყოფნამ, რაც განსაკუთრებით ტრაგიკულად აისახა ვაინახი ხალხის ისტორიაზე, კიდევ უფრო მეტად გაამყარა ქართველი და ვაინახი ხალხის ურთიერთობის საფუძვლები. ამ ხალხთა შორის ურთიერთობამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახე მიიღო დღეს, როცა კავკასია და კავკასიის ხალხები სერიოზული გეო-პოლიტიკური ტრანსფორმაციების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, ანუ იგივე „ცივი ომის“ დასასრულს, კავკასიის რეგიონს მძლავრ გეოპოლიტიკურ სივრცედ გადაქცევის საკმაოდ დიდი შანსი გაუჩნდა. თუმცა კავკასია თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოისობით გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონად ოდითგანვე განიხილებოდა.

საქართველოზე ოდინდელი გავლენის აღსადგენად და რეგიონის თავისი სტრატეგიული კონტროლის ქვეშ მოსაქცევად

კრემლი დიდ „სამუშაოს“ ასრულებს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, რისთვისაც მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებს. ფედერალური ძალები ოსტატურად ახერხებენ ქვეყანაში არსებული შიდასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობებით მანიპულირებას - წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2001 წელს. ქართველი პოლიტოლოგების აზრით, რუსეთში შემუშავებულ იქნა სხვა ქვეყნებში მრავალგზის აპრობირებული შიდაპოლიტიკური ვიტარების დესტაბილიზაციის ქართული ვარიანტი. სწორედ ამგვარ სცენარში ერთერთი მთავარი გათვლა ჩეჩნურ ფაქტორზე გაკეთდა.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში შექმნილი ვითარება ცხადყოფს, რომ ჩეჩნური ფაქტორი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ქვეყანაში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებთან. 1990-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოპოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნით სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალების მიერ ჩეჩნური ფაქტორით მანიპულირება უშუალოდ იყო გადაჯაჭვული აღნიშნულ ეთნოსთა შორის არსებული უარყოფითი და დადებითი სოციალური განწყობის მიზანმიმართულ მართვასთან. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მიმდინარე რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის ფონზე. რუსეთი არაერთხელ შეეცადა ჩეჩნურ კონფლიქტში საქართველოს ჩართვას - ჩათრევას. ამ ომის შედეგად 1999 წელ საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ნაკადის (დაახლ. 8000 ადამიანი) შემოსვლისა და მათი პანკისის ხეობაში - ქისტებით დასახლებულ რაიონში განთავსების შემდგომ, პოლიტიკურ ძალებს ხელსაყრელი ნიადაგი შეექმნა ეთნოსთაშორის ურთიერთობებში შემდგომი დაძაბუ-

ლობის შესატანად. ჩეჩნების სახელთან ასოცირდა არაკონტროლირებადი მასობრივი მიგრაცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდა, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი.

ყოველივე ამან სტიმული მისცა დესტაბილიზაციის პროცესებს არა მარტო ჩეჩენ ლტოლვილთა კომპაქტური თავმოყრის არეალში, არამედ საშიშროება შეექმნა მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოებას.

ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად, საქართველოში ძალიან დიდია ადგილობრივი ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაჩენის და ქვეყნის საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნედ ქცევის საფრთხე. ბოლო პერიოდში ინტერნეტით გაჟღერდა ეთნიკური ქართველების მიერ ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების მუქარა, საქართველოში ტერორისტული აქტების ჩადენის შესახებ.

თანამედროვე საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიური ბაზა საფუძველს იღებს ისლამის შიიტური და სუნიტური რადიკალური, ფუნდამენტალური მიმართულებებიდან. აღნიშნული მიმდინარეობები აქტიურად ახდენენ საკუთარი იდეოლოგიის გავრცელებას, მის ბაზაზე ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციების შექმნას ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, კავკასიის, შუა და სამხრეთ აზიის რეგიონებში.

გამომდინარე თანამედროვე საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის მიერ განხორციელებული აქტების მზარდი ტენდენციიდან, საქართველოში ხელისუფლების ყველა დონის

წარმომადგენლებმა, მათ შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ასევე, ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა იცოდნენ რასთან აქვთ საქმე.

ისლამური ტერორიზმისგან დაზარალებული ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, ხელისუფლება, სპეცსამსახურები ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით, რეპრესიული კანონების მიღებით დაუპირისპირდნენ, ებრძოლონ რადიკალურ ისლამურ მოძრაობებს. ძალადობა კი ძალადობას წარმოშობს. ამიტომ საჭიროა იმ ფაქტორების გამოვლენა და კვლევა, რაც ხელს უწყობს საწყის ეტაპზევე პრევენციული ზომების გატარებას.

რადიკალური ისლამური მიმდინარეობებიდან ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და საშიშია რადიკალური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა ე.წ. ვაჰაბიზმი, რომლის მიმდევრები თავის თავს „სალაფიტებს“ (სუფთა ისლამი) უწოდებენ.

საქართველოში 1990-იან წლებში „სალაფიტური“ რადიკალური ისლამის გავლენის ქვეშ მყოფმა საქველმოქმედო და რელიგიურმა ორგანიზაციებმა ლტოლვილი, გაჭირვებული მოსახლეობს დახმარების საბაბით შეძლეს შემოსვლა და გარკვეული პოზიციების მოპოვება პანკისის ხეობაში. მათი რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 1994-1999 წლებში როდესაც ჩეჩნეთიდან დიდი რაოდენობით წამოსულ ლტოლვილების ნაკადს თან მოჰყვნენ სხვადასხვა ისლამური ქვეყნების, ასევე ცალკეული რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციების, ისლამური საერთაშორისო ფონდების ჰუმანიტარული მისიები. ისინი მოსახლეობას აქტიურად ეხმარებოდნენ მატერიალურად და პარალელურად სხვადასხვა გზით ავრცელებდნენ თავიანთ მოძღვრებას. კერძოდ, პანკისის ხეობაში „სალაფიტური“ ისლამის იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციებმა ააშენეს მეჩეთები, რადიკალური ისლამის ლიტერატურასთან

ერთად უფასოდ ავრცელებდნენ ყურანს და სხვა ისლამურ რელიგიურ ლიტერატურას.

გასულ პერიოდში საქართველოში დასავლური ქვეყნების მიერ ხორციელდებოდა სხვადასხვა რელიგიური, მათ შორის ქრისტიანული სექტების საქმიანობის წახალისება. აღნიშნულმა სექტებმა ჩვენს ქვეყანაში დააარსეს თავისი ფილიალები. ბევრი ადამიანი მოექცა მათი გავლენის ქვეშ, რადგან ერთის მხრივ, მოსახლეობა იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მეორეს მხრივ კი სულიერ კრიზისში, რაც დამახასიათებელი იყო ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის.

შესაბამისად რელიგიური საკითხიც გახდა იმის მიზეზი, რომ ქართული საზოგადოება, უფრო სწორად ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, რომელიც ადრე ქისტებში აღიქმებოდა ერთიან ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიურ ორგანიზმად, მათთვის გაუცხოებული აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ მთის მოსახლეობის ქართველებს მართლმადიდებლობასთან ერთად, ისევე როგორც ქისტებს ტრადიციული ისლამის ნორმებთან ერთად, შესისხლხორცებული ჰქონდათ მთის ხალხებისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები. მათი თანხვედრა აპირობებდა ქართველების ქისტებთან და ეთნიკურად სხვა მუსლიმან მოსახლეობასთან ფართო ურთიერთობებს. მარტო ის რად ღირს, რომ ქისტებით დასახლებულ სოფ. ჯოყოლოში დღესაც არსებობს ქრისტიანული ეკლესია და მას არავინ არაფერს ერჩის. პირიქით, სოფლის სოფლის ცენტრალური გზის ერთ მხარეს დგას მუსლიმანური მეჩეთი და მეორე მხარეს კი ქრისტიანული ეკლესია და შეიძლება ითქვას ისინი ერთმანეთს ხელს კი არ უშლიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ეს ფაქტი საქართველოს სინამდვილეში იშვიათი პრეცედენტია.

ქისტები მონაწილეობას იღებდნენ ქართულ საეკლესიო დღეობებში. ერთის მხრივ, ქრისტიანული სექტების მიერ მთის მოსახლეობისათვის ტრადიციულად უცხო რელიგიური ქცევის წესების შეტანამ ადგილობრივ ქართველ და ოს მოსახლეობაში და მეორე მხრივ, მზარდმა რადიკალურმა ისლამურმა პროპაგანდამ განაპირობა ქართული და ქისტური მოსახლეობის შიდა, მოსახმარი კულტურის კავშირების დაკარგვა, ერთმანეთის მიმართ გაუცხოების ელემენტის გაჩენა. ვგულისხმობთ მათი თანაცხოვრების ათწლეულების განმავლობაში არსებული, ჩამოყალიბებული ქცევის წესების, ურთიერთობის ფორმების, ტრადიციების მოსპობას.

ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, როცა ადამიანები ვეღარ იდენტიფიცირდებიან ეროვნულ სახელმწიფოსთან, ცდილობენ მოახდინონ იდენტიფიცირება უფრო ფართო მასშტაბით. ჩვენს შემთხვევაში მუსლიმანი მოსახლეობა ქისტების სახით ცდილობს მოახდინოს ისლამურ სამყაროსთან, ისლამურ ცივილიზაციასთან გაიგივება, რადგან თვლის, რომ მათი იდენტიფიცირების ქვაკუთხედი არა სახელმწიფოა, რომელშიც ცხოვრობენ, არა არსებული პოლიტიკური რეალობა, ან ენა, ან წარმოშობა, ან ეროვნულობა, არამედ საერთო რელიგია. ამიტომაა, რომ ისინი - ვაჰაბიტები ჩვენ - ტრადიციული ისლამის მიმდევრებს თავისიანებად არ გვთვლიან. ამიტომ ცხადია, რომ დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, თუ ისლამის რომელი მიმდინარეობის მისიონერებმა შეძლეს მათთან პირველებმა აგიტაცია-პროპაგანდის დაწყება და კავშირების დამყარება. ერთ-ერთი პირველები კი სწორედ „სალაფიტები“ იყვნენ.

ეს ზემოაღნიშნული მოვლენები დღესაცაა დამახასიათებელი პანკისის ხეობისათვის. იქ ახალგაზრდობა კვლავ

მოწყვეტილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას. პანკისის ხეობის ქისტი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი ვერ იღებს სათანადო განათლებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც მათ მისცემდათ საშუალებას მოეხდინათ ინტეგრირება დემოკრატიულ ფასეულობებზე აქცენტის ამღებ ქართულ საზოგადოებაში. ამიტომ საერო უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენილი, დაუსაქმებელი, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს მოწყვეტილი ახალგაზრდობა ავსებს ადგილობრივი რადიკალური ისლამური რელიგიის მიმდევართა რიგებს. ზოგიც ცალკეული ისლამური ფონდებისა დაფინანსებითა და მხარდაჭერით სასულიერო განათლების მისაღებად მიემგზავრება სხვადასხვა ისლამურ სახელმწიფოში არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში რადიკალური ისლამის განათლების მისაღებად.

დღეს საქართველოში სტაბილური სიტუაციაა, მაგრამ რას მოგვიტანს რადიკალური ისლამური მოძღვრების მიმდევართა რაოდენობის ზრდა მომავალში, კრიზისული პერიოდის დადგომის შემთხვევაში ძნელი მისახვედრი არაა. ამიტომ აუცილებელია მისი გავრცელების წინააღმდეგ ქმედითი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიება იქნება ქისტი და საერთოდ საქართველოში მცხოვრები მუსლიმანი არაქართველი ახალგაზრდებისათვის ქართული უმაღლესი სასწავლებლების კარების ფართოდ გაღება, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ევროპული და მეზობელი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის გამოცდილება, შევიმუშავოთ ამ ახალგაზრდებისათვის ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირების სწორი პროგრამები, რათა არ გავიმეოროთ სხვათა შეცდომები.

ასევე, აუცილებელია შევისწავლოთ და გამოვიყენოთ მუსლიმანი და ქართველი მოსახლეობის თანაცხოვრების ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქცევის წესების, ურთიერთობის ფორმების და ტრადიციების ის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობდა მათ მშვიდობიან თანაარსებობას, გავაანალიზოთ და მოვახდინოთ მათი დასავლურ სახელმწიფოებში, ასევე კავკასიაში სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან კავშირის დამყარება, მათი გამოცდილების გაზიარება-შეჯერება, კვლევების პროცესში მოძიებული ინფორმაციის გაცვლა და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება.

ყოველგვარი დრამატიზირების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ 20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული წაყრუების და შორიდან მაყურებლის როლში ხელისუფლებების ყოფნის გამო პანკისის ხეობაში ვითარება ჩიხში შევიდა და ამჟამად ახალგაზრდობის დაახლოებით 70 % რადიკალური ისლამის ანუ ვაჰაბიზმის მიმდევარია. თუ წარმოვიდგენთ, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი დაავადებულია და მისი ორგანული ნაწილი პანკისის ხეობა მკურნალობას საჭიროებს. ისმის კითხვა, ვინ უნდა უმკურნალოს მას?

უნდა აღვნიშნოთ, რომ პანკისის კრიზისის პერიოდში ამ პროცესში ჩართული იყო სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა რესურსი, შინაგანი ჯარი, პოლიცია, სპეცსამსახურები, ადგილობრივი ხელისუფლება, რაიონული ხელისუფლება, გუბერნია და რაც მთავარია ადგილობრივი მოსახლეობა და უხუცესები. დღეს რასთან გვაქვს საქმე? დღესდღეობით პანკისის საკითხი მთლიანად გადაცემული აქვთ სპეცსამსახურებს.

ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია ეს ვითარება, მაგრამ როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ის მიმართულება, რასაც რადიკალურ ისლამს ვუწოდებთ - არასწორი სამომავლო გზაა, მაშინ პანკისელ მოსახლეობას უნდა შევთავაზოთ სხვა ალტერნატიული გზა და ამ გზაზე საზოგადოების დასაყენებლად რომელიღაც ადგილობრივ ძალას უნდა დავეყრდნოთ, რომელთანაც უნდა ვაწარმოოთ იდეოლოგიური საქმიანობა. ამ კუთხით მუშაობა ფაქტიურად არ მიმდინარეობს. რაიონული ხელისუფლება, ადგილობრივი მმართველობა, გუბერნია, მაჟორიტარი დეპუტატი - ამ სტრუქტურებს აღნიშნული საკითხი საერთოდ არ ეხებათ. ამას ემატება ისიც, რომ წლების განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ: აქამდე ერთ საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანებული ხეობის მოსახლეობა - ფშავლები, ოსები და ქისტები, რომლებიც ორ სასოფლო საბჭოში იყვნენ გაერთიანებულნი, ჭირიც და ლხინიც რომ ერთად ჰქონდათ, ახლა დაყვეს ეთნიკური ნიშნით ოთხ საკრებულოდ. გადიოდა წლები და გუშინ და გუშინწინ ძმურად მცხოვრები ხალხი, რომელთაც აქამდე ერთმანეთთან ყოველდღიური კომუნიკაცია ჰქონდათ, ამჟამად უცხონი აღმოჩნდნენ ერთმანეთისთვის - გაუცხოვების პროცესი დაიწყო. მას მოყვა კონფლიქტები რომლებიც ჩახშობილ იქნა, მაგრამ სამომავლოდ როდის წარმოიშვება ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

ზემოთ, როცა საზოგადოებისათვის ალტერნატიული გზის შეთავაზებაზე ვსაუბრობდით, ვახსენეთ, რომ ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს თუ რომელ ძალას უნდა დაეყრდნოს ხეობაში სახელმწიფოს ინტერესების გასატარებლად? რა თქმა უნდა ეს უნდა იყოს ტრადიციული ისლამი და მათი ხელმძღვანელი ორგანო „უხუცესთა კავშირი“, რომელმაც 2000 -

იან წწ. თვალსაჩინო როლი ითამაშა პანკისის კრიზისის მოგვარების საქმეში. ამ პროცესების დარეგულირების საქმეში ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი ადგილობრივი პროგრესული საზოგადოების ნაწილთან ერთად „ უხუცესთა კავშირი“ იყო. ხელისუფლებისა და „უხუცესთა კავშირის“ ერთობლივი ქმედების შედეგი იყო ის, რომ უსისხლოდ მოგვარდა პრობლემა, რასაც იმ პერიოდისთვის ვერავინ წარმოიდგენდა. ზემოთ წარმოდგენილი ძალზე მოკლე ისტორიაც კი თვალსაჩინოს ხდის იმ გარემოებას, რომ ხეობის მოსახლეობაში უაღრესად დიდია „უხუცესთა კავშირის“ როლი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ცხოვრობენ პანკისელი ქისტები. ეს ეხება სამართლის, ქორწილის, დაკრძალვის, რიტუალების, შერიგების, სტუმარ-მასპინძლობის და სხვა უამრავ საკითხს. ეს კანონები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დღესაც ხელშეუხებელია და ხალხი მას ენდობა. ამასთანავე, თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ხეობაში ქართული პოლიტიკის, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში სახელმწიფოს დასაყრდენი ისტორიულად უხუცესთა კავშირი იყო და დღესაც არის.

ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხეობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა ისტორიულ ტრადიციას უხუცესებთან მიმართებაში. აქცენტი გაკეთდა ბოლო პერიოდში წარმოჩენილ რადიკალურ რელიგიურ მიმდინარეობაზე - ვაჰაბიზმზე. ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ხეობაში ამ რელიგიური მიმდინარეობის გასაძლიერებლად და ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკის, თუმცა ძალზე მცდარი პოლიტიკის შედეგი იყო. „ვაჰაბიტები“ აკონტროლებენ ხეობას, ჩვენ კი ვაკონტროლებთ

„ვაჰაბიტებს“ - ამბობდნენ ნაციონალები. როცა ვამბობთ მიზანმიმართულიო, ამაში ვგულისხმობთ შემდეგს; „ვაჰაბიზმი“ თავისი არსით რადიკალური მიმდინარეობაა და ამასთანავე, მისი დოგმატიკა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქისტი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ, უფროს-უმცროსობაზე დაფუძნებულ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომლის ინსტიტუტიც ძალზე გამოკვეთილია ჩვენი ტრადიციების არეალში. თუ ეს ინსტიტუტი შეირყა, გამოდის რომ შეირყევა ჩვენი მეობაც. მ სააკაშვილის ვაინახი ხალხისადმი პიროვნული, ძალზე ნეგატიური დამოკიდებულების გამო ბოლო წლების განმავლობაში ყველაფერი გაკეთდა ამ მეობის განადგურებისა და ამოძირკვისათვის. ლაფანყურის ტრაგედიაც ამ „პოლიტიკის“ ერთ-ერთი გამოვლინება იყო. „ვაჰაბიზმისადმი“ ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ ყველანაირი პირობა შეუქმნეს ამ რელიგიურ მიმდინარეობას. ისინი ხელშეუხებელნი და პრივილეგირებულნი გახდნენ. საბედნიეროდ ეს ვითარება შეიცვალა მკვეთრად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. პანკისის ხეობაში ერთი მეორის მიყოლებით ჩამობრძანებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქცენტი „უხუცესთა კავშირზე“ გააკეთეს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მხარდაჭერა არ არის საკმარისი. ასეთი მხარდაჭერით პანკისში ვითარებას ვერ შემოვაბრუნებთ, რადგანაც დღეს სხვა მოთხოვნები დადგა დღის წესრიგში. იმისთვის, რომ ხალხში „უხუცესთა კავშირის“ მიმართ არსებული ავტორიტეტი შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ, საჭიროა მოსახლეობამ დაინახოს, რომ ეს ორგანიზაცია მთელი თავისი არსით ხალხის კეთილდღეობაზე არის ორიენტირებული, ხელისუფლების დახმარებითა და თანადგომით ახორციელებს პროექტებს, აგვარებს ადამიანთა

პრობლემებს, ამ პრობლემების მოგვარებაში ჩართულები არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და სხვა. ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციაში ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან 30 ხანშიშესული პიროვნებაა გაერთიანებული, რომელთაც ჭკუა ეკითხებათ ხეობაში. ცხადია, ამ ორგანიზაციას პენსიონერთა მოკრძალებული პენსიებით ძალზე უჭირს, მაშინ როცა ინგუშეთში, ჩეჩნეთში ასეთი ორგანიზაციები ფინანსდებიან, პროექტებს ახორციელებენ, მათ პრეზიდენტის სასახლეებში აპარტამენტები აქვთ დათმობილი. ჩვენ ასეთი მოთხოვნებისგან შორს ვართ, მაგრამ ცარიელი ხელებით ადრე თუ შესაძლებელი იყო ახლა ხომ ვხედავთ, რომ საქმის კეთება შეუძლებელია.

რატომ ხდება მოზარდი თაობის, ახალგაზრდობის რადიკალიზმისკენ სწრაფვა, რა არის ამის მიზეზი? ცხადია, როცა რაიმე პრობლემაზე ვმსჯელობთ, უნდა ვეძიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია პანკისის ხეობაში არის საკმაოდ შეკრული, ორგანიზებული ორგანიზაცია, რომელსაც უდიდესი კავშირები, უზარმაზარი ფინანსური რესურსები გააჩნია. როგორ და საიდან შემოდის ეს რესურსები, სრულიად გასაიდუმლოებულია. ხდება ამ რესურსების მიზნობრივი გამოყენება: კერძოდ, რადიკალური ისლამის სწავლებაში კარგი მასწავლებლების წახალისება, გაჭირვებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ რიგებს შეავსებენ, ის კი არა, ხშირად მედრესეებში სიარულისთვისაც უხდიან ზოგიერთებს. ე.ი. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად გაიდგას ფესვები რადიალურმა ისლამმა. აშკარა და თვალშისაცემია ტრადიციებისა და შარიათის კანონების დაპირისპირება, რაც გამოიხატება დაკრძალვის,

ქორწინების და სხვა ყოველდღიური ცხოვრებისეული მომენტების შეცვლის მცდელობაში. ისტორიულად ცნობილია ქისტური სამართლისა და სასამართლოს შესახებ. ამ ბოლო პერიოდისათვის აშკარა მცდელობები და ხშირ შემთხვევაში შარიათის კანონებით სხვადასხვა საკითხების განხილვა და სხვა. ცხადია, ძალოვანმა სტრუქტურებმა იციან საიდან მარაგდებიან ისინი ფინანსებით, ამას ჩვენც ვგრძნობთ, მაგრამ რატომ სდუმან, რატომ არ მოქმედებენ? რჩება შთაბეჭდილება თითქოს არ გააჩნიათ სურვილი პრობლემის რაიმე სახით მოგვარებისა და საზოგადოებაში დაგროვილი უამრავი კითხვა პასუხის გარეშე რჩება. და ასეთ ვითარებაში ამ უზარმაზარი მანქანის წინაშე, რომელსაც უდიდესი ფინანსები გააჩნია და მაგნიტივით იზიდავს ახალგაზრდობას, რა შეუძლია ცარიელი ხელებით, მხოლოდ წარსულისა და წინაპართა მიერ დატოვებული ავტორიტეტის ამარა დარჩენილ „უხუცესთა კავშირს“ და საქართველოში უმაღლეს განათლებამიღებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც დაუსაქმებლობის გამო ან არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლეს, ან სალფიტების რიგები შეავსეს, ან კიდევ საზღვარგარეთ წავიდნენ უკეთესი ბედის საძიებლად?

მაშინ, როცა პანკისის ხეობაში აშკარად იკვეთება სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესები, იქმნება მსოფლიოში ცნობილი ტერორისტული თუ სხვა სახელმწიფოთა საიდუმლო ორგანიზაციების ფილიალები სხვადასხვა სახით, აშკარაა რუსული ინტერესები ამიტომ პანკისის ვაჰაბიზმშიც ერთიანობა არ არის, თუმცა ზოგადად ისინი მუსლიმი ძმები არიან და ერთმანეთს უჭერენ მხარს.

როცა პანკისის ხეობაში უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ვითარების გამომწვევ მიზეზებზე ვსაუბრობთ, უპირველესად ხაზი უნდა გავუსვათ ადგილობრივი მოსახლეობის

უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ხეობა ყველაზე მცირემიწიანი რეგიონია, სადაც ძირითად სოფლებში განაწილებული მიწა თითოეულ კომლზე სულ 0,5 ჰექტარია, ამასთანავე რეზერვი საერთოდ არ გააჩნია. ხეობაში არ არსებობს არც ერთი კერძო საწარმო. აქამდე არსებობდა ხის დამამუშავებელი საამქროები, მაგრამ ხე-ტყე გაიზიდა, განადგურდა და საწარმოებიც დაიხურა. რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრემიერ მინისტრის ვიზიტისას მთელი ქვეყნის გასაგონად ითქვა, რომ ხეობაში არსებული უნიკალური დიაბაზის საბადოს დამუშავება დაიწყებოდა. ეს საბადო ორ ნაწილად არის დაყოფილი და ორი ჯგუფი ფლობს მის ლიცენზიას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მის დამუშავებას. როცა საუბრობენ ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოზე, საპარტნიორო ფონდზე და სხვადასხვა პროექტებზე, თუნდაც „აწარმოე საქართველოში“ პროექტზე, თუ სხვადასხვა კუთხეებში ხდება ასეთი პროექტების განხორციელება, რატომ არ ხდება პანკისში, ამ ყველაზე მეტად მტკივნეულ ადგილას ელემენტარული თუნდაც მიზერული ინვესტიციის ჩადება იმისათვის, რომ სათქმელი მაინც ჰქონდეთ, აი ერთი საწარმო მაინც ავამუშავეთო. ხეობაში არსებული სხვა პოტენციალის გამოყენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც ტურიზმის განვითარების კუთხით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი ტრადიციული ისლამის შესუსტებისა გახლავთ ის, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა რელიგიური განათლება მიიღო საუდის არაბეთსა და არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებში. ტრადიციული ისლამის მიმდევრები განათლების საკითხში აშკარად ჩამორჩნენ და დღეს, როცა ვსაუბრობთ ტრადიციული ისლამის გაძლიერებაზე, ამ საკითხის წარმატება

სწორედ განათლებაზე გადის. უნდა მომზადდეს ახალგაზრდები უმაღლესი რელიგიური განათლებით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა აზერბაიჯანში, არა თურქეთში, განსაკუთრებით არა არაბულ სამყაროში, არამედ ინგუშეთში, ჩეჩნეთში, რადგანაც აქაური მუხტია საჭირო იმისათვის, რომ შეჩერდეს არაბიზაციის პროცესი. დიახ, სწორედ ეროვნული მუხტის გაღვივებით უნდა მოხდეს დანერგვა იმ ნამყენისა, რომლის საფუძველიც და მკვებავიც წინაპრების მიერ გაკვალული გზა და დაღვრილი სისხლი იქნება.

რა უნდა გაკეთდეს ასეთი ვითარებიდან პანკისის ხეობის გამოსაყვანად და რელიგიური განათლების გარდა, მინდა ხაზი გავუსვა იმას, საკითხს სჭირდება კომპლექსური მიდგომა, რომ ერთი რომელიმე სამინისტრო, ან უწყება უძლურია აღნიშნული პრობლემა მოაგვაროს:

1. უპირველესად მიგვაჩნია, რომ პრემიერ მინისტრმა უნდა დანიშნოს თავისი წარმომადგენელი პანკისის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ ამ ხეობის პრობლემებზე იმუშავებს. ამასთან მოხდება აკუმულირება პანკისთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და იგი მიაწვდის და საქმის კურსში ჩააყენებს პრემიერს ყველა საკითხთან დაკავშირებით პანკისთან მიმართებაში.

2. პანკისის პრობლემის მოგვარების საქმეში თვალსაჩინო როლს ითამაშებს საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბებული კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელმაც პანკისის საკითხზე უკვე მოამზადა პროექტი.

3. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ხეობაში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს

მშვიდობიანი და არანაირად არ უნდა ეფუძნებოდეს რადიკალური, რეპრესიული ზომების გატარებას.

4. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ყოფილმა პრემიერ მინისტრმა პანკისში ყოფნისას დაანონსა საკითხი პანკისის ხეობის „უხუცესთა კავშირის“ და ახალგაზრდული ფრთის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე. როგორც ჩეჩნეთში, ასევე ინგუშეთში პრეზიდენტების მიერ ჩამოყალიბებულია უხუცესთა საბჭოები, ისინი თვალსაჩინო როლს ასრულებენ ამ რესპუბლიკების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვფიქრობთ პრემიერ მინისტრმა ამ კუთხით უნდა წარმართოს თავისი მუშაობა, რადგანაც აღნიშნული კავშირისა და პროგრესული ახალგაზრდობის შესაძლებლობების გამოყენება სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს.

5. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიიღოს დადგენილება პანკისის ხეობის სოციალ-ეკონომიკურ განვითარების შესახებ, რომელშიც გაწერილი იქნება საკითხებია:

ა) სოფელ ჯოყოლოში ადრე გათვალისწინებული სპორტკომპლექსის მშენებლობა;

ბ) ალაზნის ნაპირგამაგრების შესახებ

გ) პანკისის ხეობაში მრავალფუნქციური შენობის ამოქმედება, რომელიც გამოყენებულ იქნება ხეობის სოფლების წარმომადგენლების შესაკრებად სხვადასხვა ღონისძიებებზე (ტევადობა 300-500 ადამიანი) კონცერტებსა და პანკისის ხეობაში მოწვეული პიროვნებების და სხვადასხვა კოლექტივების ღონისძიებების ჩასატარებლად, საბავშვო სექციების, სტუდიების, უცხო ენების შემსწავლელი კურსების, კომპიუტერის შემსწავლელი სექციების, შემოქმედებითი ჯგუფების ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული ცენტრი ხელს შეუწყობს

პანკისის ხეობის შიდა კონსოლიდაციას, კომუნიკაციის გაღრმავებას და ერთიანი საინფორმაციო კულტურული ველის ჩამოყალიბებას

დ) საერო დღესასწაულის „პანკისობა“ ორგანიზება, რომელიც ჩატარდება ყოველწლიურად. მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სხვა რეგიონები, ასევე საქართველოში მოქმედი რელიგიური გაერთიანებები. უნდა შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა და მოხდეს მონაწილეთა, განსაკუთრებით ადგილობრივი ხეობის წარმომადგენელთა პოპულარიზაცია.

ე) ტურიზმის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა.

ვ) სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა 30-მდე.

რელიგიის სააგენტომ

1. აუცილებელია გამოყოს სუბსიდიები ტრადიციული ისლამის მასწავლებლებზე, კარგი მოსწავლეების წახალისებისათვის. მათთან სისტემატიურად იმართებოდეს შეხვედრები და საუბრები ტარდებოდეს ისტორიაზე, გმირებზე, ქართულ-ვაინახურ ურთიერთობებზე და სხვა.

2. მართალია რელიგიის სააგენტომ ხეობაში ოფიციალურად დანიშნა ხუთ სოფელში იამამი, რომლებიც იღებენ ანაზღაურებას, მაგრამ ხუთი იმამი ხეობაში სიტუაციას ვერ შემოატრიალებს, ამიტომაც ასეთი საშტატო ერთეულების გასამმაგება უნდა მოხდეს. ცხადია ოფიციალურად დანიშნული იმამები კმაყოფილები იქნებიან და არიან კიდეც, მაგრამ, იმისათვის, რომ უფრო ქმედითი გახდეს მათი მუშაობა, აუცილებლად მიგვაჩნია კონტროლის მექანიზმის შემოღება. ამისათვის რელიგიის სააგენტომ როგორც ეს სხვა რეგიონებში

აქვს გაკეთებული, პანკისშიც უნდა დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კონტროლს გაუწევს იმამთა მუშაობის ქმედითობას პანკისში. სხვა შემთხვევაში რაიმე პოზიტიურ ძვრებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

3. სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის რელიგიის სააგენტო უნდა მსჯელობდეს ვითარების გამოსწორებაზე. ასეთი ორგანო მას ჰყავს რელიგიის სააგენტოში ჩამოყალიბებული ორგანოს „მრჩეველთა საბჭოს“ სახით, რომელშიც რატომღაც პანკისის ხეობის წარმომადგენლისთვის არ აღმოჩნდა ადგილი. ვფიქრობთ, რომ ეს ხარვეზი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას და ხეობის წარმომადგენელს უნდა შეექმნას შესაძლებლობა მრჩეველთა საბჭოში ხეობისათვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისა.

4. რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლის ხელმძღვანელობით უნდა ჩამოყალიბდეს სათათბირო ორგანო - „ხეობის იმამთა საბჭო“, რომელიც „უხუცესთა კავშირთან“ კოორდინაციაში, შეთანხმებული მუშაობით შექმნის ერთიან სამოქმედო გეგმას.

5. „უხუცესთა კავშირისა“ და „იმამთა საბჭოს“ ერთობლივი მუშაობით უნდა ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული ფრთა, იმ ახალგაზრდებისაგან დაკომპლექტებული, რომლებიც ტრადიციული ისლამის მიმდევრები არიან. სახელმწიფომ ამ ორგანოს გაძლიერებაზე უნდა გააკეთოს აქცენტი.

კულტურის სამინისტრომ

1. პანკისის ხეობაში უნდა შექმნას მოზარდთა ცეკვისა და სიმღერის სტუდია, რომელშიც ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან იქნებიან ბავშვები ჩართული

2. სამინისტრომ ჩვენი - „უხუცესთა კავშირის“ თხოვნით შექმნა პროექტი - მემორიალი, ქისტი და ქართველი ხალხის

მეგობრობის სიმბოლოდ - ჯოყოლასა და ზვიადაურის ძეგლთან ერთად ეთხოვოს პრემიერ-მინისტრს გამოყოს თავისი ფონდიდან თანხა ამ მემორიალის დასაფინანსებლად.

3. კულტურის სამინისტრომ უნდა გააფართოვოს და სერიოზული შესაძლებლობები შეუქმნას ხეობაში ამჟამად არსებულ ერთადერთ ეთნოგრაფიულ ანსამბლს.

4. კარგი საქმე გააკეთა დაბალგორის მემორიალის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიყვანა, ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

განათლების სამინისტრო განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაწეული მუშაობისთვის: პანკისელი სტუდენტებისთვის გრანტების რაოდენობის გაზრდა, სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების შემოღება, ასევე პანკისის სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, პროექტების დაფინანსება, რომელთა გაგრძელებასაც გვპირდებიან სამომავლოდაც.

5. სოფელ წინუბანში შეჩერებულია სკოლის მშენებლობის პროექტი. სკოლა კულტურის სახლში განაგრძობს ფუნქციონირებას.

და ბოლოს, აუცილებელია შემუშავდეს პანკისის ხეობის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელშიც ამ საკითხებთან ერთად სხვა საჭირბოროტო საკითხებიც იქნება გათვალისწინებული.

პანკისის ხეობა სახელმწიფოებრივი გამოწვევა - თუ ხელოვნური ორიენტირი

საარქივო ცნობებით ირკვევა, რომ ახმეტის რაიონი 1921 წლამდე ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი - ახმეტა, ალვანის მხარე თუშეთის ჩათვლით და პანკისის ხეობა - მიეკუთვნებოდა თიანეთის მაზრას, ხოლო მეორე ნაწილი - ქისტაური, ზემო ხოდაშენი, ოჟიოს მხარე - თელავის მაზრაში შედიოდა.

1921 წლიდან ახმეტა მთლიანად თავისი სოფლებით მიეკუთვნა ჯერ თელავის მაზრას, ხოლო მაზრების რეორგანიზაციის შემდეგ თელავის რაიონს. 1945 წლის იანვრიდან კი ახმეტის რაიონი გამოეყო თელავს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად (*ახმეტის მასალები. საქართველოს ეროვნული არქივის თელავის ფილიალის ფონდი #1*).

პანკისის ხეობაში მდებარე სოფლებში ძირითადად ეთნიკურად ქისტი (ვეინახური, ჩეჩნური) მოსახლეობაა კომპაქტურად განსახლებული. მათი რაოდენობა დღეისათვის დაახლოებით 5.700 მოსახლეს შეადგენს, რაც საქსტატის 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 0.2 % -ია (საქსტატი, 2016).

აღსანიშნავია, რომ დღემდე პანკისის ხეობის ქისტ მოსახლეობასა და სხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის რაიმე სახის ფართო მასშტაბის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია (ამ კონტექსტში ვერ განვიხილავთ ყოფითი პირობების გამო მომხდარი დაპირისპირებების ერთეულ შემთხვევებს).

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისი აისახა სრულიად საქართველოზე და ცხადია, პანკისის ხეობაზეც. საერთაშორისო საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც განიცდიდნენ რადიკალური ისლამური მიმდინარეობების გავლენას, ლტოლვილი და გაჭირვებული მოსახლეობის დახმარების საბაბით შეძლეს პანკისის ხეობაში დამკვიდრება.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში დიდი რაოდენობით ლტოლვილი გადმოვიდა. ხეობაში ლტოლვილების ნაკადის ზრდას მოჰყვა სხვადასხვა ისლამური ქვეყნების და ასევე „სალაფიტური“ ისლამის გავლენის ქვეშ მყოფი საერთაშორისო საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების, ჰუმანიტარული მისიების საქმიანობის ხელახალი გააქტიურება. „სალაფიტური“ ისლამის იდეოლოგიის მატარებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებით პანკისის ხეობაში აშენდა მეჩეთი. ამან საკმაოდ შეუწყო ხელი მშვიდობიანი, ტრადიციული ისლამის მიმდევარი ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, გადასვლას რადიკალური ისლამური მოძღვრების მიმდევრების რიგებში. დღესაც პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტი ახალგაზრდობა გარკვეულწილად მოწყვეტილია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას - მათი დიდი რაოდენობა ვერ იღებს სათანადო განათლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც მათ არ აძლევს საშუალებას მოახდინონ ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში. უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენილი, დაუსაქ-

მებელი ახალგაზრდობა ავსებს რადიკალური ისლამური რელიგიის მიმდევართა რიგებს, რასაც გასულ წლებში უკვე მოჰყვა პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების გადინება სირიაში საბრძოლველად (ბარქაია, ჯანელიძე, 2018, გვ. 117-123).

ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგომი გამოწვევებიდან მნიშვნელოვანია ქართველი და არაქართველი ახალგაზრდების ერთმანეთთან გაუცხოება. ამის უამრავი მიზეზი არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე აღვნიშნავთ ერთ-ერთს - 1990-იან წლებში საქართველოში დაიწყო სხვადასხვა რელიგიური (მათ შორის ქრისტიანული) მიმდინარეობების საქმიანობის გააქტიურება. აღნიშნულმა მიმდინარეობებმა ჩვენს ქვეყანაში დააარსეს თავისი ფილიალები. ბევრი ადამიანი მოექცა მათი გავლენის ქვეშ. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, მეორეს მხრივ, კი - სულიერი კრიზისი. მსგავსი ვითარება დამახასიათებელი იყო სოციალისტურ იდეოლოგიაზე აგებული სახელმწიფოს დანგრევის შემდგომ პერიოდში ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის.

საბჭოთა პერიოდში გამეფებული ათეიზმის მიუხედავად, პანკისის ხეობის ეთნიკურად ქისტი მოსახლეობა ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას აღიქვამდა ქრისტიანად, მაგრამ არა მტრად. გარდა ამისა, ქისტებს და ქართველებს შეთვისებული ჰქონდათ კავკასიის მთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი საერთო წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. ადრე ქისტები მონაწილეობასაც კი იღებდნენ ქართულ საეკლესიო დღესასწაულებში. დღესაც არის შემორჩენილი ქრისტიანული ეკლესია პანკისის ხეობის ქისტებით დასახლებულ სოფელ ჯოყოლოში.

პანკისის ხეობაში მცხოვრები სალაფიტური ისლამის მიმდევარი ქისტები, რომელთა რაოდენობა ბოლო წლებში

საკმაოდ გაიზარდა, უარყოფენ ტრადიციული ისლამის ნორმებთან შერწყმულ ადგილობრივ ტრადიციებს, ადათებს, მთის ხალხებისათვის საერთო კავკასიური ტრადიციების (ზიქრი, ნაციონალური ფოლკლორი და სხვა) დაცვას. ისინი შვილებს უკრძალავენ სიმღერას, ლექსების თქმას, ცეკვას, სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობას. შესაბამისად, ნელ-ნელა ქრება პანკისის ხეობაში მოსახლე ქართული და ქისტური მოსახლეობის ხალხური მეხსიერება, იკარგება ეროვნებათშორისი კავშირები, კულტურული თანხვედრა, მივიწყებას ეძლევა მათი თანაცხოვრების პერიოდში ჩამოყალიბებული ქცევის წესები, ურთიერთობის ფორმები, ტრადიციები.

1990-იანი წლების დასაწყისამდე საქართველოში მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია ჩვენი ქისტი თანამოქალაქეების შესახებ (აქ არ იგულისხმება სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები). ახმეტისა და თელავის რაიონების გარდა ცოტამ თუ იცოდა, რომ ქისტები ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსს, რელიგიას და კულტურას წარმოადგენდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ქისტები ყველაზე მეტად ინტეგრირებულ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ საქართველოში და რაც მთავარია არასდროს არ ცდილობდნენ საქართველოსგან გამიჯვნას და ეთნიკურ-რელიგიური პრეტენზიების წინა პლანზე წამოწევას. ქისტები მოწიწებით ინარჩუნებდნენ მამა-პაპათაგან გადმოცემულ წეს-ჩვეულებებს, საკუთარ კულტურულ იდენტობას და ამავდროულად სიყვარულით და პატივისცემით ცდილობდნენ საქართველოში საზოგადოებრივ ინტეგრაციას. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს რესპოდენტმა განაცხადა „მე ძალიან გვიან 1990-იან წლებში გავიგე, რომ ქისტი ვარ და ის, რომ ქისტი ქართველი არ

არის". სხვა ეთნიკური უმცირესობებისგან განსხვავებით ქისტები საუკეთესოდ სწავლობდნენ ქართულ ენას, ცდილობდნენ მაქსიმალურად კარგი ურთიერთობები დაემყარებინათ ხეობაში თუ მის მიღმა მცხოვრებ ქართველებთან. ისმის კითხვები - მაშ რა მოხდა 1990-იანი წლების დასაწყისში და რატომ აღმოჩნდა პანკისის ხეობა და მისი ქისტი მოსახლეობა ესოდენ დიდი „უარყოფითი" კონტექსტით ცნობილი? რატომ ასოცირდებოდა (და დღემდე იწვევს ამ ასოციაციას) კრიმინალთან „პანკისი" და ქისტი? რატომ გაცივდა ურთიერთობები ქართველებსა და ქისტებს შორის? რას აკეთებდა სახელმწიფო ამ პროცესის შესაკავებლად? რატომ დაიწყეს ქისტებმა რელიგიური რადიკალიზმის ქვეშ გაერთიანება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა ქართველი და კავკასიელი ხალხების გაუცხოების მიზეზების, მუსლიმანი და ქართველი მოსახლეობის ასწლეულების განმავლობაში მშვიდობიანი თანაცხოვრების დროს ჩამოყალიბებული ქცევის წესების, ტრადიციული ურთიერთობების ფორმების შესწავლა-გაანალიზება. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ცენტრალურმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ - კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციამ, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორებმა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა. განსაკუთრებული უნდა იყოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილიც, რადგან იგი რეგიონში ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა და მისი კვლევების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს პანკისის თემატიკა.

თელავში ოთხმოცი წელია არსებობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარსულში პედაგოგიური ინსტიტუტი), რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე უმთავრესად კახეთის რეგიონის მოსახლეობას ემსახურება. ეს მას საშუალებას აძლევს გაუმკლავდეს პანკისის ხეობის ირგვლივ არსებულ არაერთ გამოწვევას და სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო აქტივობებით სახელმწიფოს და ადგილობრივ საზოგადოებას შესთავაზოს პრობლემების გადაჭრის გზები. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ერთი მხრივ, გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანადგომით დაფუძნებული ,,კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ სახით და მეორეს მხრივ, ჰყავს ისეთი აკადემიური პერსონალი, რომელიც ადგილზე უშუალო შეხებაშია ზემოდასახელებულ პრობლემებთან. ისინი ჩართულნი არიან ეროვნული და რელიგიური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიების მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების ხელისუფლებასთან მიტანის საქმეში და პირადად იცნობენ მოსახლეობის იმ ფენებს, სადაც რადიკალური ისლამის გავრცელების საფრთხე პოტენციურად არსებობს.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

კვლევის მიზნად დავისახეთ, ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად გარკვეული გზების მოძიება და საზოგადოებისთვის შეთავაზება. ამისთვის აუცილებელი გახდა ქისტი და ქართველი მოსახლეობის თანაცხოვრების განმავლობაში არსებული ურთიერთობის, ტრადიციების იმ

ნორმების შესწავლა, რომელიც ხელს უწყობდა მათ მეგობრულ თანაარსებობას.

ჩვენი კვლევის სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ზემოაღნიშნული საკითხების კვლევის პროცესში ხდება ქართველი და ქისტი მოსახლეობის დროთა განმავლობაში მიცვიწყებული საერთო ტრადიციების, ადათების, ქცევის ნორმების, ახლო კულტურული და ნათესაური კავშირების გამორკვევა და პოპულარიზაცია, რაც ხელს უწყობს ქართველებსა და ქისტებს შორის გაუცხოების პრობლემის აღმოფხვრას. მეორეს მხრივ, ასეთი მიდგომით აღნიშნული საკითხი თანამედროვე ქართველ და უცხოელ მკვლევარებს არ აქვთ გამოკვლეული, რაც თავისთავად მეტყველებს ჩვენს მიერ დასახული კვლევის როგორც მეცნიერულ, ასევე პრაქტიკულ ღირებულებაზე.

კვლევის შედეგის გათვალისწინებით კონკრეტული სარგებლის მიმღები იქნება პანკისის ხეობის ქისტი ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში და საერთოდ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმას, დასაქმებას. ინტეგრირებული, განათლებული, დასაქმებული ადამიანების რიცხვის ზრდა გააუმჯობესებს პანკისის ხეობის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. გარდა ამისა, სასარგებლო შედეგს მიიღებს მთლიანად საქართველოს საზოგადოება, რადგან ცალკეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაახლოება და მათი ინტეგრაცია ქართულ საგანმანათლებლო, სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების და მომავალში ერთიანი, ძლიერი საქართველოს არსებობის საწინდარია.

კვლევის მეთოდები და სტრუქტურა

ჩვენ მიერ დასახული კვლევის მიზანი მოითხოვდა კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას, ვინაიდან თანაბრად საჭირო იყო ისტორიული მასალის, უკვე არსებული კვლევების და თანამედროვე პრობლემატიკის შესწავლა.

გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: პანკისის ხეობაში პირველადი მასალების და ზეპირი ისტორიების შესაგროვებლად განხორციელდა ინფორმაციული/სოციოლოგიური კვლევა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150-მა ახალგაზრდა ეთნიკურად ქისტმა მოქალაქემ. გარდა ამისა, ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ ხეობაში განსახლებული ქისტი მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი ქართულ მოსახლეობასთან კეთილმეზობლური ურთიერთ-დამოკიდებულების მაგალითების გამორკვევის მიზნით. ასევე მოხდა ფოლკლორული მასალების (მითები, ზღაპრები) და ზეპირი ისტორიების მოძიება-ჩაწერა. განხორციელდა შედარებითი ანალიზი საარქივო მასალისა და ზეპირი გადმოცემების. მოკვლეულ იქნა ქისტებისა და ქართველების ერთად თანაცხოვრების პერიოდში კრიზისული სიტუაციების, საბჭოთა რეპრესიების თუ მშვიდობიან ვითარებაში წარმოშობილი სხვადასხვა სახის პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრის მაგალითები. შესწავლილ იქნა საქართველოს ეროვნული არქივის კახეთის ფილიალში დაცული საარქივო მასალები და უკვე ჩატარებული კვლევები.

პანკისის ხეობის ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

2019 წლის სექტემბერ-ნოემბერში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პანკისის ხეობის მოსახლეობის:

- მოსაზრების დადგენას ახალგაზრდების პერსპექტივებთან დაკავშირებით;
- საჭიროებების განსაზღვრას;
- მათ წინაშე არსებული სირთულეების იდენტიფიცირებას;
- არსებული სირთულეების გადაჭრის გზების დადგენას.

კვლევის მიზნის განხორციელებისთვის დაიგეგმა აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში ანკეტირების ჩატარება. შევიმუშავეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა 17 კითხვისგან. მასში დასმული იყო როგორც ღია და დახურული, ასევე ნახევრად დახურული ტიპის კითხვები.

კვლევის სუბიექტი იყო პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკურად ქისტი მოსახლეობა. რესპოდენტების ასაკი განსხვავებული იყო. მათგან 61% იყო 17-დან 25 წლამდე, 31% - 26-დან 33 წლამდე, 7% 34-დან 40 წლამდე, ხოლო 1% - 41 და მეტი წლის. კვლევის სუბიექტები იყვნენ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები. მათგან მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 26%, ხოლო მდედრობითის - 74%. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150-მა ეთნიკურად ქისტმა მოქალაქემ.

ანკეტირების დაწყებისას სამიზნე ჯგუფს გავაცანით კითხვარის შევსების წესი და ამის შემდეგ მათ ინდივიდუალურად შეავსეს კითხვარები.

რესპოდენტების პასუხებიდან გაირკვა, რომ მათი უმრავლესობის (35%-ის) მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს წარმოადგენს სრული საშუალო განათლება. კვლევის სუბიექტების 27%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო 18%-ს მიღებული აქვს არასრული უმაღლესი განათლება. ამ უკანასკნელ ჯგუფს წარმოადგენენ მოქმედი ან სტატუს შეჩერებული სტუდენტები. გამოკითხულთა 8% პროფესიული განათლებით არის. რესპოდენტების ნაწილს მიღებული აქვს არასრული საშუალო განათლება. მათგან 8%-ს დამთავრებული აქვს საბაზისო განათლება, 3%-ს კი - მხოლოდ დაწყებითი განათლება. გამოკითხულთა მხოლოდ 1% არის დაწყებითი განათლების გარეშე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. რესპონდენტების მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის პროცენტული განაწილება.



პანკისის ხეობას თუ შევადარებთ საქართველოს სხვა მაღალმთიანი რეგიონების უმრავლესობას, დაახლოვებით იგივე სიტუაციას მივიღებთ. განათლების მიღების კუთხით განსხვავებული სურათი აქ არ გვხვდება. მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში მთავრობის ხელშეწყობით

7-დან 14-მდე გაიზარდა უმაღლესი განათლების გრანტების ბენეფიციარების რაოდენობა პანკისის ხეობიდან.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის უმრავლესობა (82%) თვლის, რომ პანკისის ხეობაში ახალგაზრდა ადამიანებისთვის არსებული პერსპექტივა არ არის დამაკმაყოფილებელი. მხოლოდ 12% თვლის არსებულ სიტუაციას დამაკმაყოფილებლად. რესპოდენტთა პასუხებიდან გამომდინარე მათ დაასახელეს უპერსპექტივობის მიზეზები და არსებული პერსპექტივები. გაირკვა, რომ:

- არის საგანმანთლებლო ცენტრები/სპორტული დარბაზი - 33%
- სხვადასხვა აქტივობები - 33%
- თექის შემსწავლელი კურსები -13%
- სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს იყვნენ პერსპექტიულები - 7%
- არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან ახალგაზრდებს ბიზნესპროექტების განვითარებაში - 7%
- ზოგადად არსებობს პერსპექტივა, თუმცა არის პრობლემები - 7%

რესპოდენტებმა, რომელთა აზრითაც პანკისში ახალგაზრდებისათვის არსებული პერსპექტივები არადამაკმაყოფილებელია, დაასახელეს სხვადასხვა პრობლემა:

- უმუშევრობა - 31%
- სამუშაო ადგილების არ არსებობა - 29%
- არანაირი პერსპექტივის არსებობა ხეობაში - 21%
- ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზების შეუძლებლობა - 15%
- მძიმე ეკონომიური/ფინანსური მდგომარეობა - 3%

• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საგანმანათლებლო ცენტრის არ არსებობა - 1%.

იმის დასადგენად, თუ რა როლი აკისრია სახელმწიფოს არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, დაისვა კითხვა რამდენად შეიძლება ხეობაში არსებულ გამოწვევებს მხოლოდ სახელმწიფო დაუპირისპირდეს. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა უმეტესობა (35%) ხეობაში არსებული პრობლემების გადაჭრას მხოლოდ სახელმწიფოსგან არ ელის. თუმცა გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი გამოწვევების წინააღმდეგ მოქმედ ერთადერთ მხარედ სახელმწიფოს განიხილავს. აქვე უნდა ითქვას, რომ რესპოდენტების 25%-ს არ აქვს აღნიშნულ კითხვაზე პასუხი, ხოლო 12%-ს უჭირს პასუხის გაცემა ანუ ჯამში 37 % -მა არ იცის გამოსავალი სად ეძებოს.

უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში ზოგადად მაღალია და 2018 წლის მონაცემებით 12,7%-ს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 2) (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba). ბოლო წლების უმუშევრობის მაჩვენებელი კლებისკენ მიდის და ამ კუთხით სტატისტიკა იმედის მომცემია. მაგრამ ვინაიდან დასაქმება ისეთი პრობლემაა, რომელიც მყისიერად იგრძნობა თითოეულ მოქალაქეზე ჩანს, რომ პანკისელებს ჯერ ეს საკუთრ თავზე არ უგრძვნიათ.

ცხადია, რომ პრობლემების დიდი ნაწილი მართლაც უმუშევრობას უკავშირდება. დასაქმებული ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების გაზრდაზეა ორიენტირებული და მუდმივ სამყოფელ ადგილზე ცდილობს მეტი დოვლათის შექმნას, თუ ამის პერსპექტივა არსებობს.

ცხრილი 2. დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი საქსტატის მონაცემების მიხედვით

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2
უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7

(https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba)

გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ პანკისის ხეობაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია მათი მხრიდან სამოქალაქო, საჯარო და ბიზნეს სექტორში აქტივობა, უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღება. მათი უმრავლესობა თავის როლს სამოქალაქო აქტივობასა (35%) და უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღებაში (29%) ხედავს. რესპოდენტების 5% კი მიიჩნევს, რომ ყველა მიმართულებით არის საჭირო მისი ჩართულობა. 6%-ს გაუჭირდა საკუთარი როლის განსაზღვრა ხეობაში არსებული პრობლემების დაძლევის პროცესში (იხ. ცხრილი 3).

პანკისის წარმომადგენლებთან საუბრისას (ინტერვიუების დროს) ჩვენს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივას - ადგილზე, პანკისის რომელიმე სოფელში, დაფუძნებულიყო

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განახორციელებდა სოფლის მეურნეობის მიმართულების, საქთნო ან ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამებს, დიდი მხარდაჭერა ხვდა წილად. ყველა ასაკის მოქალაქემ დაადასტურა, რომ მსგავსი რესურსის გაჩენა ერთის მხრივ საგანმანათლებლო დანიშნულებას შესძენდა ხეობას, მეორეს მხრივ ალაპარაკდნენ ამ პროფესიებში არსებულ კვალიფიციური პერსონალის დეფიციტზე.

ცხრილი 3. კითხვა: თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს თქვენი როლი პანკისის ხეობაში არსებული პრობლემების დაძლევაში?



უნდა აღინიშნოს, რომ ქისტები ძალიან კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას (მშობლიური ენის რანგშიც კი) და ასევე გამოირჩევიან მიზანდასახულობით, მათი მცდელობა სწავლის გაგრძელების მიმართულებით უმეტესწილად წარმატებით მთავრდება და ირიცხებიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებულები არიან.

საინტერესოა აგრეთვე პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების მიგრაციის მიზეზების დადგენაც. კვლევამ ცხადყო, რომ მიგრაციის ძირითად მიზეზს უმუშევრობა წარმოადგენს. დასახელებულ იქნა სხვა მიზეზებიც, როგორიც არის უპერსპექტივობის განცდა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო და განათლების მიღების სურვილი. საყურადღებოა აქვე ის ფაქტი, რომ განათლების მიღების სურვილით მხოლოდ 1% ტოვებს ხეობას (იხ. ცხრილი 4). აქ საკითხი მეტ გააზრებას საჭიროებს. 1% ძალიან დაბალი მაჩვენებელია, მაშინ როცა მათი დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლების მიღების შესაძლებლობა ხეობაში არსებულ პრობლემებს გარკვეულწილად მოაგვარებდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ განათლება მიღებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შესაძლოა აღარც დაბრუნდეს ხეობაში საცხოვრებლად. ეს საფუძველს შექმნის იმისას, რომ ხეობაში ძირითადად შესაძლებლობებს მოკლებული მოსახლეობა დარჩეს, რომელთა განვითრების პერსპექტივაც სარისკოდ დაბალია.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერების უმთავრესი პირობაა მეტი სამუშაო ადგილების არსებობა. ამ მოსაზრებას იზიარებს რესპოდენტების 49%. გამოკითხულთა 28% მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაც. 15% თვლის, რომ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა მიგრაციას შეაჩერებს. რესპოდენტთა 8% ზევით დასახელებულ ყველა ფაქტორს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და თვლის, რომ თითოეული მათგანი საჭიროა პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების გადინების შესაჩერებლად.

ცხრილი 4. კითხვა: როგორ ფიქრობთ რა იწვევს ახალგაზრდების მიგრაციას პანკისის ხეობიდან?



კვლევის შედეგების ანალიზმა ერთის მხრივ გვიჩვენა, რომ განათლების მიღება ძალიან იშვიათად ხდება მიგრაციის მიზეზი (იხ. ზევით ცხრილი 3), მეორეს მხრივ გამოკვეთა, რომ რესპოდენტთა 71%-სთვის უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღება აუცილებელია მეტი პერსპექტივის განცდისთვის. პერსპექტივის განცდისთვის უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღების ნაწილობრივი საჭიროება დააფიქსირა გამოკითხულთა 19%-მაც. მხოლოდ 5% თვლის, რომ პერსპექტიულობის განცდას განათლებასთან კავშირი არ აქვს (იხ. ცხრილი 5).

რესპოდენტთა 65% თვლის, რომ მხოლოდ სასკოლო განათლებით წარმატებას ვერ მიაღწევს. აღნიშნულ საკითხზე საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოკითხულთა 18%-ს, ხოლო 9% თვლის, რომ ნაწილობრივ საკმარისია. რესპოდენტთა მცირე

ნაწილს არ აქვს ან უჭირს პასუხის გაცემა მოცემულ კითხვაზე (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 5. როგორ ფიქრობ რამდენად აუცილებელია უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღება იმისთვის, რომ მეტი პერსპექტივის განცდა გქონდეთ?



ცხრილი 6. როგორ ფიქრობთ, სასკოლო განათლება საკმარისია თუ არა თქვენი მომავალი წარმატებისთვის?



კითხვაზე, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ მეტ პანკისელ ახალგაზრდას ჰქონდეს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების შანსი, რესპოდენტებმა სხვადასხვა ფაქტორები დაასახელეს. მათ შორის არის:

- ფინანსური შესაძლებლობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება - 21%
- მეტი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან - 15%
- მოტივაცია - 12%
- ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება - 11%
- მიჭირს პასუხის გაცემა - 11%
- მეტი ახალგაზრდის დაფინანსება - 6%
- განათლების მიღების სურვილი - 5%
- ადგილზე (პანკისშივე ფუნქციონირებდეს კოლეჯი) პროფესიის მიღება - 5%
- დასაქმების ადგილების შექმნა (თუ ეცოდინებათ, რომ განათლების მიღების შემდეგ დასაქმებაზე არ შეექმნებათ პრობლემა, უფრო დაინტერესდებიან განათლების მიღებით) - 4%
- მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამებში - 3%
- სწორი აღზრდა - 3%
- არ დგას პანკისში განათლების მიღების პრობლემა - 3%
- შრომის მოყვარეობა/მიზანდასახულობა - 1%
- ხეობაში არსებული სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - 1%
- საქართველოს მასშტაბით უფასოდ შეეძლოთ სწავლა ყველა უნივერსიტეტში - 1% .

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, პანკისის ეთნიკურად ქისტი მოსახლეობა სხვადასხვა ფინანსური საკითხის მოგვარებასთან ერთად, ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების საჭიროებასაც ხედავს.

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდების დასაქმებას პანკისის ხეობაში გარკვეულწილად შესაძლებლად მიიჩნევს. მხოლოდ 14% თვლის, რომ მათი რეალიზება პანკისის ხეობაში შეუძლებელია. ამ საკითხზე პასუხის გაცემა რესპოდენტთა 5% -ს გაუჭირდა (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღების შემდგომ თქვენი რეალიზება პანკისის ხეობაში?



რესპოდენტებმა დააფიქსირეს თავისი აზრი სამოქალაქო სექტორის როლსა და ჩართულობაზე პანკისის ხეობაში სოციალური და პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით. მათი აზრით, სამოქალაქო სექტორმა უნდა:

- ჩაატაროს სხვადასხვა აქტივობები ხეობაში;
- უზრუნველყოს თემის პრობლემების წინ წამოწევა, რათა ბოლო მოეღოს დეზინფორმაციებს;

- უზრუნველყოს ხშირი შეხვედრები მოსახლეობასთან;
- განახორციელოს აქტიური ჩართულობა პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში;
- იზრუნოს წარმოების განვითარებაზე;
- უზრუნველყოს ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვა;
- იზრუნოს ტურიზმის განვითარებაზე;
- დაასაქმოს ახალგაზრდები;
- აკონტროლოს სახელმწიფო, რათა არ გადაუხვიოს დემოკრატიულ კურსს;
- ჩაატაროს მეტი კვლევები; სტატისტიკა მნიშვნელოვანია.

გარდა ზევით დაფიქსირებული პასუხებისა, რესპოდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ გაუჭირდებათ სამოქალაქო სექტორის როლის განსაზღვრა სოციალური და პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების პროცესში. გამოკითხულთა ნაწილი საკითხის სირთულეს უსვამს ხაზს, ნაწილი კი - ამბობს, რომ არ იცის სამოქალაქო სექტორის მოვალეობები.

კითხვაზე, რამდენად არის შესაძლებელია ბიზნესის ჩართულობით მოხდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რაც საინტერესოს გახდის პანკისის ხეობას ახალგაზრდებისთვის, რესპოდენტების დიდ უმრავლესობას დადებითი პასუხი აქვს. გამოკითხულთა 20% კი მიიჩნევს, რომ ბიზნესს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს აღნიშნულ საქმეში (იხ. ცხრილი 8).

ბიზნესის დაინტერესება პანკისის ხეობით და მისი ჩართვა პანკისში არსებული უმუშევრობის დაძლევის მიზნით საკმაოდ კარგი გამოსავალი იქნებოდა ხეობისთვის. პანკისის ხეობას გააჩნია პოტენციალი ბიო მეურნეობების, ეკო და სათავ-

გადასავლო ტურიზმის, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის და სათევზე მეურნეობების განვითრების კუთხით. ერთერთი რესპოდენტის აზრით რძისა და ტყავის გადამამუშავებელი საწარმოები ათობით ადამიანის დასაქმებას შეძლებდა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაში წვლილს შეიტანდა.

ცხრილი 8. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ბიზნესის ჩართულობით მოხდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რაც საინტერესოს გახდის პანკისის ხეობას ახალგაზრდებისთვის?



რესპოდენტთა ნაწილი პანკისის განვითრების მთავარ პირობად თუშეთის გზის მშენებლობას მიიჩნევს. მათი აზრით გზის არსებობა ხელს შეუწყობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ასევე მიიზიდავდა ინვესტიციებს ხეობაში. აღნიშნული გზის არსებობა ხეობას ჩიხური სიტუაციიდან გამოიყვანდა და შექმნიდა სამუშაო ადგილებს.

პანკისის ხეობაში აქცენტები ჰესების მშენებლობაზეც კეთდება, რაც ეწინააღმდეგება მოსახლეობის ერთი ნაწილის ნებას და ქმნის პოლიტიკურად არამდგრად გარემოს. ასეთი

სურათი კი ბიზნესებისთვის არამიმზიდველად გამოიყურება და შესაბამისად ინვესტიციების ჩადება მხოლოდ ადგილზე მცხოვრები მოსახლეობისგან ხდება, რომლებიც შემოიფარგლებიან მცირე საოჯახო ბიზნესებით. ასეთი ბიზნესები მცირერიცხოვან სამუშაო პერსონალს მოითხოვს და შესაბამისად უმუშევრობის მაჩვენებელი მატულობს.

რას მოუტანს პანკისის ხეობას კიდევ ერთი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა?

ინვესტორის მტკიცებით შეიქმნება 100 დროებითი და 40 მუდმივი სამუშაო ადგილი, განხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს პანკისის ინფრასტრუქტურის განვითარებას, შეიქმნება ფონდი რომლის განკარგვას შესძლებენ პანკისის ხეობის მესვეურები (აღნიშნულ ფონდში ყოველწლიურად 12000 ლარს გადარიცხავს ინვესტორი კომპანია), ალაზნის კალაპოტში პანკისის მოსახლეობისთვის შეიქმნება კარიერები ინერტული მასალების გამოყენებისთვის. (https://radioway.ge/news/people/item/800-pankisshi-besebis-msheneblobis-xinaagmdeg-saprotesto-aqzia-gaimarteba) (http://exclusivenews.ge/post/136060)

ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება ძალიან მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს და პირიქით ხეობის მოსახლეობა წესით სიხარულით უნდა შეხვდეს დასაქმების, ინფრასტრუქტურის და სოციალური პროექტების განხორციელებას. თუმცა მდინარე ალაზანში გამოწვეული წყლის ნაკადის კლება ეკოლოგიურ და წყლით მომარაგების პრობლემებს აჩენს ხეობის სოფლებში. ნუთუ მოსახლეობის წინააღმდეგობას მხოლოდ შესაძლო ეკოლოგიური პრობლემების საფრთხე წარმოადგენს? ან მოსახლეობის რა რაოდენობაა წინააღმდეგი აღნიშნული ჰესის მშენებლობისა?

რა თქმა უნდა ნებისმიერი ჩარევა გარემოზე ეკოლოგიურ ცვლილებებს იწვევს და აუცილებელია ეკოლოგიური რისკების შესწავლა. ასევე მნიშვნელოვანია იქ მცხოვრები მოსახლეობის აზრი აღნიშნული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა ჩვენმა კვლევამ დაგვანახა, რომ პანკისელ ქისტებს ინფორმირებულობისა და ნდობის პრობლემები უფრო მეტად აწუხებთ ვიდრე სხვა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები. ისინი მიიჩნევენ რომ პროექტის დაგეგმვის დროს არ იყვნენ ინფორმირებულები, ამან გამოიწვია საკითხის ბუნდოვანება და უნდობლობა მათი მხრიდა. ასევე არ მომხდარა მათთვის იმის ახსნა თუ რა რისკებთან არის დაკავშირებული აღნიშნული პროექტის განხორციელება და რამდენად შეიძლება ამ რისკების თავიდან აცილება ან კომპენსირება. ქისტების მხოლოდ ცოტა ნაწილმა იცის რა სარგებელს მოუტანს კიდევ ერთი ჰესის მშენებლობა პირადად მათ. 219 წლის 21 აპრილის შეტაკების შემდეგ ინვესტორმა განუცხადა მოსახლეობას რომ მზად არის ჰესის მშენებლობის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი აანაზღაუროს: ბალახი უყიდოს მოსახლეობას, წყალი სახლებამდე მიუყვანოს მოსახლეობას, ალაზნის კალაპოტში წყლის მნიშვნელოვნად კლების შემთხვევაში შეამციროს გამომუშავებული მეგავატების რაოდენობა და სხვა. (https://www.radiotavisupleba.ge/a/ra-zians-moutans-pankisis-kheobas-kidev-erti-akhali-hesi/29124265.html#1) მაგრამ მოსახლეობა მაინც ეჭვით უყურებს მის დამოკიდებულებას, რადგან უკვე ნდობა უჭირს მისი. ამ ნდობის აღდგენის ერთგვარი მედიატორი სწორედ, რომ სახელმწიფო უნდა გახდეს. პანკისელების მხრიდან ისმება საკითხი უმუშევრობის და თვითრეალიზებისა, როგორც პრობლემა, მეორეს მხრივ ბიზნესი დიდ ინვესტიციას დებს და ქმნის ჯამში 150 სამუშაო ადგილს, ხოლო

მოსახლეობას ამის მიმღეობაზე აქვს პრობლემა, რადგან არ სურთ ეკოლოგიური პრობლემების ხარჯზე დროებით გადაჭრან უმუშევრობის საკითხი. ეს ყველაფერი თითქოს პარადოქსია, მაგრამ პანკისელებს სხვა რამის ეშინიათ. მათ განცდა აქვთ, რომ ჰესების მშენებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს მათი ხეობიდან გადასახლების პროცესს, რადგან ზემოხსენებული ეკოლოგიური პრობლემები ცხოვრებისთვის და განვითარებისთვის შეუთავსებელ გარემო პირობებს წარმოშობს და მოსახლეობა ნელა-ნელა იძულებული გახდება სხვაგან ეძებოს უკეთესი საცხოვრებელი პირობები, ყოველივე ეს კი იმდენად მტკივნეულია ქისტებისთვის რომ მზად არიან იბრძოლონ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ჩვენი აზრით ეს პრობლემა კონსესუსის სახით უნდა გადაიჭრას თუ აღნიშნული პროექტის განხორციელება მართლა დიდ ეკოლოგიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, მაშინ სახელმწიფომ უპირობო უარი უნდა განაცხადოს მის რეალიზებაზე. ხოლო თუ მოსახლეობა მხოლოდ კერძო ინტერესების (პანკისში არსებული გავლენიანი გვარების ინტერესთა კონფლიქტი იგულისხმება) გამო ეწინააღმდეგება ჰესის მშენებლობას მათ უნდა გამოიჩინონ მოქალაქეობრივი პოზიცია და არ უნდა შეაფერხონ ენერგო რესურსების განვითრებისთვის ჩადებული ინვესტიცია. ამისთვის კი საჭიროა ნეიტრალური ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომლის შედეგებსაც გაიზიარებს ინვესტორიც და პანკისის მოსახლეობაც. ამის უზრუნველყოფა კი სწორედ სახელმწიფომ უნდა მოახერხოს. სახელმწიფომ ნდობა უნდა განიმტკიცოს ხეობაში და მედიატორის როლი შეასრულოს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის. ხეობის მოსახლეობაში მუსირებს აზრი, რომ სახელმწიფო 2019 წლის 21 აპრილის მოვლენების გამო განაწყენების პოლიტიკას დაადგა და შეაჩრა

პანკისში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები „ქისტების დასჯის მიზნით" (https://radioway.ge/news/people /item/940-xelisuplebam-pankisshi-inprastruqturuli-proeqtebi-sheachera-uxuzesi). თუმცა სახელმწიფოს მიერ პანკისის ხეობაში სხვადასხვა პროექტებზე დახარჯული თანხები მეტყველებს, რომ საკითხი სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ინფრასტრუქტურულ პროექტებში დახარჯული თანხები საკმაოდ სოლიდურია და შეიძლება ითქვას უპრეცედენტოც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით.

2013 წელს პანკისის ხეობაში ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაიხარჯა 32 853 ლარი;

2014 წელს - 1 595 249 ლარი;

2015 წელს - 741 849 ლარი;

2016 წელს - 7 951 847 ლარი;

2017 წელს - 1 179 395 ლარი;

2018 წელს - 407 912 ლარი;

2019 წელს - 1 150 111 ლარი;

პანკისის ხეობაში დახარჯული თანხები იმდენად სოლიდურად გამოიყურება საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, რომ რთულია იმის თქმა თითქოს სახელმწიფო ინიციატივას არ იჩენს პანკისის ხეობის განვითარებისთვის. მაგრამ ვინაიდან მოსახლეობა ასე მიიჩნევს, ვფიქრობთ კომუნიკაციის პრობლემასთან უნდა გვქონდეს საქმე ამ კუთხითაც საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუციების მუშაობის გააქტიურება.

ასეთი მიდგომა კი სხვა სექტორის ბიზნეს ოპერატორებსაც მისცემდათ სტიმულს თავიანთი აქტივობები განახორციელონ ხეობაში.

გამოკითხვისას საინტერესო იყო ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის მოსაზრება ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ. კითხვას, განიცდიდნენ თუ არა ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით რაიმე სახის დისკრიმინაციას, რესპოდენტების 75%-მა უარყოფითად უპასუხა. ამის მიუხედავად, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 21% გარკვეული სახის დისკრიმინაციის არსებობას ადასტურებს (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9. თქვენი აზრით არსებობს თუ არა რაიმე სახის დისკრიმინაციაა თქვენს მიმართ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით?



რესპოდენტებმა, ვინც დაადასტურეს მათ მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაციის არსებობას, დააფიქსირეს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად:

- ჩადრის გამო ბევრ სამუშაო ადგილას უარი უთხრეს;
- ხშირადაა დისკრიმინაცია ჰიჯაბის ტარების გამო;

- მტკიცებით რეჟიმში უწევთ ცხოვრება; უწევთ მტკიცება იმის, რომ ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან;
- ისე უყურებენ მათ, როგორც უცხოპლანეტელებსა და კაციჭამიებს;
- არის ხიდჩატეხილობა სახელმწიფოსა და პანკისის მოსახლეობას შორის;
- სწორედ დისკრიმინაციის გამო დაანება თავი ყაზბეგში სამსახურს;
- ლექტორის მხრიდან გახდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.
- პირადად ჩემს მიმართ არა, თუმცა ზოგადად არსებობს
- უამრავი ფაქტია, თუმცა ვერ ჩამოვთვლი, აზრი არ აქვს

დისკრიმინაციის არსებობა დაადასტურა, თუმცა ჩამოთვლისაგან თავი შეიკავა ზოგიერთმა რესპოდენტმა.

საქართველოში სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე არაერთი კვლევა მიანიშნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე ქართული საზოგადოების მხრიდან დისკრიმინაცია ინდივიდუალურ შემთხვევებამდე დადის და ამას ფართო მასშტაბიანი ფორმა არ ქონია ბოლო წლების განმავლობაში. მაგალითად ,,თუ ნებისმიერი ქართველი ყოველდღიურ ჩაცმის სტილად აირჩევს ქართულ ნაციონალურ სამოსს (ჩოხა-ახალუხს ან ჩიხტიკოპს) ისიც გახდება კრიტიკასა და გარკვეული მიუღებლობის მიზეზი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ქართული საზოგადოება ტოლერანტულად არ იქნება განწყობილი მის მიმართ.

ანუ, რაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ,,არა ჩვეულს" წარმოადგენს ამის მიღება ან მიჩვევა გარკვეულ დროს საჭიროებს. ,,უჩვეულოს" შეჩვევის პროცესში

კი შეიძლება გარკვეული ინტერესი წარმოიშვას ,,უჩვეულოს" მიმართ, რაც ცალსახად დისკრიმინაციად არ უნდა მივიჩნიოთ. თუ ქართულ საზოგადოებისთვის ისლამის მიმდევართა ჩაცმულობა, ცხოვრების სტილი და ტრადიციები უცხოა, მაშინ საჭიროა სამოქალაქო სექტორმა სახელმწიფოსთან ერთად იზრუნოს ამ გაუცხოების აღმოფხვრაზე და ინტერკულტურული ღონისძიებებით მოახერხოს თანაცხოვრებისთვის მშვიდი გარემოს შექმნა.

კითხვაზე, ახდენს თუ არა გავლენას რელიგიური ფაქტორები ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის პირად და პროფესიულ განვითარებაზე, რესპოდენტების 39%-მა უარყოფითად უპასუხა, 31%-მა ნაწილობრივი გავლენა დაადასტურა, ხოლო 27%-მა - გავლენა (იხ. ცხრილი 10).

ცხრილი 10. თქვენი აზრით, რელიგიური ფაქტორები ახდენს თუ არა გავლენას თქვენს პირად და პროფესიულ განვითარებაზე?



აღსანიშნავია, რომ იმ რესპოდენტების დიდი უმრავლესობა (88%), ვინც ადასტურებს რელიგიური ფაქტორების გავლენას მათ პირად და პროფესიულ განვითარებაზე, აღნიშნავს

მხოლოდ დადებით ზეგავლენას. დანარჩენი 12% თვლის, რომ რელიგიური ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს მათზე .

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ რესპოდენტებს რელიგიური და ტრადიციული ფაქტორების მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. მათი უმრავლესობა (44%) თვლის, რომ ტრადიციული ფაქტორები მათ პირად და პროფესიულ განვითარებაზე გავლენას არ ახდენს, 33% ნაწილობრივ გავლენაზე საუბრობს, ხოლო 20% მათ ზეგავლენას ადასტურებს (იხ. ცხრილი 11). ამ უკანასკნელთა დიდი უმრავლესობა (86%) ტრადიციული ფაქტორების დადებითი გავლენას ადასტურებს. დანარჩენი 14% კი თვლის, რომ ტრადიციები მათზე უარყოფითად ზემოქმედებენ.

ცხრილი 11. თქვენი აზრით, ტრადიციული ფაქტორები ახდენს თუ არა გავლენას თქვენს პირად და პროფესიულ განვითარებაზე?



ინტერვიუების დროს რესპოდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი მტკივნეულად განიცდის მათგან „კრიმინალისა" და „ტერორისტის" სტერეოტიპის შექმნას იმ ფონზე, როცა მათთვის

მთავარია მშვიდობიანი და სტაბილური გარემოს შექმნა, რათა მშვიდ გარემოში შეძლონ ცხოვრება და განვითარება.

წარსულიდან ყველაზე მეტად ქართველებთან ადამიანური ურთიერთობები ენატრებათ. ,,არ არსებობდა ლხინი ან ჭირი ჩვენ ქართველებთან ერთად, რომ არ გაგვეზიარებინა'' ამბობს ერთ-ერთი რესპოდენტი - ,,ქართველებიც, როცა გვპატიჟებდნენ, საკლავს ჩვენებურს აკვლევინებდნენ ჩვენ საპატივსაცემოდ''. ბევრი ძმადნაფიცობის ინსტიტუტზე მიუთითებს და ამბობს რომ ქართველებთან მჭიდრო მეგობრობას ძმადნაფიცობით ამყარებდნენ.

საინტერესო ფაქტია, რასაც ერთერთი რესპოდენტი იხსენებს, მისი თქმით მიუხედევად იმისა, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევარია მას 12 ქართველი ქრისტიანი მოუნათლავს და საკუთარი ხელით ჩამოუკიდია მათთვის ჯვარი. ამას დიდი სიყვარულითა და სიამაყით იხსენებს და ენატრება მსგავსი ურთიერთობების აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტი ქრისტიანული და ისლამური რელიგიური წესების თანახმად შეიძლება სწორი არ იყოს, მაინც მისასალმებელია, რადგან თუ განვიხილავთ, როგორც ორი ერის დაახლოვებისკენ სწრაფვის მაგალითს, დავინახავთ, რომ ამ ნაწილში ადამიანური ურთიერთობები დაყენებულია რელიგიურ ურთიერთობებზე მაღლა, რაც ადამიანური ინტეგრაციის სურვილის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს.

მსგავსი ურთიერთობების მაგალითი დღეს ფაქტიურად არ მოიძებნება, თითქმის შეუძლებლად გვესახება. ეს შეიძლება ერთის მხრივ რელიგიური ცნობიერების ამაღლების შედეგად მივიჩნიოთ, მეორეს მხრივ ერთმანეთთან ურთიერთობების სურვილის არ ქონის შედეგი იყოს. თუმცა ფაქტი ერთია რომ

ქისტებსა და ქართველებს შორის გარკვეული ბარიერები გაჩნდა და ეს ბარიერები ორივე მხრიდან უნდა მოიშალოს, რათა სამოქალაქო ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესი გახდეს. რესპოდენტთა უმრავლესობა სახელმწიფოს მიიჩნევს ამ პრობლემის მომგვარებლად და ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა შეუწყონ ხელი ქისტი ახალგაზრდების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ქისტები მიიჩნევენ, რომ საჯარო სკოლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და ქართულ ქისტური კულტურული ან სპორტული ღონისძიებების სისტემური ორგანიზება ხელს შეუწყობდა გაუცხოვების პრობლემის დაძლევას. რელიგიურ რადიკალიზაციას კი განათლების მიღების შესაძლებლობა დაუპირისპირდებოდა, რადგან განათლებული საზოგადოება ნაკლებად ისწრაფვის რადიკალიზმისკენ.

რესპოდენტთა უმრავლესობა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ პრობლემურია ურთიერთობები ქისტ უხუცესებსა და ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდები უარყოფენ უფროსუმცროსობის ინსტიტუტს და სუფთა ისლამური რელიგიური წესების მიხედვით ცხოვრების სტილს ანიჭებენ უპირატესობას, რაც ეწინააღმდეგება კავკასიურ-მთიისა და ქისტურ ტრადიციულ წესებს, ეს კი გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს და ისტორიული ფესვების უარყოფამდე მიდის.

საქართველოს მთავრობას გააჩნია პანკისის ხეობის განვითარების სამოქმედო გეგმა წლებისთვის, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, კულტურული, ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ პანკისში მცხოვრებმა მოსახლეობამ ასევე უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯები და თვითიზოლაციისკენ არ უნდა აიღოს გეზი. მათვე

უნდა აინტერესებდეთ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია და საკუთარი ინიციატივები მიაწოდონ ხელისუფლებას თუ ბიზნესს. უნდა გამიჯნონ რელიგიური და სახელმწიფოებრივი/სამოქალაქო ცხოვრების ნორმები, როგორც ეს სეკულარულ სახელმწიფოში ხდება. მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ბიზნესის შემოსვლას ხეობაში და ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ხეობა მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისთვის.

ამრიგად, კვლევამ დაგვანახა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა განახორციელოს ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პანკისის ხეობა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტალი გაქრეს სხვა და სხვა პოლიტიკური ძლების თვალთახედვაში და შეწყდეს პანკისის პრობლემებით მანიპულირება. პანკისის ხეობა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც საქართველოს დე ფაქტოდ გამოცხადებული რეგიონებისთვის რეინტეგრაციის მაგალითი. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ქისტების იმ დონემდე გაუცხოება, რომ სეპარატისტული მიდგომები გაღვივდეს ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ქისტების მაქსიმალურ სამოქალაქო ინტეგრაციისკენ. სახელმწიფო იდეოლოგიური მუშაობა შეუქცევად პროცესად უნდა იქცეს და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ხეობის სახელით მანიპულირება. უნდა აღიკვეთოს კრიმინალური ფაქტები და კანონის უზენაესობა იქცეს ერთადერთ სამართლიანობის აღდგენის გზად.

პანკისის მოსახლეობასთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ხალხი საკუთარ მფარველად მეტწილად ქართულ სახელმწიფოს მიიჩნევს და პრობლემების გადაჭრაშიც

მის როლს განსაკუთრებულად გამოკვეთავს. ჩვენთვის გასაგებია რომ სახელმწიფომ შესაძლოა ვერ შექმნას დასაქმების ადგილები მაგრამ ადვილად შესაძლებელია პანკისი ინვესტორებისთვის აქციოს ერთერთ ტურისტულ და სამრეწველო ორიენტირად. პანკისელებისთვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა კი მკვეთრად გამოასწორებს უმუშევრების მაჩვენებელს. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სამოქალაქო ფერხულში აქტიურად ჩართული ქისტი მოსახლეობა კი მოუბრუნდება საზოგადოებრივ რეინტეგრაციას და საკუთარ ძალისხმევას ერთიანი საქართველოს მშენებლობისთვის მიმართავს. მიგვაჩნია, რომ ქისტი ახალგაზრდები, რომლებიც სამოქალაქო აქტიურობით გამოირჩევიან უნდა აღწევდნენ კარიერულ წარმატებას და ამას სახელმწიფო, ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა უჭერდეს მხარს. აქტიური და განათლებული ახალგაზრდა ქისტები სხვებისთვის წარმატების მაგალითად უნდა იქცნენ, მათთვის უნდა გაიხსნას გზა საჯარო, ბიზნეს თუ სამოქალაქო ორგანიზაციების სათავეებისკენ, ეს პერსპექტივას გააჩენს, რომ ქისტებმა რელიგიურ რადიკალურ ორგანიზაციებისკენ კი არ აიღონ გეზი, არამედ განათლებისკენ და სამოქალაქო წარმატებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

1. მ. ალბუთაშვილი - „პანკისის ხეობა“ - თბილისი 2005 წელი
2. ვახუშტი ბატონიშვილი - ქართლის ცხოვრება, ტ IV, თბ.1979
3. Пицхелаури К. Дедабришвили Ш, - Работы кахетинской археологической экспедиции в зоне строительство верхне-алазанской оросительной системы (1965-1969) ТКАЭ, I, Тб. 1969.
4. Ахриев Ч. Ингушские праздники, ССКГ, Вып.5, Тифлис, 1871
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ. 1972, გვ. 301
6. Яковлев Н. – Ингуши Популярный очерк, Государственное издательство, москва-ленинград 1925
7. ჩეჩნური ფოლკლორი. „კავკასიური სახლი“ თბ. 1996 წ.
8. Танкиев А. Х. Духовные башни Ингушского народа, Саратов 1997 г.
9. მ. ხანგოშვილი - ვაინახური საგმირო ეპოსი, თბ. 2006 წ.
10. ზ. გუმაშვილი - ბაისუნგურ ბენოელის ვინაობისთვის, თბ. 2009 წ.
11. დ. მუსხელიშვილი - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, თბილისი 1980 წ.
12. Мусхелишвили Д. – Вопросы исторической географии ушелья Панкиси, Труды кахетской археологической экспедиции (1965-1966) Тб. 1969 г.
13. Ахриев Ч. Ингушские праздники, ССКГ, Вып.5, Тифлис, 1871
14. ხელნაწერთა ინსტიტუტის (კ. კეკელიძის სახელობის) არქივი
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1072.
16. გამყრელიძე ბ. - სამეურნეო ყოფის ზოგიერთი მხარე პანკისის ხეობაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია N2, თბ. 1977 წ.
17.ბოჭორიძე გ. - კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა, საქართველოს არქივი, III,1927 წ.
18.ელანიძე ვ. - თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1988 წ.
19.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 26, ანაწერი 6 საქმე 421
20.ბუქურაული ივ. თბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები) ჟურნ. „მოამბე“ N8 1897 წ.
21.მამისიმედიშვილი ხ. - პანკისი, წარსული და თანამედროვეობა, თბ. 2008
22.მარგოშვილი ლ. - პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, 2002 წ.
23.ЦГИА Груз. Ф. 16, Д. N4517
24.კ. კოხისა და თ. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ. 1981 წ.
25.პაპუნა ორბელიანი, „საქართველოს ცხოვრება“ ტ. II, თბილისი 1959 წ.
26.ЦГИА Груз. Ф. 16, Д. N4517
27.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 25, ანაწერი 1 საქმე 277
28.Д. Хожаев – Чеченцы в русско-кавказской воине, Грозный 1998 г.
29.ხ. ხანგოშვილი - ქისტები, თბილისი, 2005 წ.
30.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 26, ანაწერი 6 საქმე 648
31.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 26, ანაწერი 6 საქმე 555

32.ბორჩაშვილი ე. ალდამოვი მ. როდის დასახლდნენ ქისტები პანკისის ხეობაში, გაზ. „ბახტრიონი“ N31, 1974 წ.
33.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 254, ანაწერი 1 საქმე 1078
34.შველიძე ზ. ქისტები პანკისის ხეობაში, გაზეთი „ალაზნის განთიადი“ N49, 24 ივლისი, 1962წ.
35.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი 12, ანაწერი 1 საქმე 487
36.ითონიშვილი ვ. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა. თბ. 1969
37.შაქრო, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერია“ N21, 29 იანვარი
38.ქისტი ჩობანი, პანკისის ხეობიდან, გაზ. „ივერია“ N133, 26 ივნისი, 1902 წ.
39.გუგუშვილი ე. - პანკისის ხეობა, ჟურნ. „მწყემსი“ N6, ტფ. 1886
40.გულდენშტედტი ი - მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ. 1962
41.თოფჩიშვილი რ. - აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ. 1984
42.კურდღელაშვილი ნ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „ივერია“, N6, 10 იანვარი, 1896
43.ხ. მამისიმედიშვილი, ორი წიგნი პანკისის შესახებ. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი VII, სიღნაღი 2006
44.მელიქიშვილი გ. - საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ. 1965
45.მუსხელიშვილი დ. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ. 1977
46.მუსხელიშვილი დ. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ. 1980

47. ბარქაია, მ., ჯანელიძე, ბ. (2018). *უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში.* თბილისი.
48. საქსტატი (2016). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ზოგადი ინფორმაცია.
49. ახმეტის მასალები. საქართველოს ეროვნული არქივის თელავის ფილიალის ფონდი #1 .
50. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf?fbclid=IwAR3vc4zxwhkamIVXVDfIMs7J7ZuH5Alu8e4gjThjcJEyGsDqMS8mr4nAmw4
51. https://radioway.ge/news/people/item/800-pankisshi-besebis-msheneblobis-xinaagmdeg-saprotesto-aqzia-gaimarteba) (http://exclusivenews.ge/post/136060
52. https://www.radiotavisupleba.ge/a/ra-zians-moutans-pankisis-kheobas-kidev-erti-akhali-hesi/29124265.html#1

სარჩევი

1. მოკლე გეოგრაფიული და არქეოლოგიური მიმოხილვა 3
2. ქისტების სულიერი კულტურა 8
3. ვაინახური (ქისტური მითოლოგია) 12
4. საკულტო ძეგლები 31
5. ქისტური ადათობრივი სამართალი 36
6. საქართველოში ქისტების დასახლება 89
7. ქისტების ადაპტაცია და ინტეგრაცია ახალ გარემოში 129
8. მდგომარეობა და ვითარების გამოსწორებისათვის გასატარებელი ღონისძიებები 151
9. პანკისის ხეობა სახელმწიფოებრივი გამოწვევა - თუ ხელოვნური ორიენტირი 171
10. კვლევის მიზნები და ამოცანები 176
11. კვლევის მეთოდები და სტრუქტურა 178
12. პანკისის ხეობის ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები 179
13. გამოყენებული ლიტერატურა და მასალები 204